ფარული დაპირისპირება "მოქავშირში" A2

"საპულტო-სატელეფონო უმრავლესობა" და გმირობის მისეული კრიტერიუმები A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 29 იანვარი, 2003 წელი. №27 (239)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### საპარლამენტო უმრავლესობა პირველი ლედის წინაშე ქედს იხრის

ღირსეული ოჯახის შვილი, თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორის, ბრწყინვალე ადამიანის შოთა ყავლაშვილის მეუღლე და, რაც მთავარია, საქართველოს პირველი ლედის უახლოესი მეგობარი – ეს ის კრიტერიუმებია, რომელთა ერთობლიობამაც წერტილი დაუსვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ვაკანტური პოსტის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს.

A2

## ეკონომიკა

### მილსადენები - სარგებელი ქვეყნისთვის თუ გამოუსწორებელი ზიანი

ბორჯომის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობის მოწინააღმდეგე არასამთავრობო სექტორს სპეციალისტები და ექსპერტებიც შეუერთდნენ.

A4

## უცხოეთი

### აზერბაიჯანი: სახალხო ფრონტი დახურვას გადაურჩა

პრეზიდენტ ალიევის გადაწყვეტილება, ოპოზიციური პარტიისათვის რეგისტრაციის გაუქმების განკარგულების უკან გაწვევის შესახებ, ან გონივრული პოლიტიკური მანევრია, ან მისი ძალაუფლების შესუსტების მაჩვენებელი.

A5

## საზოგადოება

### გადაწყვეტილება, კოდური სახელწოდებით „ტარიფი"

"ეი-ი-ეს თელასში" გუშინ მეტად დატვირთული დღე ჰქონდათ. ნაშუადღევს, სააქციო საზოგადოების კარებს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, ლეიბორისტული პარტიის რამდენიმე ასეული წევრი და რამდენიმე ათეული მოქალაქე მიადგა.

A6

## ავტომობილი

### 2003 წლის დეტროიტული ავტო-საუზმე

A8

# პუტინის საჩუქარი - ერთადერთი რეალური სურათი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში



*პრეზიდენტების შეხვედრა შევარდნაძისთვის იუბილეს მილოცვით დაიწყო.*

რევაზ ბახტაძე

გუშინ დსთ-ს არაოფიციალურ სამიტზე პირისპირ შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი.

პრეზიდენტების შეხვედრა დაგვიანებით დაიწყო. თუმცა, დაგეგმილი 45 წუთის ნაცვლად, დაახლოებით, ორი საათი გაგრძელდა.

ვლადიმირ პუტინმა პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრა დაბადების დღის მილოცვით დაიწყო და საჩუქრად სურათი მიართვა. ამის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტი საქართველოსთან არსებულ ენერგეტიკულ პრობლემებს შეეხო.

ვლადიმირ პუტინს არ დავიწყებია, შეეხსენებინა ედუარდ შევარდნაძისათვის, რომ სწორედ მისი უშუალო ჩარევით დაჩქარდა დაზიანებული გაზსადენის მშენებლობა და საქართველოსათვის გაზის მიწოდების აღდგენა, რაზეც საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## დავით გამყრელიძე: ჩვენ ღიად გავემიჯნეთ პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკას, მის ქმედებებს

თამარ ხორბალაძე

*"ახალი მემარჯვენეები" თავს ახალი პოლიტიკური ალიანსების მიღმა იტოვებენ. ისინი არ ერთიანდებიან ოპოზიციურ ერთობაში, არ ეძებენ პოლიტიკურ პარტნიორებს, დარწმუნებულნი არიან, რომ საარჩევნო ბარიერი მათთვის პრობლემა არ არის.*
*რა ასაზრდოებს "ახალი მემარჯვენეების" საარჩევნო ოპტიმიზმს? რომელი სახეები შეიძლება ვიხილოთ მათ გვერდით ხვალ? - "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე "24 საათთან" საუბარში დღეს პირველად გასცემს პასუხს ამ და ბოლო პერიოდში დაგროვილ სხვა კითხვებს.*

**- ბატონო დავით, საბოლოოდ გადაწყვეტილია ის, რომ ოპოზიციურ ბლოკში არ ერთიანდებით?**

-არჩევნებში მონაწილეობას ჩვენი პარტია დამოუკიდებლად აპირებს. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვაპირებთ ოპოზიციური პარტიების დიალოგში მონაწილეობას და მათთან თანამშრომლობას. ეს თანამშრომლობა უკავშირდება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

**- დღეს არსებობს მოსაზრება, რომ ოპოზიციური ძალა, რომელიც დიდი ოპოზიციური ერთობის მიღმა იტოვებს თავს, შევარდნაძის წისქვილზე ასხამს წყალს.**

- ეს მოსაზრება მე მაგონებს კომუნისტურ მიდგომას - ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. ცხადია, რომ სააკაშვილი, ნათელაშვილი მკვეთრად გამოხატული მემარცხენეები არიან. ჩვენ მემარჯვენეები ვართ. მე არ მინდა, რომ ჩვენ ისეთი ოპოზიციური აჯაფსანდალი მივიღოთ, რომელიც პარლამენტში შესვლისთანავე დაიფლითება. ამით შეიძლება დავასრულოთ ჩვენ შევარდნაძის ერა, მაგრამ დავიწყოთ არანაკლებ დაძაბული ერა ჩვენს ისტორიაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ჩვენი სახელმწიფო ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს

*სახელმწიფო კანცელარიის ავტოპარკში 50 ავტომობილია. ისინი ოპერატიული, პერსონალური და სტუმართა მომსახურებისთვისაა განკუთვნილი. თითოეული ასეთი მანქანის შესანახად წელიწადში ხუთი ათასი ლარია გათვალისწინებული, ხოლო სოციალურად დაუცველ ოჯახს სახელმწიფო წელიწადში მხოლოდ 205 ლარით ეხმარება.*

სოფო კვინტრაძე
მაია ურუშაძე

სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც სახელმწიფო კანცელარიის მოხელეთა სამსახურეობრივ ხარჯებსა და სამთავრობო ღონისძიებებს აფინანსებს, ყოველდღიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერიცხება 4 მილიონ 500 ათასი ლარი. ამ თანხით ფინანსდება: კანცელარიის მოხელეთა ხელფასები, კომუნალური გადასახადები, ბიუჯეტში ან მასთან გათანაბრებულ ფონდებში გადასარიცხი ხარჯები, აქაურ მოხელეთა თუ უცხოეთიდან ჩამოსული სამთავრობო დელეგაციების სატრანსპორტო მომსახურება, პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამთავრობო რეზიდენცია-აგარაკების სამმართველოები, უცხოეთის სამთავრობო დელეგაციების ვიზიტების მომსახურება, დაჯილდოების ცერემონიალები და სხვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## მოსკოვისა და კიევის თაფლობისთვე დაიწყო

*კიევში დსთ-ს არაოფიციალურ სამიტზე პუტინმა და კუჩმამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე მიაღწიეს შეთანხმებას. უკრაინის პრეზიდენტმა სტრატეგიული არჩევანი, საბოლოოდ, მოსკოვის სასარგებლოდ გააკეთა.*

რევაზ ბახტაძე

გუშინ დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა არაოფიციალური სამიტი დაიწყო. მიმომხილველთა განსაკუთრებული დაინტერესება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასთან შეხვედრამ გამოიწვია. ორ სახელმწიფოს შორის წლების განმავლობაში სადავო საკითხების შესახებ ორმა პრეზიდენტმა შეთანხმებას მიაღწია.

კიევის სამიტის უმთავრეს თემას გაერთიანების სივრცეში ენერგეტიკული და ეკონომიკური პროექტების განხორციელება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კიევის სამიტს მხოლოდ რვა სახელმწიფოს (რუსეთი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, ტაჯიკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა) მეთაური დაესწრო. ცენტრალური აზიის ოთხი სახელმწიფოს (ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი) პრეზიდენტებმა სხვადასხვა მიზეზით თავი აარიდეს კიევში ჩასვლას.

გაგრძელება A5 გვერდზე

## „ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, ტერორისტები რომ არა ვართ"

ექსკლუზიური ინტერვიუ ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერ ახმედ ზაკაევთან

ზაზა წულაძე

*ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ორი დღის წინ განაახლა მსოფლიოში მოქმედი საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სია და, რუსეთის დიდი სურვილის მიუხედავად, არც ერთი ჩეჩნური დაჯგუფება მასში არ შეიყვანა. დასავლელი და რუსი ექსპერტები უკვე საუბრობენ სერიოზულ მარცხზე, რომელიც მოსკოველ დიპლომატთა ბოლოდროინდელმა ანტიჩეჩნურმა კამპანიამ განიცადა. კრემლი არც მალავდა, რომ ამ კამპანიის მთავარი მიზანი სწორედ ჩეჩნების საერთაშორისო ტერორისტებად აღიარება იყო.*

*აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ტერორისტული ორგანიზაციების შავ სიას ორ წელიწადში ერთხელ აახლებს. ამ სიაში მოხვედრილ ორგანიზაციასთან ყოველგვარი კავშირი ეკრძალებათ როგორც აშშ-ს, ისე სხვა ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ვაშინგტონის გუშინწინდელი გადაწყვეტილება სერიოზულ გავლენას მოახდენს ლონდონის სასამართლოში მიმდინარე ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის, ახმედ ზაკაევის სასამართლო პროცესზე. ზაკაევის საქმე 31 იანვარს განახლდება. მას მოსკოვი ტერორიზმში ადანაშაულებს და ლონდონს მის გადაცემას სთხოვს.* ***"ჩემთვის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა,"*** *– გვითხრა* ***ახმედ ზაკაევმა****, რომელსაც "24 საათი" ლონდონში დაუკავშირდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## შინაგანი ჯარი პანკისში ჩეჩნეთის საკითხის გადაწყვეტამდე დარჩება

ინგა ალავიძე

*შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა და შსს-ს სხვა მაღალჩინოსანთა მრავალრიცხოვანმა კორტეჟმა გუშინ პანკისის ხეობაში მორიგი შემოვლა მოაწყო.*

***"პანკისის ხეობაში სიმშვიდეა. ხეობა გაწმენდილია. რუსეთში ატეხილი ახალი სკანდალი, რომ ჩეჩენი მებრძოლები პანკისში გადმოსასვლელად ემზადებიან, ჩვენ არ გვეხება, რუსებმა გაამაგრონ თავიანთი საზღვარი და ნუ გადმოუშვებენ ნურავის ჩვენს ტერიტორიაზე. არადა, თუ მართლაც მოხდა გადმოსვლა, ჩვენ აქ დავხვდებით,"*** *– განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა, პანკისის ხეობაში "დიდი გასეირნების" შემდეგ.*

გაგრძელება A7 გვერდზე



*გენერალი შერვაშიძე შინაგან ჯარს ოპერატიულ მითითებებს აძლევს.*

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | |
| ქუთაისი | 11 | |
| ბათუმი | 12 | |
| სოხუმი | 9 | |
| ფოთი | 11 | |
| თელავი | 7 | |
| ზუგდიდი | 10 | |
| გორი | 5 | |
| ახმეტა | 6 | |
| ჭიათურა | 7 | |
| გაგრა | 8 | |
| სამტრედია | 11 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1760 |
| ევრო | 2.3503 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5525 |
| რუბლი | 0.0687 |


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ავტომობილი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# პუტინის საჩუქარი - ერთადერთი რეალური სურათი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში

პირველი გვერდიდან

ამის შემდეგ მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა, სადაც საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა – აფხაზეთი განიხილებოდა.

საქართველოს ხელისუფლება სწორედ ამ სამიტზე აპირებდა ყველა მტკივნეული საკითხის (სოჭი-სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზებისათვის რუსული პასპორტების დარიგება, დსთ-ის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელება) განხილვას.

შეხვედრიდან გამოსულმა პუტინმა განაცხადა, რომ მათ "საკმაოდ მწვავე საკითხები განიხილეს".

უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანი იყო რუსეთის პრეზიდენტის დაპირება, რომელიც შეხვედრიდან გამოსულმა შევარდნაძემ ჟურნალისტებთან გაიმეორა: "აუცილებელია სოჭი-სოხუმს შორის რკინიგზის აღდგენის პარალელურად დევნილთა დაბრუნების დაწყება".

"24 საათის" შეკითხვაზე, შეწყდება თუ არა სარკინიგზო მიმოსვლა სოჭსა და სოხუმს შორის, სანამ დევნილთა დაბრუნების პროცესი დაიწყება, გრიგოლ ქათამაძემ პასუხი არ გაგვცა.

პრეზიდენტმა პუტინმა ჟურნალისტებთან საუბრისას ცინიკურად შენიშნა, რომ დევნილების დაბრუნებამდე მატარებლის მოძრაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყდება, თუ რუსეთის შესაბამისი უწყებები და ექსპერტები დაადგენენ, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა უკანონოა.

თუ დევნილთა დაბრუნება დაიწყება, "მაშინ სარკინიგზო მიმოსვლასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ იქნება. თავად დევნილებიც გაიგებენ ამას," - აღნიშნა პუტინის განცხადების პასუხად პრეზიდენტმა შევარდნაძემ.

გუშინ გვიან საღამოს გაიმართა "კავკასიური ოთხეულის" შეხვედრაც, სადაც რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ლიდერებმა ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები განიხილეს.

როგორც ჩანს, სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებაზე შევარდნაძე დათანხმდა, რადგან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მანდატის შეწყვეტა ნაადრევი ნაბიჯი იქნება. თუმცა, სამშვიდობოების მანდატის გაგრძელების საკითხი საბოლოოდ დღეს, დსთ-ს მეთაურთა სხდომაზე გაირკვევა.

დსთ-ს მეთაურთა პლენარულ სხდომამდე ედუარდ შევარდნაძე ევრაზიის კონფლიქტების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის საგანგებო ელჩს რუდოლფ პერინას შეხვდება. პრეზიდენტთან შეხვედრამდე რუდოლფ პერინა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს შეხვდა. თუმცა, ჯაფარიძემ კომენტარზე უარი განაცხადა. სავარაუდოდ, პერინა შევარდნაძეს ამერიკის ხელისუფლების მიერ ცოტა ხნის წინ გამოთქმულ მოსაზრებას დაუდასტურებს, რომ უმჯობესია, დსთ-ს სამშვიდობო ძალებს საქართველომ მანდატი გაუგრძელოს.

სამწუხაროდ, საქართველომ კვლავ ფიასკო განიცადა, რასაც ხელისუფლება, ტრადიციულად, წინგადადგმულ ნაბიჯად მონათლავს და დევნილების დაპირებებით დამშვიდებას შეეცდება.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ასევე სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური სამხედრო ცენტრი "დელტა" 30 იანვარს ხელს მოაწერენ თბილისში "ურთიერთგაგების" მემორანდუმს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი" ფართო ოპოზიციური კონვენციის შემადგენლობაში პრიორიტეტად პოლიტიკურ ორგანიზაციებთან "გაერთიანებულ დემოკრატებსა" და "ერთობასთან" გაერთიანებას მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთმა შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს ნატო-ს პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში დაგეგმილ სწავლებებში "Rescuer-2003", რომელიც საქართველოში 17 მაისს დაიწყება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თებერვლის შუა რიცხვებში თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი სამუშაო ვიზიტით ჩეხეთს ეწვევა. ბეჟუაშვილის თქმით, დაგეგმილია "სამხედრო სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა", თუმცა ამ საკითხთა დაკონკრეტებისაგან მან თავი შეიკავა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "აფხაზეთის" დეპუტაცია შს მინისტრის წინაშე თბილისის შს სამმართველოს სპეცრაზმის კავკას-პრესი უფროსის თემურ მღებრიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი** სუუამ-ის წევრი სახელმწიფოების სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელთა მეორე სამუშაო შეხვედრა 7-8 თებერვალს თბილისში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**




## კულუარები

# ფარული დაპირისპირება "მოქკავშირში"

*"მოქალაქეთა კავშირში" ვითარება თანდათან იძაბება. ურთიერთდაპირისპირების კონტურები თვალნათლივ იკვეთება და, ყველა ნიშნის მიხედვით, დაძაბულობის ხარისხი პიკს სულ რამდენიმე თვეში, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებისას მიაღწევს. საპარლამენტო კულუარებში უკვე ღიად ასახელებენ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგომთა ვინაობას - პარტიის შიგნით ძალთა საბოლოო გადანაწილებისთვის ლევან მამალაძისა და ავთანდილ ჯორბენაძის მხარდამჭერები იბრძვიან. როგორც ამბობენ, სახელმწიფო მინისტრს, უკვე დიდი ხანია, პარტიიდან ლევან მამალაძის ჩამოცილება სურს.*

თამარ ასათიანი

თავად სახელმწიფო მინისტრი და, ამავდროულად, "მოქკავშირის" თავმჯდომარე ავთანდილ ჯორბენაძე პარტიის შიგნით არსებული ვითარების დასარეგულირებლად, ჯერჯერობით, ვერ იცლის. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ რამდენიმე ხნის წინათ დაგეგმილი პარტიის მთავარი საბჭოს სხდომა ჯერაც არ გამართულა და პარტიის წევრები მომავალი სხდომის ზუსტ თარიღს ვერ ასახელებენ.

ავთანდილ ჯორბენაძის უყურადღებობა პარტიის პრობლემებისადმი, შესაძლოა, ობიექტური მიზეზებითაც იყოს გამოწვეული – სხვას რომ თავი დავანებოთ, 2003 წლის ბიუჯეტი კვლავაც მისაღებია. პარლამენტის მხრიდან ყველა მოულოდნელ სიურპრიზზე კი პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებელი სწორედ სახელმწიფო მინისტრი იქნება.

ამასობაში პარტიის შიგნით უკვე აშკარად იკვეთება ურთიერდაპირისპირებულთა, მინიმუმ, ორი დაჯგუფება, რომელთა შორის პატარ-პატარა შეტაკებები გადამწყვეტი ბრძოლის წინ ძალთა მოსინჯვის ფუნქციას ატარებს. თანაც, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ლევან მამალაძე ნამდვილად არ არის ის ადამიანი, რომელიც პოლიტიკურ ოლიმპს უბრძოლველად დატოვებს. 1994 წლიდან მოყოლებული, იგი ქვემო ქართლში ნომერ პირველ ჩინოვნიკად რჩება და ამ ურთულესი რეგიონის გაკონტროლებას კვლავაც ახერხებს. თანაც, ქვემო ქართლიდან წამოსული საარჩევნო ხმები ნებისმიერ პარტიას არჩევნებში წარმატების გარანტიას აძლევს. ეს ის კოზირია, რომელსაც მამალაძე არჩევნების წინ აუცილებლად გაათამაშებს.

მანამდე კი პარლამენტში მხოლოდ "ტაქტიკური შეტაკებები" იმართება.

სხვათა შორის, სულ რამდენიმე კვირის წინ, პარლამენტში ერთი, საკმაოდ საინტერესო ფაქტი მოხდა, რომელზეც ყურადღება თითქმის არავის გაუმახვილებია. საქმე ის გახლავთ, რომ პლენარულ სხდომაზე სახელისუფლებო ფრაქციების უმრავლესობამ დიდი მონდომებით ჩააგდო კანონპროექტი ვეტერინარიის შესახებ, რომელსაც ფრაქცია "ალიანსი," ანუ ქვემო ქართლის დეპუტაცია ლობირებდა. ამის პარალელურად, კანონის მიღებას მხარი დაუჭირეს იმ ფრაქციათა წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს მამალაძის დაჯგუფებასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადამტერებულნი. პირველ რიგში, ეს "ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლები იყვნენ.


ავთანდილ ჯორბენაძე


ლევან მამალაძე

შესაძლოა, ვიტალი ხაზარაძის დირექტივის "წყალობით" ჩაგდებული კანონპროექტი მართლაც მისი "დაუხვეწაობით" იყო გამოწვეული, მაგრამ ამ მოსაზრებას პარლამენტში ნაკლებად იზიარებენ და ყველაფერს სწორედ იმ ფარულ ომს აბრალებენ, რომელიც მამალაძისა და ჯორბენაძის მხარდამჭერებს შორის არის გამართული. თუკი ეს მოსაზრება სწორია, მაშინ "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" მხარდაჭერა მამალაძის გუნდისადმი საკმაოდ საინტერესო დატვირთვას იძენს და, შესაძლოა, სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ მიმართულ ერთგვარ "თემატურ გაერთიანებადაც" კი მივიჩნიოთ. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, რომლის სისწორეს დრო აჩვენებს.

ამასობაში, პარტიის შიგნით არსებული კონფლიქტი თავად პარტიის ოფისსაც დაეტყო – "მოქკავშირის" შტაბში აღარ მიდის პარტიის საორგანიზაციო მდივანი გელა კვარაცხელია, რომელიც ლევან მამალაძის აქტიური მხარდამჭერია და რომელსაც პარტიიდან ჟვანიას გუნდის გაძევებაში ლამის ლომის წვლილი მიუძღვის. რთული სიტუაციაა პარტიის აპარატშიც. მის თანამშრომლებს, უკვე რამდენიმე თვეა, ხელფასი არ მიუღიათ და, როგორც ჩანს, ვითარება არც უახლოეს მომავალში შეიცვლება.

# საპარლამენტო უმრავლესობა პირველი ლედის წინაშე ქედს იხრის

*ღირსეული ოჯახის შვილი, თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორის, ბრწყინვალე ადამიანის შოთა ყავლაშვილის მეუღლე და, რაც მთავარია, საქართველოს პირველი ლედის უახლოესი მეგობარი – ეს ის კრიტერიუმებია, რომელთა ერთობლიობამაც წერტილი დაუსვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ვაკანტური პოსტის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს. 133-მა დეპუტატმა გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ ამ არგუმენტებით იხელმძღვანელა და საკუთარი ხმა "მოქკავშირელ" ნანა ბიჭიაშვილს მისცა.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინდელი დღით ყველაზე კმაყოფილი სახელისუფლებო ფრაქციების კოორდინატორი ვიტალი ხაზარაძე ჩანდა. მისი უშუალო ძალისხმევით მოქალაქეთა კავშირმა გვერდზე გადადო პარტიის შიგნით არსებული ყველა დაპირისპირება თუ წყენა, სრული მობილიზაცია გამოაცხადა, ქუდზე კაცი გამოიყვანა და პრეზიდენტ შევარდნაძეს და მის ოჯახს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ერთგულება. მოქალაქეთა კავშირს არც "სოციალისტები" და "მრეწველები" ჩამორჩნენ. როგორც გაირკვა, ადამიანის უფლებათა დამცველის პოსტზე მათაც პრეზიდენტთან დაახლოებული მანდილოსნის ხილვა სურდათ.

შეგახსენებთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელი უკვე შვიდი თვეა, ვაკანტურია. პარლამენტის რეგლამენტი კი ცალსახად ითხოვს, რომ კომიტეტის თავმჯდომარის გადაყენების ან გადადგომის შემთხვევაში, მისი შემცვლელი დეპუტატებმა მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში აირჩიონ. მთელი ამ ხნის განმავლობაში საპარლამენტო ფრაქციების მიერ რეგლამენტის ეს მოთხოვნა გათვალისწინებული არ ყოფილა. ბრძოლა ამ სავარძლისათვის ბოლო ერთი თვის განმავლობაში დაიძაბა. მისი დაუფლების სურვილი, თითქმის ერთდროულად, ოთხმა კანდიდატმა გამოთქვა: "დემოკრატმა" ელენე თევდორაძემ, "ტრადიციონალისტმა" ნატო ჩხეიძემ, "აღორძინების" წარმომადგენელმა სანდრო ბრეგაძემ და "მოქკავშირელმა" ნანა ბიჭიაშვილმა. თუმცა, რამდენიმე დღის წინ სანდრო ბრეგაძემ საკუთარი კანდიდატურა სრულიად მოულოდნელად მოხსნა.

როგორც წესი, ნებისმიერი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის არჩევას საკმაო ვნებათაღელვა და ურთიერთდაპირისპირებები მოჰყვება ხოლმე, მაგრამ დეპუტატები თამაშის გარკვეულ წესებს მაინც იცავენ. გუშინ კი ეს წესები აშკარად დაირღვა.

საქმე ის გახლავთ, რომ "გაერთიანებული დემოკრატები" დაჟინებით ითხოვდნენ ამ საკითხის განხილვის ერთი კვირით გადადებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი კანდიდატი ელენე თევდორაძე სტრასბურგში იმყოფებოდა. პრეზიდენტის ოჯახის ერთგულმა დეპუტატებმა "დემოკრატების" მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და კენჭისყრის გადადების წინააღმდეგ წავიდნენ.

იმის მიუხედავად, რომ თავად პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც საკითხის გადადების მომხრე იყო, ვიტალი ხაზარაძემ მაინც კატეგორიულად მოითხოვა კენჭისყრის ჩატარება. პარლამენტის "თემატურ უმრავლესობას" გადაწყვეტილება ვერც ნინო ბურჯანაძის იმ განცხადებამ შეაცვლევინა, რომლის თანახმადაც, თევდორაძეს 15-წუთიანი მოხსენებით გამოსვლა სურდა და ამიტომ საკითხის მის გარეშე გადაწყვეტა არ შეიძლებოდა.

ხაზარაძის ლოგიკა, როგორც იტყვიან, ქვასაც კი გახეთქდა: **"ევროსაბჭოს სხდომის დღის წესრიგი იმ საკითხების განხილვას არ ითვალისწინებს, რომელზეც თევდორაძე მუშაობს. მას შეეძლო მივლინებაში საერთოდ არ წასულიყო".** ამ მოსაზრებას სასწრაფოდ დაეთანხმა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძეც.


ნანა ბიჭაშვილი მილოცვებს იღებს.

შემდეგ კი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა: ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრმა ვასილ მაღლაფერიძემ ელენე თევდორაძის კანდიდატურის მოხსნის შესახებ განცხადება გააკეთა.

**"როგორც ჩანს, თევდორაძე სახელმწიფო ინტერესების დაცვის ნაცვლად, აქ უნდა დარჩენილიყო, რათა სკამისთვის ებრძოლა. მოქალაქეთა კავშირისა და "თემატური უმრავლესობის" მხრიდან "ხელის გადაგრეხვის" პრინციპით მოქმედება ადასტურებს, რომ პარლამენტის კომიტეტის პოსტისთვის ბრძოლა "გაერთიანებული დემოკრატების" წინააღმდეგ მიმართული ანგარიშსწორება და შურისძიებაა. ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით საპარლამენტო მასკარადს",** - აღშფოთებას ვერ მალავდა მაღლაფერიძე..

რამდენიმე წუთში საკუთარი კანდიდატურა მოხსნა "ტრადიციონალისტების" კანდიდატმა ნატო ჩხეიძემაც. მისი გამოსვლაც არანაკლებ მწვავე აღმოჩნდა. **"იურიდიული კანონების გარდა, არსებობს ზნეობრივი კანონი, რის საფუძველზეც ელენე თევდორაძის დარბაზში არყოფნის გამო ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება.**

**იმის მიუხედავად, რომ თევდორაძის კონკურენტი ვარ, არ არსებობს არგუმენტი საიმისოდ, რომ შვიდი თვის განმავლობაში გადაუწყვეტელი საკითხის შვიდი დღით გადადება შეუძლებელი გახდეს. პარლამენტში შექმნილი რეალობა ადასტურებს, რომ ამ პოსტზე თავმჯდომარის არჩევის საკითხი წინასწარ არის გადაწყვეტილი და გარკვეულ ძალებს ეს პოსტი საკუთარი მიზნებისთვის სჭირდებათ. ასეთ პირობებში აზრი არა აქვს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეობას და თავად ვიღებ გადაწყვეტილებას, რომ ამ უზნეობაში მონაწილეობა არ მივიღო",** - განაცხადა ჩხეიძემ.

ამის შემდეგ უკვე ცხადი იყო, რომ "მოქკავშირმა" თავისი გაიტანა. კენჭისყრიდან რამდენიმე წუთში ნანა ბიჭიაშვილი უკვე თანაგუნდელების მილოცვებს იღებდა. ჟურნალისტებთან საუბარში კი კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქმიანობას ახალ რანგში კომიტეტის წევრების ვინაობის დადგენით(?!) დაიწყებს, რადგან ისიც კი არ იცის, თუ ვინ არის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

# "ეს დროშა მე აღვმართე, სააკაშვილმა თბილისს მიხედოს"

*გუშინ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ერთდროულად ოთხ ქალაქში - რუსთავში, ბორჯომში, ახალციხესა და ჭიათურაში ხუთჯვრიანი დროშის აღმართვის ოფიციალურ ცერემონიაზე დასასწრებად გადანაწილდნენ. რუსთავს ამ მიზნით ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაცია ესტუმრა, თუმცა ხუთჯვრიან დროშაზე "საავტორო უფლება" სააკაშვილს რუსთავის მერმა არ დაანება.*

მაია მოსიაშვილი

"24 საათი" უკვე წერდა, რომ თეთრწითელი ხუთჯვრიანი დროშა რუსთავის მერიასთან ნახევარი წლის წინ გამოფინა ახლადარჩეულმა მერაბ ტყეშელაშვილმა. ორიოდე დღის წინ კი საკრებულომ მას ოფიციალური დადგენილება მიუძღვნა, ანუ როგორც თავად განმარტეს, დააკანონა. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დროშის ოფიციალური ნათლობის ჩასატარებლად რუსთავში მიხეილ სააკაშვილი ჩამოდიოდა. ცერემონიალი 15 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მერიის წინ შეკრებილ ჟურნალისტებს და მცირერიცხოვან ცნობისმოყვარეთ მსგავსი არაფერი უნახავთ. მიხეილ სააკაშვილი, ელდარ შენგელაია, კოტე კემულარია და ნოდარ გრიგალაშვილი რუსთავის მერის კაბინეტში კარგა ხანს განმარტოვდნენ. შენობიდან გამოსული სტუმრები მერს არ გამოუცილებია.

"ნაციონალთა" ლიდერმა ჩვეული ღიმილითა და ენაწყლიანობით განმარტა ვიზიტის მიზეზი: **"ჩვენი ჩამოსვლის ერთადერთი და ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ რუსთავის საკრებულოსათვის მადლობა გვეთქვა თბილისის საკრებულოსა და პირადად ჩემი სახელით. რუსთავი საქართველოს მეორე ქალაქი გახდა, სადაც საკრებულომ ოფიციალურად დააკანონა ხუთჯვრიანი დროშა. დღესვე ეს დროშა ერთდროულად აღიმართა ბორჯომში, ახალციხესა და ჭიათურაში. ეს საქართველოს სიმბოლიკაში სერიოზული შემოტრიალებაა. თბილისი აღარ არის მარტო. ეს არის პოლიტიკური ინიციატივა, ეს დროშა არის სიმბოლო ოპოზიციისა, იგი არის შევარდნაძესა და დღევანდელ მთავრობაზე ოპოზიციის გამარჯვების სიმბოლო."**

ელდარ შენგელაიამ დროშის ისტორიულ დატვირთვაზე გაამახვილა ყურადღება: **"ეს არის დიდი ისტორიული ხიდი, რომელიც დიდ საქართველოსთან გვაკავშირებს. არ შეიძლება მანქურთებად გადავიქცეთ და დაგვავიწყდეს ყველაფერი, რაც იყო, რატომაც გვქვია ქართველები. ჩვენი ისტორია და კულტურა სწორედ ამ დროშის ქვეშ იქმნებოდა."**

რუსთავის თვითმმართველობასა და მმართველობაში სააკაშვილის სტუმრობის მოტივმა უხერხული სიტუაცია შექმნა. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა მინდელი, რომელიც დროშის დაკანონების ინიციატორი გახლავთ, დროშის ოპოზიციურად გამოცხადების საკითხში სააკაშვილს არ ეთანხმება. **"ასეთ რამეს სააკაშვილი არ იტყოდა. ეს არის ისტორიული დროშა და საპატრიარქოს მიერ არის მოწონებული,"** - ამბობს მინდელი. გაბრაზება არ დაუმალავს ქალაქის მერს მერაბ ტყეშელაშვილს.

**"ეს დროშა მე ავღმართე, როცა ქალაქის მერი გავხდი, რათა საზოგადოებამ გაითავისოს, რამდენად მისაღებია ეს სიმბოლიკა მისთვის. ბატონ მიშას არ გაუკეთებია ეს და ძალიან ვთხოვ, ნუ დაიბრალებს. ის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეა და კეთილი ინებოს, თბილისს და თბილისელებს მიხედოს. ჩვენ არავის ვუშლით აქ ჩამოსვლას, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი სახე და ფორმა. ჩვენს ქალაქს დღეს იმდენი პრობლემა აქვს, რომ დროშების აღმართვა-ჩამოშვება მას არაფერში წაადგება,"** - განაცხადა ტყეშელაშვილმა. როგორც ჩანს, ოპოზიციურ ქალაქად რუსთავის გამოცხადების პერსპექტივამ ქალაქის მერი საკმაოდ "შეაშინა". მისი თქმით, დროშის კურთხევა და ამ მიზნით ნაციონალების ვიზიტი რუსთავში მასთან შეთანხმებული არ იყო. **"ამიტომ ეს ცერემონიალი მათ არ ჩავატარებინეთ. ქალაქს ჰყავს ხელმძღვანელობა, კეთილი ინებოს ყველამ და საკითხები შეგვითანხმოს."**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# "საპულტო-სატელეფონო უმრავლესობა" და გმირობის მისეული კრიტერიუმები

გიორგი ასანიშვილი

*საპარლამენტო უმრავლესობა უამრავი "თიკუნით" შეუმკიათ - "მორჩილი უმრავლესობა", "მორცხვი უმრავლესობა", "აგრესიული უმრავლესობა"... უკანასკნელ ხანს სახელისუფლებო ფრაქციებმა თავად დაირქვეს საკმაოდ უცნაური სახელი: "თემატური უმრავლესობა". თუ პროსამთავრობო ძალების ქმედებებს პარლამენტის პრეს-ლოჟიდან დააკვირდებით, შეიძლება კიდევ ერთი "ეპითეტიც" წამოტივტივდეს - "საპულტო-სატელეფონო უმრავლესობა". მართლაც, როგორც კი მოახლოვდება რომელიმე საკითხზე კენჭისყრის დრო, ვიტალი ხაზარაძე, ირაკლი გოგავა და სხვა სახელისუფლებო ფრაქციათა ლიდერები მობილურ ტელეფონებს ყურიდან ველარ იშორებენ და თანაფრაქციელებს სხდომათა დარბაზში უხმობენ. კენჭისყრის პროცედურის დამთავრებისთანავე, როგორც კი დეპუტატები პულტებით თავის "საუმრავლესობო" ვალს პირნათლად მოიხდიან, მათ სრული თავისუფლება ეძლევათ (რა თქმა უნდა, მომდევნო კენჭისყრამდე). მეტიც, ამ დროს სხდომათა დარბაზში უმრავლესობის რიგითი წევრების ყოფნა არასასურველიც კი არის - შეიძლება, "დემაგოგმა-ოპოზიციონერებმა" "გონება აურიონ" და "ჭეშმარიტების გზას" ააცდინონ, ან ისეთი სისულელე წამოროშონ, რომ იმავე ოპონენტების წისქვილზე დაასხან წყალი.*



საპარლამენტო უმრავლესობა კენჭისყრისთვის იკრიბება.

გუშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის პროცედურა დასრულდა, პარლამენტში 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული კანონპროექტების განხილვა დაიწყო. "საპულტო-სატელეფონო" უმრავლესობა, რომელიც გულზე მჯიღის კვრით საუბრობს ბიუჯეტის სასწრაფოდ მიღების აუცილებლობაზე, ამ დროს სხდომათა დარბაზში უკვე აღარ იყო - თუმცა, რას ერჩი, ნანა ბიჭიაშვილის კანდიდატურას ხმა მისცეს, სხვა კენჭისყრა კი იმ დღეს აღარ იყო დაგეგმილი. მეტიც, კანტიკუნტად შემორჩენილ უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი იმაზეც კი გაღიზიანდა, რომ საკითხის განხილვა დროში გაიწელა. მაგალითად, სოციალისტი ნუგზარ ნავაძე აღშფოთებით ალაპარაკდა იმაზე, რომ ოპოზიცია "წვრილმან თემებზე" მსჯელობას შეგნებულად აჭიანურებს და ამით ბიუჯეტის მიღების პროცესს აყოვნებს.

კიდევ უფრო შორს წავიდა ნოდარ ამაღლობელი. მისი აზრით, ვინაიდან ოპოზიციამ ბიუჯეტის პროექტს პირველი მოსმენისას მხარი არ დაუჭირა, მას უფლება არა აქვს, მეორე მოსმენით გათვალისწინებულ განხილვაში მიიღოს მონაწილეობა (?!).

თუმცა, ამ დროისთვის სხდომათა დარბაზში როლები უკვე შეცვლილი იყო: უმრავლესობა უმცირესობად ქცეულიყო, მიკროფონებთან კი მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები იდგნენ და ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ლევან ჩრდილელის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს "მუსრს ავლებდნენ". კერძოდ, საქმე ეხებოდა სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენილ პირთა მატერიალურ ანაზღაურებას (როგორც გაირკვა, შესაბამისი კანონპროექტი საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე არ განხილულა და აქედან გამომდინარე, არც სათანადო დასკვნა არსებობს).

ვასილ მაღლაფერიძე, ალეკო შალამბერიძე, ხათუნა ხოფერია და სხვები გაკვირვებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ ხელისუფლება ადრე გაცემული ჯილდოებისთვის საჭირო თანხების გაცემის გადავადებას ითხოვდა და მხოლოდ წლევანდელი "გმირობის" ანაზღაურებაზე თანხმდებოდა.

**"გამოდის, რომ ვინც ოპოზიციას არჩევნებში შეებრძოლება და მთავრობა გმირებად შერაცხავს, ისინი ფულს მიიღებენ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში ღირსეულად მებრძოლნი კი - ვერა?",** - ხელისუფლების პოლიტიკაში ბოლომდე "ვერ გაერკვა" ოპოზიცია. მისთვის ისიც აუხსნელი დარჩა, თუ როგორ შეიძლება წინასწარ დაიგეგმოს, რამდენი კაცი ჩაიდენს გმირობას 2003 წელს და მათი ქმედებების დასაფასებლად 400 ათასი ლარი გამოიყოს.

სახელისუფლებო ფრაქციებს კი ასეთი საკითხები ნაკლებად აღელვებთ - ძირითადად, სავარძლებზე არიან ორიენტირებულნი. ამიტომ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის დაუფლების შემდეგ, მადაზე მოვიდნენ და ერთ-ერთი ბოლო ოპოზიციური "ანკლავის" ლიკვიდაციასაც შეეცადნენ. როგორც ცნობილია, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელ დროებით საპარლამენტო კომისიას ელდარ შენგელაია თავმჯდომარეობს, "სოციალისტებს" კი ძალიან უნდათ ამ კომისიის "დათრევა". მათ ისარგებლეს იმით, რომ კომისიის უფლებამოსილების ვადა ამოიწურა, მისი გაგრძელებაა საჭირო და დაჟინებით ითხოვდნენ თავმჯდომარის შეცვლას.

ვახტანგ რჩეულიშვილმა და მისმა თანაპარტიელებმა გუშინ მიზანს ვერ მიაღწიეს: პარლამენტმა კომისიას (მთლიანობაში) ვადა გაუგრძელა (ამ გადაწყვეტილებას "სოციალისტებმაც" დაუჭირეს მხარი). თუმცა, ელდარ შენგელაიას მაინც არა აქვს "მშვიდი ცხოვრება" გარანტირებული - ვახტანგ რჩეულიშვილის გუნდს დასახული მიზნიდან გადახვევა არ სჩვევია: კომისიის თავმჯდომარის სავარძლის ხელში ჩასაგდებად ბრძოლის გაგრძელებას იგი მომავალშიც აპირებს.

# „ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, ტერორისტები რომ არა ვართ"



ზაქაევი კოპენჰაგენში ჩეჩნების მსოფლიო კონგრესზე

პირველი გვერდიდან

**- ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კიდევ ერთხელ განაახლა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შავი სია და, მოსკოვის ზეწოლის მიუხედავად, მასში ჩეჩნური ჯგუფები არ აღმოჩნდნენ. რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ვაშინგტონის ეს გადაწყვეტილება?**

- ეს იმდენად ჩეჩნების გამარჯვება არ არის, რამდენადაც რუსეთის კიდევ ერთი მარცხი. მოსკოვი დიდი ხანია ყველა მეთოდით ცდილობს, ზეწოლა მოახდინოს საერთაშორისო თანამეგობრობაზე და თვითგამორკვევისთვის ჩვენი ბრძოლა ტერორისტულ მოძრაობად გამოაცხადოს. 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, რუსეთი სწორედ ამ მიზნით მიუერთდა საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიციას. მაშინ პუტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთი მიიღებს მონაწილეობას ანტიტერორისტულ კოალიციაში იმ პირობით, თუ თანამეგობრობა რუსეთის ოპერაციას ჩეჩნეთში განიხილავს სწორედ ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში. მაშინ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწის, კონდოლიზა რაისის ცნობილმა პასუხმა მოსკოვს არ მისცა საშუალება, რომ ჩეჩნეთის მოსახლეობის გენოციდი უფრო ღიად განეხორციელებინა.

მოსკოვი ახლაც ცდილობს, გამოიყენოს "ნორდ-ოსტის" ტრაგედიით მიღებული შოკი. ჯერ დანიაში, ახლა კი დიდ ბრიტანეთში ჩემი დევნა ამის ნათელი დადასტურებაა. დანიის სასამართლოს რომ მიეღო გადაწყვეტილება ჩემი რუსეთში ექსტრადირების შესახებ, ჩათვალეთ, რომ მთელი ევროპა ჩეჩნების ბრძოლას ტერორისტულად გამოაცხადებდა. საბედნიეროდ, დანიამ გაუძლო ძალიან სერიოზულ გამოცდას და ბოლომდე დაიცვა დემოკრატიის პრინციპები. ამის შემდეგ ნამდვილად არ ველოდი, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ჩვენს მებრძოლებს ტერორისტებად გამოაცხადებდა. არ ველოდი თუნდაც იმიტომ, რომ ჩეჩნები ტერორისტები ნამდვილად არ არიან.

**- ამის მიუხედავად, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწეს სერგეი იასტრჟემბსკის კვლავ აქვს იმის დიდი იმედი, რომ ამერიკა ჩეჩნებს ტერორისტებად გამოაცხადებს...**

- გავეცანი იასტრჟემბსკის განცხადებებს. რუსეთის ხელისუფლებას ერთი ამოცანა აქვს. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რუსეთის სპეცსამსახურებს შეუძლიათ, რომ გამოიყენონ ერთი ბირთვული ობიექტი და ჩეჩნებს ერთხელ და სამუდამოდ შეუქმნან საერთაშორისო ტერორისტების იმიჯი. ეს მათ კარგად გამოუვიდათ მოსკოვში, ვოლგოდონსკში, ყიზლარში, იმავე პანკისში... ამის შემდეგ ჩეჩნების დევნა დაიწყება მთელ მსოფლიოში; მოხდება დაპატიმრებები, ლიდერებზე ნადირობა, ახალი სასამართლო პროცესები... მოსკოვს სწორედ ეს სურს.

**- გამორიცხავთ თქვენი ექსტრადაციის შესაძლებლობას რუსეთში?**

- არ შემიძლია იმის პროგნოზირება, როგორ წარიმართება სასამართლო პროცესი. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ყველა შემთხვევაში პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იურიდიულ მომენტებთან. დამნაშავე არა ვარ და თუ გადამცემენ, ეს იქნება რუსეთის ამბიციების დაკმაყოფილება. რუსეთისთვის უარის თქმა ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება. დღეს ევროპა განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ჩეჩნეთის პრობლემისადმი. ჩემდამი დამოკიდებულებით გამოჩნდება ევროპის დამოკიდებულება ჩეჩნურ მოძრაობასთან.

**- რამდენად შეეფერება სიმართლეს ინფორმაცია, რომ დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვეთ?**

- ეს საკითხიც სასამართლო პროცესის კონტექსტში გადაწყდება. ჯერჯერობით, ასეთი განცხადება არ გამიკეთებია.

**- თქვენ დღემდე ამტკიცებთ, რომ რუსეთი ჩეჩენი ტერორისტის სახის შექმნას ცდილობს, თუმცა უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება, რომლებიც ჩეჩნური ჯგუფების კავშირს ადასტურებენ რუსეთის სპეცსამსახურებთან...**

- ჩეჩნები დიდი ხანია, რაც ტყვეობაში არიან. ბუნებრივია, რუსეთის სპეცსამსახურები ცდილობენ როგორც უიმედო ადამიანების, ისე გამყიდველებისა და მოღალატეების გამოყენებას. ეს სულ სხვა თემაა. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების გაკონტროლება იჩქერიის ხელისუფლების ძალებს აღემატება.

**- ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანმა ანალიტიკურმა ცენტრებმა იანვარში გაავრცელეს გამოკვლევა, სადაც საუბარია, რომ "ალ ქაედას" ერთ-ერთი ლიდერი, ალ-ზავახირი, ჩეჩენი მებრძოლების საშუალებით ეცდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ნავთობსადენებზე მეგატერორისტული აქტების განხორციელებას...**

- ჩეჩნებს არასოდეს არავითარი კავშირი არ ჰქონიათ "ალ ქაედასა" და ოსამა ბენ ლადენთან. მე ამას გამოვრიცხავ.

**- მოსკოვი კვლავ ადანაშაულებს საქართველოს ჩეჩენი ტერორისტების მხარდაჭერაში, ელოდებით პანკისში სიტუაციის დაძაბვას?**

- რუსეთი ჯერ კიდევ რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს ახდენდა საქართველოზე ზეწოლას და ცდილობდა კონფლიქტში მის ჩათრევას. დღემდე ეს პოლიტიკა გრძელდება.

სამწუხაროდ, ბოლო დროს საქართველო დაწოლას ვეღარ უძლებს. თქვენი ლიდერი ზოგჯერ ისე იქცევა, როგორც კავკასიელებს არასოდეს გვახასიათებდა: 7 დეკემბრის ანტიჩეჩნური ოპერაცია თბილისში, ჩეჩენი მებრძოლების ექსტრადიცია... ვფიქრობ, ეს არ უნდა გაკეთებულიყო. რაც შეეხება პანკისის თემას, ისიც რუსეთის მიერ არის შექმნილი და დასავლეთში ეს უკვე გაიგეს. პანკისში მხოლოდ ჩეჩენი ლტოლვილები არიან. ჩვენ არ გვჭირდება სამხედრო ბაზები საქართველოში, რადგან ასეთი ბაზები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე საკმარისზე მეტი გვაქვს. ჩვენ საქართველოსგან არ გვჭირდება იარაღი. პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მეტი იარაღი სწორედ ჩეჩნეთშია. ჩვენ ქართველების თანადგომა გვსურს, ლტოლვილთა საკითხში გვესაჭიროება დახმარება (*ცნობისათვის: ახმედ ზაკაევის ძმა და მისი ოჯახი თბილისში ცხოვრობენ. ზ.წ*).

**- გასული წლის სექტემბერში, თბილისში, რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, ივან რიბკინის ვიზიტის დროს გაიჟღერა, რომ მან შევარდნაძეს თქვენი თხოვნა გადასცა ჩეჩნეთის კონფლიქტის სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართვასთან დაკავშირებით. რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაცია?**

- ამ თემაზე რიბკინსა და შევარდნაძეს შორის საუბარი მართლაც შედგა. ეს არის როგორც ჩემი, ისე რიბკინის სურვილი. ედუარდ შევარდნაძე კარგად იცნობს კავკასიას, აქ არსებულ პრობლემებს. მას შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს პოლიტიკური დიალოგის გზით კონფლიქტის დარეგულირებაში. თავის დროზე შევარდნაძეს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა იჩქერიის პრეზიდენტთან ასლან მასხადოვთან. ვფიქრობ, შევარდნაძე შეძლებს, რომ შუამავალი გახდეს რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის. იმავეს ვფიქრობ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევზეც.

**- თქვენ ჩეჩნეთის კონფლიქტის დარეგულირების რომელ გზას უჭერთ მხარს?**

- უკვე ცხადია, რომ საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის გარეშე რუსეთი და ჩეჩნეთი ამ პრობლემას მარტო ვერ მოაგვარებენ. პირველ რიგში აუცილებელია ომის შეწყვეტა. რუსეთის ჯარებმა უნდა დატოვონ ჩეჩნეთის ტერიტორია. ევროპას უკვე აქვს ასეთი კონფლიქტის შეწყვეტის გამოცდილება კოსოვოში, სადაც სწორედ თანამეგობრობის ჩარევით გახდა შესაძლებელი ალბანელების გენოციდის შეჩერება. ასეთივე გზით შესაძლებელია ჩეჩნების გენოციდის შეჩერებაც. ჩვენი ხელისუფლება მხარს უჭერს მთელი ძალაუფლების გაერო-ს დროებითი ადმინისტრაციისათვის გადაცემას და გაერო-ს სამშვიდობო ძალების შემოსვლას იჩქერიის ტერიტორიაზე..

# დავით გამყრელიძე: ჩვენ ღიად გავემიჯნეთ პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკას, მის ქმედებებს

პირველი გვერდიდან

**- მაგრამ არ შედგა არც თქვენი ერთობა ჟვანიასთან...**

- "დემოკრატებთან", ისევე, როგორც რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან, გვაქვს დიალოგი, მაგრამ ჟვანია დღეს ცდილობს, რომ ცენტრში დაიკავოს ადგილი და მემარცხენე ლოზუნგებითაც გამოვიდეს, მაგალითად მინიმალურ ხელფასებთან დაკავშირებით... დღეს მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს არის მკაფიოდ გამოკვეთილი მემარჯვენე ძალა.

საერთოდ, ამჟამად პარტნიორების ძირითადი ძიება მაინც მიდის იმის გამო, რომ პოლიტიკურ ძალებს შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის პრობლემა უდგათ. მე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ჩვენს პარტიას დღეს ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვს. ამიტომ ჩვენ ამ მიზნით და ამ მიზეზით პოლიტიკურ პარტნიორებს არ ვეძებთ.

**- რა გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ბარიერს გადალახავთ. ოღონდ ნუ მეტყვით, რომ პოპულარობა, რეიტინგი...**

- არა, სხვათა შორის, სწორედ რეიტინგი მეტად არასტაბილური რამ გახლავთ. ძირითადი გარანტია არის აწყობილი პოლიტიკური სტრუქტურა. ჯერჯერობით (ხვალ რა იქნება არ ვიცი) მაგრამ დღეს ყველაზე უფრო ორგანიზებული, ყველაზე სტრუქტურიზებული პარტია არის "ახალი მემარჯვენეები". ეს ჩვენ გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს სხვა პარტიებთან შედარებით.

**- მაგრამ ასევე მყარად არის ჩამოყალიბებული არჩევნების ტრადიციაც, კერძოდ - ოპოზიციურ პარტიას, მით უმეტეს ერთს, ცალკე აღებულს, ხელისუფლებასთან გარიგების გარეშე, საარჩევნო ბარიერის, რამდენპროცენტიანიც არ უნდა იყოს იგი, გადალახვის ძალიან მცირე შანსი აქვს.**

- თუ ხელისუფლება ისევ იმ გზას დაადგა, როგორც ტარდებოდა ბოლო 10 წლის განმავლობაში არჩევნები, მაშინ რაც არ უნდა გაერთიანდეს მთელი ოპოზიცია, შეიძლება, მთელი ოპოზიცია ბარიერს მიღმა დარჩეს.

ამიტომ ჩვენი გარანტია არის არა ის, რომ გარკვეული გარიგებებით შეიძლება მივაღწიოთ ბარიერის გადალახვას. დღევანდელი ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი საშუალებაა, რომ საერთაშორისო მონიტორინგის, ამ პროცესში უცხოელი მეგობრების ჩართვით, გარკვეული ღონისძიებების დაფინანსებით, არ უნდა დავუშვათ მსგავსი არჩევნების ჩატარება. თორემ, თუ ამას ვერ მივაღწიეთ, მაშინ ოპოზიციად ვის დანიშნავენ, ეს კანცელარიაში გადაწყდება.

**- თქვენის აზრით, ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, თუნდაც საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ, დაუშვებს? შესაძლებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება დღევანდელი კანონმდებლობის შენარჩუნების შემთხვევაში, რისი შეცვლაც ხელისუფლების სურვილის გარეშე, პარლამენტში დღევანდელი ძალთა ბალანსის პირობებში, ცხადია, ვერ მოხერხდება?**



დავით გამყრელიძე

- ნებისმიერ ოპოზიციურ პარტიას, იქნება თუ არა იგი ოპოზიციურ გაერთიანებაში, არ დარჩება არანაირი სხვა გზა, გარდა სერიოზული პროტესტისა, თუ კანონმდებლობა ასეთი დარჩა. მგონია, რომ კანცელარიას და ქვეყნის ხელმძღვანელობას ეყოფა გონი საიმისოდ, რომ ასეთ დაპირისპირებამდე სიტუაცია არ მიიყვანოს. მე იმედი მაქვს, რომ როგორც კი პარლამენტში ბიუჯეტზე დასრულდება გარიგებები და ვნებათაღელვა, შეთანხმდება საარჩევნო კანონმდებლობა.

**- ბარიერის შეცვლის შანსს თუ ხედავთ?**

- ასეთ შანსს მე ნაკლებად ვხედავ. არა მგონია, რომ ამისთვის პარლამენტი დღეს მზად აღმოჩნდეს.

**- თქვენ თავად ბარიერის დაწევას მხარს დაუჭერთ?**

- ჩვენ ამაზე პარტიაში არ გვისაუბრია, თუმცა, პირადად მე ამას მხარს დავუჭერ, რადგან 5-პროცენტიანი ბარიერი არის 100 000 ხმა. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური ძალა, რომელსაც 100 000 ამომრჩეველი უჭერს მხარს, პარლამენტს მიღმა არ უნდა დარჩეს.

**- თქვენ პარტიას ბიუჯეტთან დაკავშირებით წელს აღარ უხმაურია. რითი შეიძლება აიხსნას ეს? უკან დაიხიეთ?**

- ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეს არის არჩევნებზე მორგებული ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტის მხარდაჭერა ხელისუფლებამ მოიპოვა ყველაზე ბინძური მეთოდებით, რაც მე პარლამენტში მახსოვს. ამ პარლამენტში არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს იმისა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებამ რაიმე გავლენა მოახდინოს ბიუჯეტზე,

**- თქვენი ფრაქციის ორმა წევრმა მხარი დაუჭირა ბიუჯეტს. გავრცელდა ხმა, რომ ირაკლი ბათიაშვილს ამასთან დაკავშირებით პარტიაში პრობლემებიც შეექმნა...**

- სამწუხაროდ, დოდო შელიამ კენჭისყრამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიღო გადაწყვეტილება ბიუჯეტისთვის ხმის მიცემის შესახებ და მაცნობა, რომ ეს თავისთავად ნიშნავს პარტიის მიღმა დადგომას. ქალბატონმა დოდომ თავად გააკეთა არჩევანი.

რაც შეეხება ირაკლი ბათიაშვილს, რეალურად წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი: ერთი მხრივ, იგი არის კომიტეტის თავმჯდომარე და პასუხისმგებლობა აქვს ამ სფეროზე; მეორე მხრივ, იგი პარტიის თანათავმჯდომარეა, შესაბამისი ვალდებულებებით. ამიტომ, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, რომ მას არჩევანის გაკეთება მოუწევს - ან კომიტეტის თავმჯდომარედ დარჩება, ან აქტიურ პარტიულ მოღვაწეობაში ჩაერთვება. ეს არჩევანი თვითონ ირაკლის გასაკეთებელია.

**- ოპოზიციური ერთობისგან გარეთ დარჩენით ხომ არ ცდილობთ, თქვენ დაიკავოთ ე.წ. მესამე ცენტრის ადგილი, ანუ საკუთარი თავი შესთავაზოთ იმ ამომრჩეველს, რომელსაც, ერთი მხრივ, აღარც სახელისუფლებო ძალებისადმი (საუბარია "მოქალაქეებზე" და "აღორძინებაზე") შერჩა სიმპათია და, მეორე მხრივ, ოპოზიციური რადიკალიზმიც აშინებს?**

- რადიკალიზმი საზოგადოებაში შიშის გრძნობას მართლაც იწვევს. რაც შეხება მესამე ცენტრს - ჩვენ არ ვეძებთ არავითარ ცენტრს, ჩვენ გვაქვს ძლიან მკაფიო ორიენტაცია, სახელშიც გვაქვს ეს სიტყვა - ჩვენ გვინდა დავიკავოთ მემარჯვენე ნიშა, თუ ასეთი ნიშა საერთოდ არსებობს ამ ქვეყანაში.

**- დღეს ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ "მემარჯვენე" "ახლები", რომელთაც აქვთ ოპოზიციური იმიჯი და აქვთ ფული, შეიძლება, გაცილებით მომხიბვლელნი იყვნენ შევარდნაძისთვის, რომელმაც თავის დროზე თქვენზე არჩევანის შეჩერების შანსი არ გამოიყენა...**

- მე ერთი შემიძლია ვთქვა - ჩვენ ძალიან მკაფიო პროტესტი გამოვხატეთ და ძალიან ღიად გავემიჯნეთ პრეზიდენტ შევარდნაძეს, მის პოლიტიკას, მის ქმედებებს, რადგან მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია, რომ პოლიტიკა, რომელსაც დღევანდელ დღეს იგი ახორციელებს, მიუღებელია. არ ვსაუბრობ 1995 - 1996 წლებზე, როცა შევარდნაძემ მკაფიო არჩევანი გააკეთა დასავლეთზე, აშშ-ზე, დაუპირისპირდა კრიმინალებს, დაიწყო საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობა... მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ისტორიას ჩაბარდა.

თუ საოცრება მოხდა და შევარდნაძემ ძალიან სწორი ნაბიჯების გადაგმა დაიწყო, რასაც ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, კორუფციასთან ბრძოლა ჰქვია, მე არ შემრცხვება ვთქვა, რომ ამ კონკრეტულ ნაბიჯებში მხარს ვუჭერ მას.

მაგრამ მე ამის იმედი არ მაქვს და შემიძლია ვთქვა, რომ პრაქტიკულად გამორიცხულია რაიმე კონსტრუქციული თანამშრომლობა პრეზიდენტ შევარდნაძესთან.

რაც შეეხება დაყრდნობას - თუ ჩვენ სერიოზულ წარმატებას მივაღწევთ საპარლამენტო არჩევნებში, რისი იმედიც მაქვს, ნებისმიერ უმრავლესობას, საპრეზიდენტო არჩევნებამდე, მოუწევს პრეზიდენტთან ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობა.

**- არჩევნებამდე, ალბათ, არაერთხელ გაიჟღერებს თქვენი პარტიის გვერდით კახა თარგამაძის, ვანო ჩხარტიშვილის, ბადრი პატარკაციშვილის გვარები, რომელთაც თქვენთან ყოველთვის ჰქონდათ გარკვეული კავშირი. ამ ადამიანების გვერდით ყოფნა თავისთავად კვებავს ეჭვს ხელისუფლებასთან "ახლების" შესაძლო გარიგების შესახებ.**

- მე ამ საკითხს დავუკავშირებდი ნიკო ლეკიშვილსაც, ვაჟა ლორთქიფანიძესაც და სხვა იმ გვარებსაც, რომლებიც ხშირად ფიგურირებ ხოლმე. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად იქნებიან ეს ადამიანები შევარდნაძის ოპოზიციაში გადასვლისთვის მზად. პარტია პიროვნებების გამო თავის პოზიციას არ შეიცვლის. პარტიას აქვს მკაფიო არჩევანი - ეს არის შევარდნაძის ხელისუფლებისადმი გამოკვეთილი ოპოზიცია. თუ ამ ადამიანებს ექნებათ სურვილი, რომ იყვნენ ოპოზიციაში, არავითარი პრობლემა არ არის...

**- ახალი სახეები, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე, გიორგი თარგამაძე თუ შეიძლება აღმოჩნდნენ თქვენს პარტიაში? ამბობენ, რომ ნინო ბურჯანაძის მიმართულებით თქვენ თავად აქტიურობთ.**

- ნინო ბურჯანაძესთან მეგობრული და კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. თუმცა, ჩვენს პარტიაში შემოსვლის საკითხი უშუალოდ მისი გადასაწყვეტია. რაც შეეხება გიორგი თარგამაძეს - იგი არასოდეს მალავდა, რომ მემარჯვენე ორიენტაციის ადამიანია. მაგრამ ჯერ არც ასლან აბაშიძისგან წამოსვლა გადაუწყვეტია. მე ვფიქრობ, რომ მომავალში იგი დამოუკიდებელი ძალის ჩამოყალიბებას ეეცდება.

# ჯონი ხეცურიანი ტრანსპორტის მინისტრს კონსტიტუციის წაკითხვას ურჩევს

შპს "აირზენას" მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წელს მოგებული სასამართლო პროცესი ის საკითხი აღმოჩნდა, რომელიც ამ უწყებაში გუშინ გამართულ საგანგებო პრეს-კონფერენციაზე დამსწრეთ ყველაზე ნაკლებად აღელვებდა. სამაგიეროდ, იგი აშკარად წარმოადგენდა სასამართლოს თავმჯდომარის, ჯონი ხეცურიანის ინტერესის საგანს. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მიერ გაკეთებული კომენტარებით გაღიზიანებულმა საკონსტიტუციო სასამართლოს თავკაცმა რამდენიმე მწარე განმარტება გააკეთა.

**"მერაბ ადეიშვილს ერთხელ მაინც რომ ჩაეხედა კონსტიტუციაში, აღარ იკითხავდა, მაშინ შეცდა ჯონი ხეცურიანი, როცა, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების რეგულირების შესახებ კანონპროექტი პარლამენტს საპარლამენტო მდივნის რანგში წარუდგინა, თუ მაშინ, როცა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის რანგში, ამ კანონის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღოო? საპარლამენტო მდივანი კანონებს არ წარადგენს, საკონსტიტუციო სასამართლო კი, არ არის სამინისტრო, სადაც ხელქვეითები ხელმძღვანელების მითითებებს ასრულებენ. ეს გადაწყვეტილება ოთხმა მოსამართლემ მიიღო და მე ამ პროცესში მონაწილეობა არ მიმიღია, თუმცა, მთლიანად ვეთანხმები მას,** - აცხადებს ჯონი ხეცურიანი და იქვე ამატებს, - **ეს დამოკიდებულება მე მაშინაც გამოვხატე, როცა საპარლამენტო მდივანი ვიყავი და, ფინანსთა სამინისტროს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მსგავსად, ამ კანონპროექტს უარყოფითი დასკვნა მივეცი."**

არგუმენტები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ასეთი განცხადების საფუძველს აძლევს, შემდეგი გახლავთ: ამ კანონით სატრანსპორტო საწარმოების რეგულირებისთვის დაწესებული ყოველწლიური საფასური, თავისი შინაარსით, მოსაკრებელია. შესაბამისად, იგი ბიუჯეტში უნდა მიდიოდეს და არა პირდაპირი ხაზით – ადმინისტრაციასა და სამინისტროში. ვინაიდან საწარმოები ყველა დაწესებულ გადასახადს იხდიან, გადასახადის ეს ფორმა, როგორც მეწარმეთა საქმიანობისთვის ხელისშემშლელი, გაუქმდა.

*"24 საათი"*

# ინდოეთი - ტექნოლოგიურად ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყანა

თორნიკე შარაშენიძე

ინდოეთის ტექნოლოგიური სექტორი წელს ყველაზე სწრაფად მზარდი იქნება მსოფლიოში. ასეთი დასკვნა გამოაქვეყნა ცნობილმა საკონსულტაციო ჯგუფმა "გარტნერმა." ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, ინდოეთის შიდა ბაზარი წელს 25-30 პროცენტით გაიზრდება. მართალია, მთლიანი მონაცემებით, ჩინეთის ბაზარი კვლავაც უდიდესი იქნება მსოფლიოში, მაგრამ ზრდის ტემპებით მსოფლიოს მეორე უდიდესი ქვეყანა მას მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებს.

ჩინეთი 2001 წლის ბოლოდან მოყოლებული (როცა იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიიღეს) უცხოური ინვესტიციების მთავარ სამიზნედ იქცა. ამის გათვალისწინებით, ინდოეთის ასეთი წარმატება მართლაც უჩვეულოდ გამოიყურება. ჩანს, აქ გადამწყვეტი გახდა უცხოელი მეწარმეებისათვის ინდოეთში შექმნილი შეღავათების მთელი წყება. მათთვის ამ ქვეყანაში ბიზნესის წამოწყება, პრაქტიკულად, არანაირ პრობლემასთან თუ დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.

"გარტნერის" მკვლევართა აზრით, ერთადერთი, რამაც 2004 წელს ინდოეთს ხელი შეიძლება შეუშალოს იმავე მიღწევის განმეორებაში, უსაფრთხოების პრობლემებია. მოგეხსენებათ, პაკისტანთან შუღლისა და კიდევ ათასი შიდა პრობლემის გამო, ამ ქვეყანაში ვითარება არც ისე სტაბილურია.

## მოკლედ

**თბილისი.** ხელისუფლება ნავთობგადამამუშავებელ ქარხანა GAOR-ს, ჯერჯერობით, საგადასახადო შეღავათებს არ აძლევს და საკითხის გადასაწყვეტად ორთვიან ვადას ითხოვს. როგორც GAOR-ის დირექტორი გივი ასათიანი აცხადებს, დიზელის საწვავსა და ბენზინის წარმოებას არარენტაბელურს ხდის ნაფტაზე მაღალი გადასახადები. ამიტომ ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მთავარი ინვესტორის - "კანარგოს" - ხელმძღვანელობა ქარხნის დემონტაჟს აპირებს. ასათიანის თქმით, ბრიტანული კომპანია, რომელმაც ქარხანაში 4 მილიონი დოლარის ინვესტიციები ჩადო, დაახლოებით 3 მილიონი ლარის ზარალი განიცადა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე ბუკიას განცხადებით, მხარეში მცხოვრები 1.500 ოჯახი პოტენციური თავდასხმის ობიექტია. ლაპარაკია ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით კრიმინოგენული ვითარების შესაძლო დაძაბვაზე, რაც შეიძლება BP მიერ მიწის კომპენსაციების გაცემას მოჰყვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** გუშინ, მოსკოვში გაიმართა მრეწველებისა და მეწარმეების საერთაშორისო კონგრესის პრეზიდიუმის სხდომა. რუსეთის მრეწველთა კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, სხდომის ძირითადი თემაა 2003 წლის სამუშაო გეგმის განხილვა. მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესის პრეზიდიუმი აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირებს. მათ შორის არიან აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსის, საქართველოს, ბულგარეთის, რუსეთის, უნგრეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, სლოვაკეთის, მოლდოვას, ტაჯიკეთის, თურქმენეთის ეროვნული ორგანიზაციები. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შესაძლოა, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის დასრულება ჩაიშალოს, რადგან ერთ-ერთმა დონორმა ქვეყანამ, დიდმა ბრიტანეთმა, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს დაფინანსება შეუწყვიტა.

„30 იანვარს, ამასთან დაკავშირებით, დეპარტამენტი გეგმავს შეხვედრას დონორ ორგანიზაციებთან", - განაცხადა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თემურ ბერიძემ. აღწერის წინასწარი შედეგების გამოქვეყნებას სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მიმდინარე წლის გაზაფხულზე გეგმავდა. აგვისტოში იგეგმება აღწერის შედეგების რამდენიმე ტომის პუბლიკაცია. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** გასულ წელს სტიქიურმა მოვლენებმა კახეთის რეგიონი 300 მილიონ ლარამდე აზარალა. მოსახლეობა, ფაქტობრივად, უსახსროდაა დარჩენილი, რაზეც მეტყველებს ის, რომ მხარეში დღეისათვის დათესილია საერთო ფართობის მხოლოდ 48 პროცენტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაავალა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, "გააძლიეროს კონტროლი თევზის და ზღვის პროდუქტების ჭერასა და რეალიზაციაზე და განსაზღვროს სარეალიზაციო პროდუქციის ფასები". ერთი კვირის მანძილზე ქალაქებსა და რაიონებში უნდა იქნეს ორგანიზებული თევზისა და ზღვის პროდუქტების გაყიდვა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია ყოველკვირეულად მიაწოდოს პრემიერ-მინისტრს ცნობები თევზის და ზღვის პროდუქტების ჭერისა და რეალიზაციის შესახებ. **კავკას-პრესი**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 23 - 29 იანვრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6106 | 0.6597 | 0.0061 |
| US$ | 1.6378 | | 1.0803 | 0.0084 |
| Euro | 1.5155 | 0.9256 | | 0.0078 |
| Yen | 194.54 | 118.78 | 128.35 | |

2003 წლის 29 იანვრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3503 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.5525 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.6016 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1760 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3116 ლარი |
| იაპონური იენი | 1 | 0.1835 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4440 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3725 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0786 ლარი |

# ჩვენი სახელმწიფო ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს

## პრეზიდენტის ლიფტს შვიდი წელია, რაც ვადა გაუვიდა

პირველი გვერდიდან

მაგრამ როდესაც დგება გაუთვალისწინებელი სამთავრობო ღონისძიების ორგანიზების საკითხი, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური, თურმე, "ჩიხში ექცევა", რადგან დამატებითი თანხების მოძიება თითქმის წარმოუდგენელი ყოფილა. ამ სამსახურის უფროსი ირაკლი ანდრიაძე გულდაწყვეტილი აცხადებს: **"აღნიშნული უწყება ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო ატრიბუტიკასთან არის გათანაბრებული. საქართველოში კი სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 0,4 პროცენტი გამოიყოფა."** ანდრიაძეს 4 მილიონ 500 ათასი ლარი ეცოტავება და იმისათვისაც კი არ ჰყოფნის, რომ, მაგალითად, სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის ლიფტები გამოცვალოს. როგორც გაირკვა, ამ ლიფტებს უკვე შვიდი წელია, რაც ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა. თუმცა, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური ქვეყანაში არსებულ საბიუჯეტო კრიზისს "სულგრძელად" უწევს ანგარიშს და ფინანსთა სამინისტროს ნამდვილად არ "ახრჩობს" თანხების მოთხოვნით. როგორც სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ზურაბ გაგუნაშვილი აცხადებს, **" იმ თანხებსაც მთლიანად არ გვირიცხავს ფინანსთა სამინისტრო, რაც ჩვენთვისაა გათვალისწინებული. 2002 წელს, მაგალითად, 300 ათასი ლარი დაგვაკლეს, რის გამოც, ბოლო სამი თვის განმავლობაში, კანცელარიის მოხელეთა პირადი მომსახურების მანქანებს ბენზინი ვერ ჩავუსხით."**



*სოციალურ ხარჯებზე სამჯერ მეტად "სპეცსახსრები" გაიზარდა.*

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის ინფორმაციით, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საოჯახო დახმარებებისთვის 14 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაც მთელი წლის მანძილზე 68 ათას ოჯახზე უნდა განაწილდეს. თითოეულ ოჯახს თვეში 17 ლარი უწევს. თუმცა, ალბათ, არავინ დავობს იმაზე, რომ აღნიშნული თანხა, რომელიც საარსებო მინიმუმის (115 ლარი) მეექვსედს შეადგენს, ორ და მეტსულიანი ოჯახისთვის ნამდვილად ვერ იქნება შეღავათის მიმცემი. ისიც ფაქტია, რომ საქართველოში 68 ათასზე მეტი ოჯახი საჭიროებს სოციალურ დახმარებებს.

სოციალური ხარჯებისა და სპეცტრანსფერების შედარებისას ის პრიორიტეტები, რითაც მთავრობა ბიუჯეტის დაგეგმარების დროს ხელმძღვანელობდა, აბსოლუტურად გასაგები ხდება. პირველი მოსმენის შემდეგ ბიუჯეტის პროექტში "სპეცხარჯებმა" 75 მილიონი ლარით იმატა, ხოლო სოციალურმა დაფინანსებამ – სულ რაღაც 20-25 მილიონი ლარით.

# მილსადენები - სარგებელი ქვეყნისთვის თუ გამოუსწორებელი ზიანი

*ბორჯომის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობის მოწინააღმდეგე არასამთავრობო სექტორს სპეციალისტები და ექსპერტებიც შეუერთდნენ. მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკოლოგიური კომისიის წევრმა გეოლოგებმა მილსადენების ამჟამად არსებული მარშრუტის ყველაზე "მგრძნობიარე" საშიშ ზონად ცხრაწყარო-კოდიანას მონაკვეთი (ბორჯომის ხეობა) დაასახელეს და თავიანთი მოსაზრებები გუშინ კინოს სახლში არასამთავრობო ორგანიზაციების – "მოძრაობა ღირსეული მომავლისათვის" და "მწვანე ალტერნატივას" მიერ – მოწყობილ შეხვედრა-სემინარზე გამოთქვეს. "მართალია, აუცილებლად უნდა განხორციელდეს ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტები, მაგრამ ეს მინიმალური ზიანისა და მაქსიმალური სარგებლობის მოტანით უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი. სუფთა მინერალური წყლებიც გვინდა, ტყეც და მილსადენებიც", - ასეთია სპეციალისტების პოზიცია.*

სოფიკო ოხანაშვილი

შეხვედრაზე ექსპერტებმა ბორჯომის ხეობაში ნავთობისა და გაზსადენების გაყვანა გეოლოგიური კატასტროფის ტოლფასად შეაფასეს და ალტერნატიული მარშრუტების განხილვის აუცილებლობის საკითხი დააყენეს. ძირითადად, საუბარი ახალქალაქისა და ყარაყაიას ალტერნატიულ მიმართულებებს შეეხებოდა. ორივე მარშრუტი თანაბარი მოწონებით სარგებლობდა. სპეციალისტების ახსნით, სამხრეთ კავკასიის მილსადენების მშენებლობა, წალკის უნიკალური, მტკნარი წყალსატევებისა და ბორჯომის მინერალური წყლების დაბინძურების რეალურ საფუძველს წარმოადგენს. გამომსვლელთა თქმით bp-ის ექსპერტები მინერალური წყლების დაბინძურების შესაძლებლობას გამორიცხავენ. ამის არგუმენტად კი იმას ასახელებენ, რომ მინერალური წყლები ძალიან ღრმად არის განლაგებული. **"მართალია, მინერალური წყლები ღრმადაა განლაგებული, მაგრამ ნავთობის დაღვრის შემთხვევაში ზედაპირზე ამოსვლისას წყლებს დახვდება ნავთობით დაბინძურებული ნიადაგი და მინერალური წყალიც დაბინძურდება",** - ასე ახსნა მინერალური წყლების დაბინძურების მექანიზმი გეოლოგმა უჩა ზვიადაძემ.

ბორჯომის მინერალური წყლების დაზიანების შესაძლებლობა უარყო გეოლოგმა თენგიზ ლაზარაშვილმა. მისი განცხადება ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ლაზარაშვილის მტკიცებით, მილსადენების დაზიანებისა და ნავთობის დაღვრის შემთხვევაშიც კი, მინერალურ წყლებს დაბინძურების არანაირი საფრთხე არ ემუქრება. **"მილსადენების დაზიანების შემთხვევაში ნავთობის დაღვრის მაქსიმალური მოცულობა შვიდი ათას ტონას (12 ათას კუბურ მეტრს) შეადგენს. დაღვრილი ნავთობი ვერ დააზიანებს მინერალურ წყლებს",** - თავდაჯერებულად განაცხადა ლაზარაშვილმა. თავისი პოზიციის გასამტკიცებლად კი დაღვრილი ნავთობის მოცულობის სიმცირე და ნავთობის უხსნადობა დაასახელა. მისი მოსაზრება გადატვირთულ დარბაზში მხოლოდ ერთმა ადამიანმა, ბორჯომელმა ექიმმა მიხეილ თვაურმა გაიზიარა. დანარჩენი სპეციალისტები კი სხვადასხვა არგუმენტებს იშველიებდნენ ლაზარაშვილის გადასარწმუნებლად, მაგრამ უშედეგოდ.

წყლების დაბინძურების გარდა, იმავე მონაკვეთზე (ცხრაწყარო-კოდიანა) მეორე სერიოზული პრობლემა გამოიკვეთა. გეოლოგ მერაბ თვალჭრელიძის თქმით, მშენებლობისთვის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ბარიერს კოდიანას მეწყერი წარმოადგენს. **"აფეთქება და ბურღვა მშენებლებს სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებს, რადგან ეს ზონა მეწყრულად საშიშია",** - განაცხადა თვალჭრელიძემ. მისი მოსაზრება კოლეგებმაც დაადასტურეს. კოდიანას მეწყრის საშიშროებას ის გარემოება ზრდის, რომ, სპეციალისტების ინფორმაციით, ამჟამად უკვე დაძრულია 10 ათასი კუბური მეტრი მოცულობის ქანები. გეოლოგებმა bp-ის ექსპერტებს აცნობეს შექმნილი სიტუაციის შესახებ. მათ გამოსავალი ჰორიზონტალური ბურღვის მეთოდის გამოყენებაში მოძებნეს. ამ მეთოდის უსაფრთხოება GIOC-ის გარემოს დაცვის მენეჯერმა მედგარ ჭელიძემაც დაადასტურა. მისი თქმით, თანამედროვე ტექნოლოგია ნებისმიერ ადგილზე იძლევა მშენებლობის საშუალებას. ჭელიძის ეს მოსაზრება არ გაიზიარეს არც სპეციალისტებმა და არც სადავო 17-კილომეტრიან ტერიტორიაზე მშენებლობის მოწინააღმდეგე მოქალაქეებმა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც გუშინ გამართულ შეხვედრაზე გაამახვილეს ყურადღება მილსადენების მშენებლობის ზოლში მოხვედრილ ტყიან საფარს შეეხება, რომელიც 100 ჰექტარს შეადგენს. სპეციალისტების თქმით, ტყისზედა საზღვრის ხელყოფა, ეკო-სისტემის დანგრევას გამოიწვევს. **"მსოფლიოში ტყისზედა საზღვარი ყველაზე დაცული მონაკვეთია, მას არავინ არ ეხება. ვენის ტყეში ხუთი წიფელი დგას და იმას უვლიან დიდი სიფრთხილით. ჩვენ კი, ციხისჯვრის ტერიტორიაზე ორ კილომეტრზე გადაჭიმული წიფლის ტყე უნდა გავჩეხოთ",** - აღშფოთება ვერ დამალა გიორგი ნახუცრიშვილმა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მცდელობად GIOC-ის გარემოს დაცვის მენეჯერმა bp-ის დაპირება მოიშველია, რომლის თანახმადაც, ერთ მოჭრილ წიფელს ბრიტანული კომპანია ათი ნერგის დარგვით აანაზღაურებს.

შეხვედრის ზოგიერთი მონაწილის გამოსვლა უფრო ემოციური და რადიკალური იყო. მაგრამ, საბოლოოდ, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ - სადავო აღარ არის, რომ bp-ის პროექტები უნდა განხორციელდეს, მაგრამ ამისთვის ბრიტანულმა კომპანიამ ქართველი სპეციალისტების შემდეგი მოსაზრებები უნდა გაითვალისწინოს. bp-ის ექსპერტებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ მეწყრული ზონები, უნდა შემუშავდეს ალტერნატიული მარშრუტები, ასეთია "ბრითიშ პეტროლიუმის" მიმართ გეოლოგიური კომისიის წევრების მიერ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები.

სპეციალისტების თქმით, ჯერჯერობით, საბოლოო მარშრუტის დასამტკიცებლად მუშაობა და მოლაპარაკება კვლავ მიმდინარეობს. ამის მიუხედავად, 27 იანვარს ბორჯომში მესაკუთრეებისათვის bp-იმ კომპენსაციის დარიგება დაიწყო. ხელშეკრულების გაფორმებისა და საკომპენსაციო თანხის გაცემის პროცესზე დამსწრე "ბრითიშ პეტროლიუმის" ერთ-ერთმა ქართველმა წარმომადგენელმა (მან თავისი ვინაობა არ დაგვისახელა) განაცხადა, რომ **"ბორჯომის ტერიტორიაზე მილსადენი გაივლის, რადგან მარშრუტი დამტკიცებულია და სადავო აღარაფერი არ არის".**

შეხვედრა-სემინარი დღესაც გაგრძელდება. დღეს გამართულ შეხვედრაზე სპეციალისტები მილსადენების პროექტის სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებზე და შედეგებზე იმსჯელებენ. სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორის, კონფლიქტოლოგ ირაკლი კაკაბაძის თქმით, შეხვედრის მთავარ მიზანს სპეციალისტების მოსაზრებების შეჯერება, საბოლოო დასკვნის წერილობითი ფორმით მომზადება და შესაბამის უწყებებში დარიგება წარმოადგენს.

# სტატისტიკის დეპარტამენტი ინვესტიციების „ჩრდილიდან" გამოყვანას აპირებს

*საქართველოში ოფიციალურად დეკლარირებული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეალურად შემოტანილი და საქმეში "ჩადებული" თანხების მოცულობას. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი კანონმდებლობის უქონლობა სახელდება, რაც ინვესტიციის რეგისტრაციის სტიმულს არ იძლევა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უცხოური კაპიტალის მეშვეობით საქართველოში მოქმედ საწარმოებთან საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას გეგმავს. ეს უმთავრესად გულისხმობს ამ საწარმოებისგან მათი სრულყოფილი კვარტალური და ყოველწლიური ანგარიშების მიღებას.*

გვანცა კვინიკაძე

საწარმოებს სტატისტიკის დეპარტამენტისთვის ასეთი ანგარიშების წარდგენა ამჟამადაც ევალებათ. მაგრამ მათგან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა თუ იწუხებს თავს შესაბამისი ფორმების შევსებით. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თემურ ბერიძის განცხადებით, ამის ძირითადი მიზეზი არის კომპანიების სერიოზული შიში, რომ მათი ინფორმაციის კონფიდენტურობა სათანადოდ არ იქნება დაცული. გარდა ამისა, ბერიძის თქმით, მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიების დაუდევრობა და ინფორმაციის მოწოდების მანამდე მოქმედი ფორმების არასრულყოფილებაც. საყვედურები დაიმსახურა "ეი-ი-ეს თელასმა", რომელიც ანგარიშებს კი უგზავნის დეპარტამენტს, მაგრამ ხელმძღვანელთა ხელმოწერების გარეშე. ასევე პრობლემებია "ეი-ი-ეს მტკვართანაც". დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის დავით კბილაძის განცხადებით, ამ კომპანიას რამდენიმეჯერ სჭირდება შეხსენება ანგარიშების მომზადების თაობაზე. სამაგიეროდ, ამ დოკუმენტაციის წარდგენაზე საერთოდ უარს აცხადებენ ნავთობკომპანიები, მათ შორის - "კანარგო", რომლის მონაცემებიც, როგორც ყველაზე ფართო სარეალიზაციო ქსელის მქონე კომპანიისა, სტატისტიკის დეპარტამენტისთვის განსაკუთრებით საინტერესოა.

სტატისტიკის დეპარტამენტმა ახალი ფორმები საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) სპეციალური მისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით შექმნა და სსფ-ს მიერვე შერჩეული და უცხოური ინვესტიციების მეშვეობით დაფუძნებული საწარმოების წარმომადგენლებს გუშინ, სპეციალურ შეხვედრაზე გააცნო.

სტატისტიკის დეპარტამენტის საგადამხდელო ბალანსის სამმართველოს უფროსის ვახტანგ ფხაკაძის ინფორმაციით, სსფ-მ კვლევის საფუძველზე 30-მდე საწარმო შეარჩია, მათ შორის: "ბაგრატიონი 1882", GWS, BP, "აიეტი TV", "მაგთიკომი", "ეი-ი-ეს თელასი", "ქართუ ჯგუფი" "სანტე უოლშ პროდუქტები", "ჯეოსელი", "ყაზბეგი", "ახალი ქსელები", "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", "კვარციტი" და სხვა. ფხაკაძის თქმით, ამ კომპანიათა მასშტაბი იმდენად სერიოზულია, რომ მათგან ინვესტიციების შესახებ მონაცემების მიწოდების შემთხვევაში მიღებული იქნება ინფორმაციის თითქმის 90 პროცენტი.

ახალი ფორმების შევსებისას კომპანიებმა უნდა მიუთითონ საწარმოში უცხოელ ინვესტორთა წილის, განხორციელებული ინვესტიციის, მოგების გადასახადისა და დივიდენდების სახით გაცემული თანხების ოდენობა; აგრეთვე სხვა სახის ფინანსური ინფორმაციაც. სტატისტიკის დეპარტამენტი კანონში "სტატისტიკის შესახებ" შარშან, წლის ბოლოს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით სთავაზობს კომპანიებს მათი ფინანსური ინფორმაციის კონფიდენციურობის დაცვის უფრო მყარ გარანტიებს. ლოიალურობა გამოიჩინა დეპარტამენტმა აღნიშნული ფორმების წარდგენის ვადების განსაზღვრის დროსაც. იმის გამო, რომ დასახელებულ მსხვილ კომპანიათა შორის ბევრს საერთაშორისო აუდიტორი ემსახურება, მათი წლიური ანგარიშები მარტამდე ვერ მზადდება, ამიტომ მათი წარდგენის ბოლო ვადა 1 აპრილით განისაზღვრა.

თუმცა, სტატისტიკის დეპარტამენტი უცხოური ინვესტიციების თაობაზე ინფორმაციის შეგროვებას სხვა მეთოდებითაც ეცდება. იგი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ინვესტიციების მხრივ არსებული მდგომარეობის ექსპერტული შეფასებების განხორციელებას აპირებს. 2003 წლის სპეციალური პროგრამა 150-მდე ასეთ კვლევას მოიცავს. წელს დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მშენებლობის, ტრანსპორტის, საბითუმო ვაჭრობისა და სხვა დარგებს.

# მოსკოვისა და კიევის თაფლობისთვე დაიწყო

პირველი გვერდიდან

თავის უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის კაპიტალის მოძრაობის გააქტიურება აუცილებელია. პუტინმა დაუფარავი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ "ძალზე სწრაფად მიმდინარეობს გაზის კონსორციუმის შექმნა", რომელიც, ფაქტობრივად, უკრაინის გაზგამანაწილებელი სისტემის რუსეთისათვის გადაცემას გულისხმობს.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის ალექსეი გრომოვის ცნობით, კუჩმა "ლუკოილის" პრეზიდენტ ვაგიპ ალეკპეროვსაც შეხვდა.

ლეონიდ კუჩმას თქმით, საჭიროა, უკრაინელები და რუსები წარსულის ქიმერებისაგან გათავისუფლდნენ და კონცენტრირება მომავალზე მოახდინონ. "ჩვენს სახელმწიფოებს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ნაკარნახევია გლობალიზაციის პროცესებით, რომელიც თანამედროვე სამყაროში მიმდინარეობს", - განაცხადა კუჩმამ.

თუმცა, ნათელია, რომ რუსეთის მიმართ ლეონიდ კუჩმას დათაფლული ტონი გლობალიზაციის კი არა, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებით არის ნაკარნახევი. კორუფციასა და ადამიანის უფლებების ხელყოფაში დადანაშაულებულ უკრაინის პრეზიდენტს დასავლეთთან ურთიერთობები მკვეთრად გაუფუჭდა. ეს ნატო-ს პრაღის სამიტზე დასავლელი ლიდერების მიერ კუჩმას დემონსტრაციულმა იგნორირებამაც დაადასტურა.



ვლადიმირ პუტინი და ლეონიდ კუჩმა

ამავდროულად, გააქტიურდა ოპოზიცია, რომელიც პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს. შესაბამისად, კუჩმამ პრიორიტეტები შეცვალა და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით შეეცადა საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებას.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ პუტინის ვიზიტმა უკრაინაში ოპოზიციის საპროტესტო აქციების ფონზე ჩაიარა. "გაზეტა სნგ"-ს ცნობით, პირველი, რაც უკრაინაში ჩასულმა ვლადიმირ პუტინმა დაინახა, უზარმაზარი პლაკატები იყო - "წაეთრიე, პუტინ1" თუმცა, საპროტესტო გამოსვლებს კუჩმასთვის რუსეთთან ურთიერთობების განმტკიცებაში ხელი არ შეუშლია.

ენერგეტიკულ სფეროში მიღწეული შეთანხმებების გარდა, კუჩმამ და პუტინმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სახელმწიფო საზღვრის შესახებ. უკრაინისა და რუსეთის სახმელეთო საზღვარი 2000 კილომეტრს აღემატება.

პრეზიდენტმა პუტინმა ხელშეკრულებას ორი მხარის კომპრომისი უწოდა, რომელიც "რუსეთისა და უკრაინის ინტერესებს შეესაბამება", - იუწყება რუსული საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსი".

"მე კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთი გააზრებულად მიდის ამ ნაბიჯზე, რადგან მიგვაჩნია, რომ ყველა პრობლემა მოგვარებული უნდა იყოს, რათა არანაირი ეჭვი არ დაიბადოს იმის თაობაზე, რეალურად, სურს თუ არა რუსეთს უკრაინასთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების დამყარება", - განაცხადა პუტინმა.

"უკრაინას ჩვენ გრძელვადიან სტრატეგიულ პარტნიორად განვიხილავთ. ეს რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იქნება", - აღნიშნა რუსეთის ლიდერმა.

უკრაინის პრეზიდენტის თქმით, დოკუმენტზე მუშაობისას "ჯანსაღი კომპრომისი" იქნა მიღწეული. "ჩვენთან ხანდახან გაიგონებთ რუსეთის იმპერიულ ამბიციებზე ლაპარაკს. ამიერიდან, მსურს, რომ ამაზე საუბარი შეწყდეს", - ხაზგასმით აღნიშნა კუჩმამ და ერთმნიშვნელოვნად მიანიშნა ყველას, რომ კიევისა და მოსკოვის პოლიტიკური თაფლობისთვე დაიწყო.

# ირანი და ინდოეთი გაზსადენის აგებას გეგმავენ

ლევან ღირსიაშვილი

ირანის საინფორმაციო სააგენტოს "ირნას" ცნობით, ირანის პრეზიდენტი მოჰამად ხათამი სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ინდოეთში, რომელიც ინდოეთის ეროვნულ დღესასწაულს – რესპუბლიკის დღეს დაემთხვა. ხათამის ინდოეთში ვიზიტის უმთავრეს თემას ენერგეტიკა წარმოადგენდა.

ირანმა ინდოეთის ხელისუფლებას ნავთობის გაზრდილი მოცულობით მიყიდვა შესთავაზა, ხოლო ინდოელ ბიზნესმენებს ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში ინვესტირებისაკენ მოუწოდა.

ამას გარდა, ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ ინდოეთის ხელისუფლებას მოუწოდა, მრავალმილიარდიანი მილსადენის მშენებლობაში ჩაერთოს, რომლის მეშვეობით ირანული გაზის ინდოეთში ექსპორტირება მოხდება.

ინდოეთში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ირანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაზსადენის პროექტი "ინდოეთის იაფი და უწყვეტი ენერგიით მომარაგებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს".

2600-კილომეტრიანი მილსადენის აშენება დაახლოებით 3.5 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდება. ამ პროექტის განხორციელება ინდოეთის მზარდ ენერგეტიკულ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის შემდეგ ირანს ბუნებრივი აირის ყველაზე დიდი რეზერვები გააჩნია და ახალ ბაზრებს ეძებს.

ხათამისთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ატალ ბიჰარი ვაჯპაიიმ განაცხადა, რომ "ირანს აქვს გაზი და ჩვენ მისი მიღება გვსურს. თუმცა, გარკვეული დაბრკოლებები კვლავ არსებობს", - დასძინა მან.

მოლაპარაკებების შედეგად დელი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თეირანში გაგზავნას აპირებს უახლოეს მომავალში, რათა მხარეებმა ენერგეტიკის სფეროში ორმხრივად ხელსაყრელი ხელშეკრულებები გააფორმონ.

დელიში ინდოელ ბიზნესმენებთან შეხვედრისას ხათამიმ აღნიშნა, რომ მილსადენის აშენება "შესაძლებელია" იმის მიუხედავად, რომ გაზსადენის უსაფრთხოებას გარკვეული პრობლემები შეიძლება შეექმნას პაკისტანის გადაკვეთისას.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ინდოეთ-პაკისტანს შორის დაძაბული ურთიერთობები აფერხებდა ამ პროექტის განხორციელებას, რომელიც ინდოეთის ისტორიული მეტოქის - პაკისტანის ტერიტორიის გამოყენებასაც გულისხმობს.

დელის წყალქვეშა მილსადენის აგება ურჩევნია, რომელიც პაკისტანს გვერდს აუვლის. თუმცა, ამ შემთხვევაში მშენებლობის ხარჯები და ეკოლოგიური კატასტროფის რისკი მატულობს.

ინდოეთის ხელისუფლების შეშფოთება გასულ კვირას პაკისტანის გაზსადენზე სამჯერ განხორციელებულმა თავდასხმამ გააძლიერა, რაც ერთმანეთში მოქიშპე ადგილობრივ ტომებს ბრალდება.

ენერგეტიკული პროექტების გარდა, ირანმა დელის ინდური საქონლის გადასაზიდად ახალი სატრანსპორტო მარშრუტი შესთავაზა ირანული პორტის ჩაჰბაჰარის გავლით ქალაქ დელარემისაკენ ავღანეთში. ეს გადაწყვეტილება ავღანეთის აღდგენის თაობაზე მიღწეული შეთანხმების ნაწილია.

ხათამის თქმით, "ირანის სტრატეგიული მდებარეობა ცენტრალურ აზიასა და ევროპაში საქონლის ექსპორტირებისათვის საუკეთესო მარშრუტია დროისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ჩვენ მზად ვართ, ინდური საქონლის ექსპორტირებისათვის აუცილებელი ყველა საშუალება გამოვყოთ".

მართალია, ვიზიტის დროს სადენის საკითხი საბოლოოდ შეთანხმებული არ იქნა, მაგრამ ორმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა შვიდ ხელშეკრულებას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, კულტურისა და წყლით მომარაგების თაობაზე.

# ინდოეთი: კიდევ ერთი ავტოკატასტროფა

სულ ცოტა, 50 ადამიანი დაიღუპა და 15 მძიმედ დაშავდა ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში, ქალაქ კოლკატაში (ყოფილი კალკუტა) ავტოკატასტროფის შედეგად. ინდოეთის ტელეარხის "სტარ ნიუსის" ცნობით, სამგზავრო ავტობუსი ბენზინმზიდს დაეჯახა. პოლიციის განცხადებით, ავარიის მიზეზი სქელი ნისლი იყო.



ავარიის შედეგად დამწვარი ავტობუსი.

ინდოეთში ავტობუსი მეტად პოპულარულ სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენს, თუმცა ბევრი მათგანი ტექნიკურად გაუმართავი და მოძველებულია. ამას ისიც ემატება, რომ სამგზავრო ავტობუსები ხალხით გადატვირთულია. ექსპერტების თქმით, სწორედ ეს პრობლემებია იმის მიზეზი, რომ ინდოეთში ავტოკატასტროფები საგრძნობლად გახშირდა. გასულ წელს ინდოეთში სამი ასეთი მასშტაბური ავარია მოხდა: ნოემბერში 21 ადამიანი დაიღუპა, როდესაც ხალხით გაჭედილ ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა, ივნისში მლოცველებით დატვირთული ავტობუსი მდინარეში გადავარდა, რასაც 25 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მაისში ავტობუსის გადაბრუნების და წყალში ჩავარდნის შედეგად 46 ადამიანი დაიღუპა.

# ვაშინგტონი ერაყის ბრალეულობის დამტკიცებას ცდილობს

ლევან ღირსიაშვილი

*შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავის უახლოეს მრჩევლებთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, გამოაქვეყნოს ამერიკული დაზვერვის მონაცემები ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის თაობაზე. ამის შესახებ "ვაშინგტონ პოსტის" გუშინდელი ნომერი იუწყება. როგორც ჩანს, ვაშინგტონი გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა დასკვნამ ვერ დააკმაყოფილა და ბუშის ადმინისტრაცია ერაყში ომის დაწყების გამართლებას საკუთარი ძალებით ცდილობს.*

გაზეთში მოყვანილი ინფორმაციის მიხედვით, აშშ ფლობს სადაზვერვო მონაცემებს ერაყის იმ სამხედრო არსენალის შესახებ, რომელიც სადამ ჰუსეინის ბრძანებით გადამალეს. აქვე ნათქვამია, რომ იარაღის გადამალვის პროცესი ერაყში გაერო-ს ექსპერტთა მისიის ჩასვლამდე ორი თვით ადრე დაიწყო. სწორედ ამიტომ, რამდენიმე ცარიელი ქობინის და ბირთვული ფიზიკის შესახებ შექმნილი დოკუმენტაციის გარდა, გაერო-ს სამხედრო ინსპექტორებმა ერაყში საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. ამ "ნადავლით" კი, ცხადია, გაძნელდება საერთაშორისო თანამეგობრობისათვის იმის დამტკიცება, რომ სადამ ჰუსეინის ხელში მასობრივი განადგურების არსენალია თავმოყრილი და მისი ძალით განიარაღებაა საჭირო. სწორედ ამიტომ თეთრმა სახლმა მის ხელთ არსებული საიდუმლო სადაზვერვო მასალების თავისი პარტნიორებისათვის გადაცემა განიზრახა.



კოლინ პაუელი სახელმწიფო დეპარტამენტში გამოსვლისას

პარალელურად, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი ბაღდადის მისამართით მკვეთრ განცხადებებს აკეთებს. სახელმწიფო მდივნის თქმით, ერაყმა ვერ გასცა პასუხი კითხვებზე, თუ სად ინახება ციმბირის წყლულის გამომწვევი ვირუსები და ქიმიური და ბიოლოგიური მასალები. კოლინ პაუელის ბრალდებით, ბაღდადმა ასევე არ წარმოადგინა ინფორმაცია მობილური ბიოლოგიური ლაბორატორიების შესახებ და არ გასცა პასუხი კითხვას, თუ რატომ არღვევს ერაყი გაერო-ს სანქციას, რომლის თანახმადაც მას ეკრძალება 150 კილომეტრზე შორს მოქმედი რადიუსის რაკეტების წარმოება. **"ერაყი გაერო-ს იგნორირებას აგრძელებს. სადამ ჰუსეინს გაერო-ს 1441 რეზოლუციის შესასრულებლად და განსაიარაღებლად არც თუ ისე დიდი დრო რჩება,"** - მუქარით აცხადებს კოლინ პაუელი.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გამოსვლისას მან ასევე განაცხადა, რომ ის და პრეზიდენტი ბუში მიმდინარე კვირაში რიგი ქვეყნების ლიდერებთან და საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებთან კონსულტაციების ჩატარებას აპირებენ და ერთობლივი მოქმედების შემუშავების მიზნით კოლექტიური გადაწყვეტილების მიღწევას შეეცდებიან. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ აშშ-ს გააჩნია სუვერენული უფლება, სათავეში ჩაუდგეს "ერაყის განიარაღების მსურველთა კოალიციას" და აღნიშნული მიმართულებით დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. **"ჩვენ არ შეგვიძლია, ერაყში ინსპექტირების პროცესს დაუსრულებლად ვუყუროთ,"** - დასძინა მან.

ცხადია, ვაშინგტონი ერაყთან დაკავშირებით საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მის ინტერესებში კი სადამ ჰუსეინის რეჟიმი აშკარად არ ჯდება. მისთვის სამწუხაროდ, ამ ინტერესებს ვერ პასუხობს ვერც გაერო-ს სამხედრო ექსპერტთა დასკვნა ერაყში ჩატარებული ინსპექტირების შესახებ, რომელმაც ბაღდადის ხელში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა ვერ დაადასტურა. ინსპექტორთა მისიის ხელმძღვანელის ჰანს ბლიქსის მოხსენებამ ერაყში ომის დაწყების მოწინააღმდეგე ქვეყნების პოზიციები კიდევ უფრო გაამყარა. ამდენად, აშშ-ს საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის მყარი არგუმენტაცია ესაჭიროება. სწორედ ამიტომაც, თეთრი სახლი საკუთარი სადაზვერვო მონაცემების გამოქვეყნებაზეც მიდის. ვაშინგტონმა ერაყის ბრალეულობა რაც შეიძლება მალე უნდა დაამტკიცოს. ამდენად ეს კვირა, რომელიც რუსეთთან, საფრანგეთთან, ჩინეთთან და გერმანიასთან ინტენსიური კონსულტაციების ჩატარებას მოხმარდება, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს. სავარაუდოა, რომ, თუ ეს ქვეყნები ერაყთან მიმართებაში ვაშინგტონის სასარგებლოდ პოზიციას არ შეცვლიან, ჰუსეინის დასამხობად აშშ საკუთარი ძალებით და დიდი ბრიტანეთის დახმარებით დაიწყებს ომს. დღეს ცნობილი უნდა გახდეს კონგრესში ბუშის წლიური მოხსენების შინაარსი, 31-ში კი ბუშისა და ბლერის შეხვედრაა დაგეგმილი. ექსპერტების ვარაუდით, ამ ორი მოვლენის შემდეგ, შეიძლება ამერიკის გეგმებს ერაყთან დაკავშირებით ნათელი მოეფინოს.

# აზერბაიჯანი: სახალხო ფრონტი დახურვას გადაურჩა

*პრეზიდენტ ალიევის გადაწყვეტილება, ოპოზიციური პარტიისათვის რეგისტრაციის გაუქმების განკარგულების უკან გაწვევის შესახებ, ან გონივრული პოლიტიკური მანევრია, ან მისი ძალაუფლების შესუსტების მაჩვენებელი.*

მამედ სულეიმანოვი

IWPR, ბაქოდან

წამყვანი ოპოზიციური პარტიის რეგისტრაციაზე ვეტოს დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან მცირე ხნის შემდეგ, პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა თავისივე განკარგულება უკან გაიწვია.

22 იანვრის განკარგულება, რომელშიც აღიარებულია სახალხო ფრონტის რეფორმისტული ფრთის არსებობის უფლება, შესაძლოა თავად აზერბაიჯანის ლიდერის აქამდე წარმატებული კარიერისათვის დაბრკოლებად იქცეს, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ იგი კვლავ აპირებს მონაწილეობის მიღებას საპრეზიდენტო არჩევნებში. მაგრამ ეს გადაწყვეტილება აზერბაიჯანს აცილებს პარტიის რეგისტრაციის საკითხის ძალზე უსიამოვნო განხილვას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მომავალ კვირაში.

ყველაფერი ცხრა დღით ადრე დაიწყო, როდესაც ქვეყნის იუსტიციის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ოპოზიციური "აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის პარტიის" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელსაც ალი ქერიმლი ხელმძღვანელობს.

სახალხო ფრონტის პარტიის სახელით სხვა ფორმაცია იქნა აღიარებული - პროსამთავრობო "გუდრატ ჰასანგულიევის ჯგუფი".

იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებამ თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის აღშფოთება გამოიწვია, რომლებმაც ამ საკითხში მათთვის ძალზე იშვიათი ერთსულოვნება გამოიჩინეს. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილებას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა პროტესტიც მოჰყვა. საკმარისია ვთქვათ, რომ ეუთო-ს ბაქოს წარმომადგენლობა კვლავ იწვევდა თავის ღონისძიებებზე სახალხო ფრონტის წარმომადგენლებს ალი ქერიმლის ხელმძღვანელობით.

აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი 1989 წელს შეიქმნა და დამოუკიდებლობისათვის პოლიტიკური ბრძოლის ფლაგმანი გახდა, 1992 წელს კი, აბულფაზ ელჩიბეის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ხელისუფლებაში მოვიდა. განხეთქილება სახალხო ფრონტში 2000 წელს პარტიის ლიდერის, ექსპრეზიდენტ აბულფაზ ელჩიბეის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. ამის შემდეგ პარტია ორ ნაწილად დაიშალა - "რეფორმატორები" ალი ქერიმლის ხელმძღვანელობით და "კლასიკოსები" მირმაჰმუდ ფატაევის მეთაურობით.

პარტიის ყველაზე რადიკალური ნაწილი მირმაჰმუდ ფატაევს მიემხრო, ხოლო ახალგაზრდა ფუნქციონერები - ალი ქერიმლის. 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რეფორმატორებმა ოთხი სადეპუტატო ადგილი მიიღეს, კონსერვატორებიდან კი არჩევნებში მხოლოდ მათმა ლიდერმა მირმაჰმუდ ფატაევმა გაიმარჯვა. თუმცა, შემდგომ დადგა არჩევნების გაყალბებისა და ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტის საკითხი, რის შემდეგაც მირმაჰმუდ ფატაევმა უარი თქვა დეპუტატის მანდატზე, რეფორმატორები კი პარლამენტში შევიდნენ.

ერთი წლის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა გუდრატ ჰასანგულიევმა, რომელიც ამ პოსტზე სახალხო ფრონტის რეფორმატორულმა ფრთამ წამოაყენა, განაცხადა, რომ ორი ფრთის გაერთიანება აქვს დაგეგმილი და ამ მიზნით ე. წ. "მესამე ფრონტი" ჩამოაყალიბა. საზოგადოებაში ხშირად ამ განშტოებას პროსამთავრობო დაჯგუფებად მიიჩნევდნენ.

2002 წლის დასაწყისში მეოთხე ჯგუფიც გაჩნდა სახელწოდებით "სახალხო ფრონტის საინიციატივო ჯგუფი" ყოფილი პოლიტპატიმრის, აბულფაზ ელჩიბეის უახლოესი თანამებრძოლის ფარაჯ კულიევის მეთაურობით, რომელიც 8-წლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. ფარაჯ კულიევმა ციხიდან გამოსვლისთანავე განაცხადა ხელისუფლებასთან დიალოგის აუცილებლობის შესახებ და ამით პროსამთავრობო პოლიტიკოსის იმიჯი მოიპოვა.

მრავალი ანალიტიკოსის მოსაზრებით, ამ მცირე დაჯგუფებების გაჩენა იყო მთავრობის მიერ სანქცირებული გეგმის ნაწილი, რომლის მიზანიც ქერიმლის პარტიის შესუსტება და ოპოზიციის გახლეჩა იყო.

ამიტომ პრეზიდენტის განკარგულება იუსტიციის სამინისტროს დადგენილების გაუქმების შესახებ სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა, ფაქტი, რომელიც ასფპ-ს თავმჯდომარის მოადგილემ ასიმ მოლლაზადემ შეაფასა, როგორც "სამართლიანობის აღდგენა".

პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების უფროსმა ალი ჰასანოვმა გაზეთ "ექოს" განუცხადა, რომ "პრეზიდენტმა გაითვალისწინა პროტესტი, რომელიც საზოგადოებაში იუსტიციის სამინისტრომ გამოიწვია". თუმცა შესაძლოა, რომ მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ასეთი გადაწყვეტილება იყო მიღებული, აზერბაიჯანის საზღვრებს გარეთ უნდა ვეძებოთ.

ადრე, ევროსაბჭოს თანამომხსენებელმა აზერბაიჯანის საკითხზე მარტინეს კასანმა განაცხადა, რომ ასფპ-ს გარშემო შექმნილი სიტუაცია უახლოეს მომავალში სტრასბურგში იქნება განხილული. ესპანელ დეპუტატს შეხვდა პრეზიდენტის ვაჟი, ევროსაბჭოში აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე ილხამ ალიევი და თავად ქერიმლი.

კასანმა ასევე განაცხადა, რომ ქერიმლის პარტიის რეგისტრაციის გაუქმება, ერთ-ერთი სერიოზული ოპოზიციური პარტიის შეზღუდვის მცდელობაა.

პრეზიდენტის გუნდიდან ყველაზე მეტად გუდრატ ჰასანგულიევი დაზარალდა- მის პარტიას აღარ შეუძლია ოფიციალურად ერქვას სახალხო ფრონტი, ხოლო თავად მან ადგილი დაკარგა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ჰასანგულიევი აცხადებს, რომ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზი "ზოგიერთი უცხო სახელმწიფო და მათი ინტერესების დამცველი, ერის მოღალატეები არიან".

პოლიტოლოგი ზარდუშტ ალიზადე პრეზიდენტის არასტანდარტულ ნაბიჯს აფასებს, როგორც "ეშმაკურ კომბინაციას". მას მიაჩნია, რომ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება ჰეიდარ ალიევის მიერ იყო სანქცირებული. ალიზადე იხსენებს 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებს, როდესაც ალიევთან მოქმედი კანონების გვერდის ავლით, დაუშვა არჩევნებზე ყველა პარტია, რითაც სცადა დასავლეთის თვალში დემოკრატიის გარანტის იმიჯის შექმნა.

დამოუკიდებელი ექსპერტი რუსტამ სეიდოვი უფრო სკეპტიკურადაა განწყობილი. იგი პრეზიდენტის დადგენილებას იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ აფასებს, როგორც ალიევის ასაკობრივი ცვლილებების და მისი პოლიტიკური შესაძლებლობების შესუსტების შედეგს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რომელსაც მაისში 80 წელი შეუსრულდება ჯანმრთელობა შერყეული აქვს. თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია განეცხადებინა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენების თაობაზე, ალიევს აზებაიჯანის სათავეში დარჩენა კიდევ 5-წელი უნდა.

# ავღანეთში ბრძოლები განახლდა

გუშინ ავღანეთის ტერიტორიაზე პაკისტანის საზღვართან ახლოს, აშშ-ს სამხედრო დანაყოფებსა და ავღანელ მეამბოხეებს შორის ფართომასშტაბიანი შეტაკება მოხდა. როგორც ცნობილი გახდა, ამერიკელებს ავღანელი საველე მეთაურის გულბედინ ჰექმათიარის მებრძოლები დაესხნენ თავს. აშშ-ს სამხედრო წარმომადგენელთა ცნობის თანახმად, ბრძოლებში ავიაციაც მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელთა საერთო რიცხვი 80 მებრძოლს არ აღემატება, აშშ-ს სამხედრო დანაყოფებს ბრძოლა საგრძნობლად უჭირთ, რადგან ავღანელები კარგად გამაგრებული გამოქვაბულებიდან აწარმოებენ ბრძოლას. ამერიკელი სამხედროების თქმით, უკანასკნელი თვეების მანძილზე ეს ყველაზე სერიოზული შეტაკებაა. **"ოპერაცია "ანაკონდას" დასრულების შემდეგ, ჩვენ მოწინააღმდეგის მებრძოლთა ყველაზე დიდ კონცენტრაციას წავაწყდით,"** განუცხადა სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს ამერიკის სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენელმა როჯერ კინგმა. შეტაკების შედეგად დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

# ყარსის მერი სომხეთში ატომური ელექტროსადგურის დახურვას მოითხოვს

თურქეთში ყარსის მერმა განაცხადა, რომ ყარსის მუნიციპალიტეტი საერთაშორისო სარჩელს აღძრავს სომხეთის მეწამორის ბირთვული რეაქტორის დასახურად, რადგან ის მთელ რეგიონს საფრთხეს უქმნის, - იუწყება "თურქიშ დეილი ნიუზი". ყარსის მერმა ნაიფ ალიბეიოღლუმ აღნიშნა, რომ, თუ მათი მცდელობა ნაყოფს არ გამოიღებს, მაშინ ისინი საპროტესტო დემონსტრაციებს მოაწყობენ. მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ფერარას უნივერსიტეტის მეცნიერმა რეაქტორის შესაძლო ეკოლოგიური რისკების თაობაზე განცხადება გააკეთა, ყარსის მუნიციპალიტეტმა და საბჭომ სარჩელის აღძვრა გადაწყვიტა.

ალიბეიოღლუს თქმით, მიწისძვრის შემთხვევაში თურქებსა და სომხებს დიდი საფრთხე დაემუქრებათ. ამას ემატება ისიც, რომ რეაქტორი ძალზე მოძველებულია. იგი 1970-იან წლებშია აშენებული.

მერის განცხადებით, ისინი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსაც მიმართავენ. "ჩვენ დადებით შედეგებს ველით, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ჩავრთავთ".

"თურქეთის მთავრობა ამ რეაქტორის დახურვის ინიციატივით უნდა გამოვიდეს. თურქებმა და სომხებმა ამ საფრთხის თაობაზე უნდა იცოდნენ", - დასძინა ალიბეიოღლუმ.

აღსანიშნავია, რომ სომხეთი მეწამორის ატომური ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ენერგიაზე დიდად არის დამოკიდებული. ამას გარდა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები კვლავ გაწყვეტილია, ეს წინადადება ორ სახელმწიფოს დაძაბულ ურთიერთობებს კიდევ უფრო გაამწვავებს.

*"24 საათი"*

## ინფორმაცია

### აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგები მასობრივ საპროტესტო აქციას გეგმავენ

აფხაზეთის ლეგიტიმური განათლების მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დაგმო აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის თვითნებური ამოქმედება და აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოების დროულად გაყვანაც მოითხოვა. პრესკონფერენციაზე აფხაზეთის განათლების პროფკავშირი გამოვიდა ახალი ინიციატივით - შეიქმნას საქართველოს მასწავლებელთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხთა წარმოჩენას და მათ აქტუალიზაციას. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განათლების მინისტრი ჯანო ჯანელიძე და გალის ლეგიტიმური განათლების განყოფილების გამგე შოთა გვილია, რომელმაც გალის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებულ „რუსიფიკატორულ“ პოლიტიკაზე ილაპარაკა. მისი თქმით, იქ არსებული მდგომარეობა ადგილობრივი ე.წ. გალის განათლების განყოფილების გამგის აზა აგუმაას „დამსახურებაა“. განათლების პროფკავშირი მასობრივ საპროტესტო აქციას 31 იანვარს თბილისში „დედა ენის“ ძეგლთან აპირებს, სადაც სოციალური საკითხების გარდა, პოლიტიკურ მოთხოვნებსაც წამოაყენებენ. **მედია ნიუსი**

### გერმანიაში ექიმები გაიფიცნენ

გერმანული ტალღის ცნობით, ქვეყანაში 5 ათასამდე სამედიცინო კაბინეტი დაიკეტა. გერმანელი ექიმების ასეთი პროტესტი გამოიწვია მთავრობის გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად 2003 წელს კერძო ექიმების ჰონორარების ზრდა უნდა შეჩერებულიყო. უფრო მეტიც, ახალი სამთავრობო რეფორმის თანახმად ექიმთა შემოსავლები 10 პროცენტით უნდა შემცირდეს. ექიმთა გაერთიანებული ორგანიზაციის "ჰარტმანბუნდის" განცხადებით, პროტესტი სწორედ ამით არის გამოწვეული. ამავე დროს გერმანიის ჯანდაცვის სამინისტრო იტყობინება, რომ ექიმთა უმრავლესობა გაფიცულებს არ უერთდება და მუშაობას ჩვეულებრივად განაგრძობს.

## მოკლედ

**ჭიათურა**. გუშინ სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც საქართველოს მშრომელთა პროფესიულმა კავშირმა "სოლიდარობამ" განაცხადა, სს "ჭიათურმანგანუმის" თანამშრომლები 5 თვის სახელფასო დავალიანების დაფარვას მოითხოვენ. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აქცია მასობრივ ხასიათს მიიღებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დეპუტატი გურამ შარაძე 27 იანვრის, წმინდა ნინოს ხსენების დღის უქმე დღედ გამოცხადებას ითხოვს. „წელიწადში თითქმის 365 დღე საქართველოში უქმე და დღესასწაულია. გაუგებარია, რა დააშავა 27 იანვარმა“, – აცხადებს შარაძე და ამ საქმეში მხარდაჭერას პარლამენტთან ერთად, წმინდა სინოდსაც სთხოვს. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თქმით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამ ინიციატივით უკვე გამოვიდა და 27 იანვრის უქმე დღედ გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პრობლემას არ წარმოადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**კიევი.** ამ დღეებში კიევში ამოქმედდა საკვირაო ქართული სკოლა, რომელსაც ქართველი მწერალი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი თანამებრძოლი გურამ პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს. კიევში მცხოვრები ქართველი და უკრაინელი ბავშვები ქართულ ენასთან ერთად ქართულ სიმღერებსა და ცეკვებსაც შეისწავლიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საკრებულოს მშენებლობის კომისიის თავმჯდომარის მანუჩარ მაჩაიძის ცნობით, 9 აპრილის ბაღში საცხოვრებელი სახლი აღარ აშენდება. თბილისის თვითმმართველობის ორგანოში მშენებარე სახლის მერიის მიერ შეძენასა და შემდეგ მის დანგრევაზე საუბრობენ. მაჩაიძის თქმით, თუ სახლი დაინგრევა, მისი მეპატრონეები კონპენსაციას მიიღებ და საშუალება ექნებათ, სხვაგან შეიძინონ ფართი. მანუჩარ მაჩაიძის თქმით, საკრებულო ფიქრობს, რომ თბილისში უკანონოდ აშენებული შენობების მეპატრონეებს კომპენსაცია ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაახდევინონ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიამ უსინათლოთა ოთხ ოჯახს ბინების შესაძენად ფულადი კომპენსაცია გადასცა. როგორც ზოდელავამ განაცხადა, 2001 წლიდან მერიამ ასეთი სულ 13 ოჯახი დააკმაყოფილა ბინით. გასული წლის ბიუჯეტში უსინათლოებისთვის 596.000 ლარი იყო გათვალისწინებული, აქედან 13 ბინის შესაძენად 200 ათასი ლარი დაიხარჯა. ზოდელავას ცნობით, უსინათლოებისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტშიც იქნება თანხები გათვალისწინებული და უსახლკაროდ დარჩენილი 29 ოჯახის პრობლემა მოგვარება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ბაგა-ბაღების პედაგოგებმა კუთვნილი ხელფასების გაუცემლობის გამო, ადგილობრივი გამგეობისა და მერიის წინ საპროტესტო აქციები გამართეს. როგორც განათლების პროფკავშირში აცხადებენ, სკოლების მასწავლებლები შარშანდელი დეკემბრის, ხოლო ბაგა-ბაღის პედაგოგები ნოემბერ-დეკემბრის ხელფასებს ითხოვდნენ. ზესტაფონში გამართული აქციის მონაწილეებს ადგილობრივი ხელმძღვანელობა შეხვდა და ხელფასების დავალიანების (ნოემბერ-დეკემბრის) დაფარვა მიმდინარე კვირაში აღუთქვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტიქიურმა მოვლენებმა კახეთის რეგიონი გასულ წელს 300 მილიონ ლარზე მეტით აზარალა. სახელმწიფო კანცელარიის ინფორმაციით, მხარეში დღეისათვის დათესილია საერთო ფართობის მხოლოდ 48 პროცენტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა უსახსროდ დარჩა. რეგიონში შარშან გვალვისა და ძლიერი ქარიშხლის შედეგად 68 ათასი ჰა საშემოდგომო ნათესი დაზიანდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ივრის ზეგანზე ტაბორანსა და შირაქში, სადაც ქარიშხალმა 32,1 ათას ჰა-ზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოხსნა. უკიდურესად მძიმე მდგომარეობისა და პრეზიდენტის არაერთი ბრძანებულების მიუხედავად, დაუფინანსებლობის გამო, დაზარალებულ რაიონების დასახმარებლად გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოების დაწყება შარშან ვერ მოხერხდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ბოტულიზმით დაავადების კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, 9 წლის გოგონა პომიდვრის კონსერვით მოიწამლა. ამჟამად ავადმყოფს ინფექციური პათოლოგიის ცენტრში მკურნალობენ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, იანვარში ბოტულიზმის უკვე მეცხრე შემთხვევა გამოვლინდა, რისი მიზეზიც სეზონზე კონსერვების გამოყენებაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგანათების" ცნობით, უახლოეს მომავალში მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 6-7 მლნ. ლარი დედაქალაქში 6000 ახალი ღამის ლამპიონის დამონტაჟდებას მოხმარდება. დღეისთვის ქალაქში 48 ათასი გარეგანათების ნათურაა. ახალ ნათურებს, ძირითადად, ცენტრალურ მაგისტრალებზე დააყენებენ, ხოლო იქიდან მოხსნილი ლამპიონებით გარეუბნები განათდება. **ინტერ-პრესი**

# გადაწყვეტილება, კოდური სახელწოდებით „ტარიფი"

მაკა ჭაიანი
ეთერ მამულაშვილი

*"ეი-ი-ეს თელასში" გუშინ მეტად დატვირთული დღე ჰქონდათ. ნაშუადღევს, სააქციო საზოგადოების კარებს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, ლეიბორისტული პარტიის რამდენიმე ასეული წევრი და რამდენიმე ათეული მოქალაქე მიადგა; საღამოს, თელასელები საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულ უპრეცედენტო პრესკონფერენციაზე ცდილობდნენ იმის გარკვევას, ბოლოს და ბოლოს, რას ითხოვდა მათგან მართლმსაჯულება. ამ მოვლენებს თვალყურმიდევნებულ თბილისელებს კი მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდათ – უნდა გადაეხადათ თუ არა მარტამდე დარჩენილი ორი თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური?*





„ლეიბორისტების" აქცია „ეი-ი-ეს" თელასის შენობასთან.

### "გირჩევნიათ, გუდა-ნაბადი აიკრათ, ჩვენ არ შევჩერდებით!" იმუქრებიან ლეიბორისტები

ორასამდე თბილისელი და ლეიბორისტული პარტიის ხუთამდე აქტივისტი, მეგაფონებით და ტრანსპარანტებით ხელდამშვენებულები, ამერიკული კომპანიის ცენტრალური ოფისის წინ დათქმულ დროზე შეიკრიბა. მასპინძლებმა შესასვლელი კარი მაგრად ჩაკეტეს, ათიოდე ხელჯოხიანი პოლიციელი კიბეებზე ჩამოაყენეს, არასასურველ სტუმრებს კი ფანჯრებიდან დაუწყეს ცქერა.

საკონსტიტუციო სასამართლოს 30 დეკემბრის ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ, გულმოცემულმა ლეიბორისტებმა "მეგობრებში რამდენიმე ლარი აკრიფეს" და სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისელებს, სარეკლამო რგოლის საშუალებით განუმარტეს.

მიუხედავად ამისა "ეი-ი-ეს თელასი" ჯიუტად აცხადებს, რომ არგადამხდელ აბონენტს ელექტროენერგიის მიწოდებას ოპერატიულად შეუწყვეტს.

სასამართლოს "დაუმორჩილებლობისა" და "ხალხის გაყვლეფისათვის" ლეიბორისტებმა გუშინ ამერიკული კომპანიის ოფისის წინ გამაფრთხილებელი აქცია მოაწყვეს. **"ურჩევნია "ეი-ი-ეს თელასს", გუდანაბადი აიკრას და საქართველოდან წავიდეს, თორემ ჩვენ შეჩერებას არ ვაპირებთ. ნახავთ, რა დღეს დავაყრით, თუ რა თქმა უნდა მანამდე ორთაჭალის გალიებში არ ამოყო თავი"**, - აცხადებენ "მშრომელები".

აქციამდე ნახევარი საათით ადრე შრომის პარტიამ თბილისელთა ერთ ნაწილს თავი მეტრო „წერეთელთან“ მოუყარა. იქიდან "დანიშნულების" ადგილამდე მიმავალი გზის (წერეთლის გამზირის) ერთი მონაკვეთი, დაახლოებით, ათი წუთის განმავლობაში გადაკეტეს.

მალხაზ ვარდაძე, ლეიბორისტების ერთ-ერთი თავკაცი, გზად "მოსაწვევებს" არიგებდა და ყველა გამვლელს ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში ეპატიჟებოდა. **"შემოუერთდით ჩვენს აქციას, ხალხო, და ჭკუაზე მოვიყვანოთ ეს ენერგოკუპანტები"**, - გაყვიროდა მეგაფონით ვარდაძე.

წერეთლის გამზირზე მაცხოვრებელთა ერთი ნაწილი გაოცებული შეჰყურებდა მეგაფონებიან კაცებს. ისინი, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ, რა უნდოდა ამდენ ხალხს. "რაო? გაზი მოვიდაო? ქალო, აბა ერთი შეამოწმე", - ასძახა შუახნის კაცმა აივანზე მდგარ, სავარაუდოდ, მეუღლეს.

მაღალსართულიანი სახლის თითქმის ყველა ფანჯარა და კარი ღია იყო. ირონიით მომღიმარი რამდენიმე სახეც ადვილად შესამჩნევი იყო.

გულშემატკივარების, უსაქმურების, თუ უბრალოდ სეირის მაყურებელთა არცთუ პატარა ნაწილი, რამდენიმემეტრიანი ტრანსპარანტით შეიარაღებულნი, ლეიბორისტებს წინასწარ დათქმულ ადგილას ელოდებოდნენ. პლაკატები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ახალგაზრდა ლეიბორისტს ეკავა, ძალზე შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი, ერთობ ინფორმაციული წარწერებით იკითხებოდა. ასე მაგალითად, თურმე, "ეი-ი-ეს თელასი" არცხვენს ამერიკას, საქართველოამერიკის მეგობრობას კი ხელს უშლის", "ბიზნესი კი თბილისელების ძარცვა არ ყოფილა".

ხანმოკლე აქციის ბოლოს ლეიბორისტებმა, ტრადიციულად, ხელისუფლების მისამართითაც ისროლეს "ორიოდე" მწარე სიტყვა. ლეიბორისტების წევრმა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ სოსო შატბერაშვილმა, ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენლები, "ეი-ი-ეს თელასთან" შეხმატკბილებულ თანამშრომლობაში დაადანაშაულა. **"ხელისუფლების მხრიდან, რომ არ ჰქონდეს თანადგომა "თელასს", ის ამდენს ვერ გაბედავდა"**, - დაასკვნა შატბერაშვილმა.

დღის ბოლოს, ლეიბორისტებს გუნება-განწყობილება მას მერე გაუფუჭდათ, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ 30 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების საკუთარი ინტერპრეტაცია გააცნო ჟურნალისტებს, რითაც, ალბათ, ლეიბორისტებს ახალი აქციის, უკეთეს შემთხვევაში კი, პრესკონფერენციის მოწყობის საშუალებას მისცა.

### "გადაიხადეთ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური!" გვეუბნება საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ 2002 წლის 30 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილება იმდენად რეზონანსული აღმოჩნდა, სასამართლომ უჩვეულო ნაბიჯი გადადგა - საკუთარი გადაწყვეტილებების კომენტირებისთვის სპეციალური პრეს-კონფერენცია გამართა. კონსტიტუციის დებულებით დამცველები, მედიის წინაშე სრული შემადგენლობით წარსდგნენ. "გადაწყვეტილება, კოდური სახელწოდებით "ტარიფი", როგორც მას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ჯონი ხეცურიანმა უწოდა, ამ თავყრილობაზეც მრავალმხრივი ინტერპრეტირების საგანი გახდა.

თბილისელებისთვის მნიშვნელოვან კითხვას, ახალი ტარიფის დაწესებამდე უნდა გადაიხადოს თუ არა მოსახლეობამ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, სასამართლო გარკვევით პასუხობს: დიახ. ლეიბორისტების მტკიცების მიუხედავად, ამას უკვე ყბადაღებული გადაწყვეტილების IV პუნქტი ადგენს. მასში ვკითხულობთ: "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით (საჭიროების შემთხვევაში, იგი სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების განსაკუთრებული მექანიზმის შემუშავების უფლებას აძლევს – რედ.), ამ გადაწყვეტილების სარეალიზაციო ნაწილის I და II პუნქტები (ეს პუნქტები, ელექტროენერგიის საფასურის ფიქსირებული გადასახადის მიხედვით გადახდის წესსა და მოქმედ ტარიფს, ძალადაკარგულად, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან აცხადებს - რედ.) აღსრულდეს მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ახალი ტარიფების განმსაზღვრელი დადგენილების ამოქმედების მომენტიდან იმ პირობით, რომ მოსახლეობის საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროიდან ახალი ტარიფების ამოქმედებამდე მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის შესასყიდად ამჟამად მოქმედი ტარიფის მიხედვით გადახდილი თანხები გადაანგარიშდება ახლად დადგენილი ტარიფების საფუძველზე."

ამდენად, იანვარსა და თებერვალში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური თბილისელებმა ბოლო ტარიფის მიხედვით უნდა გადაიხადონ. ამის შესახებ "24 საათი" რამდენიმე კვირის წინათ იუწყებოდა. ვწერდით იმასაც, რომ განსხვავებას, რომელიც ახალ ტარიფსა და დღეს მოქმედს შორის დაფიქსირდება, მოსახლეობას წინასწარ გადახდაში ჩაუთვლიან და შემდგომ თვეებში გაუქვითავენ.

რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ეს განსხვავება, დაზუსტებით არავინ იცის. საკონსტიტუციო სასამართლოში აცხადებენ, რომ ახალი ტარიფი მოქმედზე დაბალი უნდა იყოს და, რაც მთავარია - არა სიმბოლური. ჯონი ხეცურიანი ახსენებს სიტყვა "ხელმისაწვდომსაც". გადაწყვეტილებაში ეს სიტყვები არ ფიგურირებს. საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ავალებს "2003 წლის 1 მარტამდე დაადგინოს მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ახალი ტარიფები ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის I პუნქტში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით". გადაწყვეტილების ავტორები აცხადებენ, რომ ტარიფის შემცირება და ხელმისაწვდომობა სწორედ ამ ფრაზით არის გარანტირებული.

მითითებული პუნქტი "ეი-ი-ეს თელასის" სატარიფო თუ საინვესტიციო პოლიტიკის, სააქციო საზოგადოების 25-პროცენტიანი წილის მფლობელის - სახელმწიფოს არაჯეროვანი საპარტნიორო საქმიანობისა და საქართველოს მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ვრცელ მიმოხილვას წარმოადგენს და საქმიანი მსჯელობისთვის მიწოდებულ ინფორმაციას უფრო ჰგავს, ვიდრე გასათვალისწინებლად სავალდებულო მკაცრ რეკომენდაციას.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკური ჩანს "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი დასმული კითხვა: რა იგულისხმება "ახალ" ტარიფში და ტარიფის რა წილის გაუქმებას ითხოვს სასამართლო?

# ქუჩის სიახლეები კუვეიტის ფონდზე და მსოფლიო ბანკზე ყოფილა დამოკიდებული

*დანგრეული გზების პრობლემებზე საუბრისას ფრიად ორიგინალურია ავტოინსპექცია, - დანგრეულ გზებზე ავარიები ნაკლებად ხდება, რადგან მძღოლები ფრთხილად დადიანო. ამით თუ "დავიმშვიდებთ" თავს, რადგან თბილისის ქუჩებს ჯერ კიდევ არ ემჩნევა, რომ ქალაქს უანგარო და მზრუნველი პატრონები ჰყავს.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის კეთილმოწყობის მთავარმა სამმართველომ 2003 წლისთვის საგზაო სამუშაოების განსახორციელებლად 60 მილიონი ლარის პროგრამა შეადგინა. თბილისის 2 800 ქუჩის ძირფესვიანად გაკეთებას, ასეთი დაფინანსება სჭირდებაო. წინა წლების გამოცდილებით, კეთილმოწყობის სამმართველომ მშვენივრად იცის, რომ ამხელა თანხაზე ოცნებაც კი ზედმეტია, მაგრამ წელს უკეთესი დაფინანსების იმედი მაინც აქვს.

თბილისის გასული წლის ბიუჯეტში საგზაო სამუშაოებისთვის 4 310 ლარი იყო გამოყოფილი. ქალაქის ბიუჯეტს მსოფლიო ბანკის 3-წლიანი პროგრამაც წაეხმარა და თბილისის რამდენიმე ქუჩა (ლოტკინის, დობროლიუბოვის, წულუკიძის, ავლაბრის, დუმბაძის...) შეკეთდა. სამმართველოს მთავარი ინჟინერი მერაბ შავლაძე ირწმუნება, რომ არსებული თანხებით მეტი ვერ შეძლეს.

**"1 მლნ. ლარი მხოლოდ 2-3. 500 მეტრიანი ქუჩის კაპიტალურად გაკეთებას სჭირდება. ბეტონი აზერბაიჯანიდან და ირანიდან შემოგვაქვს და ერთი ტონა 170 დოლარი ჯდება. ვცდილობთ, რასაც ვაკეთებთ, ძირფესვიანად გავაკეთოთ, რომ ახლადგარემონტებულმა ქუჩამ 4-5 წელი მაინც გაძლოს. ხშირ-ხშირი მიმდინარე შეკეთებები, საბოლოო ჯამში, უფრო ძვირიც ჯდება"**, - აცხადებს შავლაძე. თუმცა, ხშირად ვერც კაპიტალურად გაკეთებული ქუჩა ძლებს დიდხანს - ნორმალურ მდგომარეობას 4 წლის განმავლობაშიც ვერ ინარჩუნებს. კეთილმოწყობის სამმართველო ამაში მოსახლეობას ადანაშაულებს. **"მოქალაქეები ასფალტს თვითნებურად ჭრიან და ხშირად ასევე ტოვებენ. სანიაღვრე კოლექტორებს ნაგვით ავსებენ. ახლად დაგებულ ასფალტს ესეც არანაკლებად აფუჭებს"**, - ჩივის სამმართველო.

წელს საგზაო სამუშაოების დაფინანსებას შარშანდელზე უკეთესი პირი უჩანს. თუკი მსოფლიო ბანკსა და კუვეიტის ფონდთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება, საგზაო სამუშაოებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას 17 მლნ. ლარი დაემატება - 3 მლნ. მსოფლიო ბანკიდან და 14 მლნ. კუვეიტის ფონდიდან. თუკი მერია ამ თანხებს მიიღებს, კეთილმოწყობის სამმართველო სიახლეებს გვპირდება. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ქვაფენილისა და კლევერის ტიპის ფილების დაგებას გეგმავს. **"ქვაფენილიანი ქუჩა ეკოლოგიურად უფრო სუფთა, ლამაზი და, რაც მთავარია, გამძლეა. მართალია, ასფალტთან შედარებით ძვირი ჯდება, მაგრამ საბოლოოდ უფრო იაფი გამოდის, რადგან ასფალტზე გვიან ფუჭდება. ამასთან, თუ დაფინანსების პრობლემა გადაწყდა, ქვაფენილის დამზადება ქუთაისშიც შეიძლება. კომუნიკაციების დაზიანებისასაც ქვაფენილის აყრა უფრო იოლია, ვიდრე ასფალტის. ასევეა კლევერის ტიპის ფილები. ასეთი ფილები ამერიკის საელჩოსთან წელიწადნახევრის წინ დავაგეთ, მშვენივრად გამოიყურება"**, - აცხადებს კეთილმოწყობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი.




თბილისში, ხშირად ვერც კაპიტალურად გაკეთებული ქუჩა ძლებს დიდხანს.

# შინაგანი ჯარი პანკისში ჩეჩნეთის საკითხის გადაწყვეტამდე დარჩება

პირველი გვერდიდან

შს მინისტრის განცხადებით, ამჟამად ხეობაში სტაბილური მდგომარეობაა. თუმცა, კობა ნარჩემაშვილი არ გამორიცხავს გარკვეული სახის პროვოკაციებს. მისი თქმით, ამიტომაც ხეობაში მიმდინარეობს გეგმაზომიერი მუშაობა და ღამის საათებშიც კი ხორციელდება პატრულირება. **"მიუხედავად ამისა, დამატებითი ბლოკ-საგუშაგოების გახსნა ნავარაუდევი არ არის. მეტიც, საგუშაგოები შევამცირეთ, 14-მდე დავიყვანეთ. თუმცა, ხეობაში შინაგანი ჯარის ყოფნა მაინც აუცილებლად მიმაჩნია, რადგან ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი რუსეთ-ჩეჩნეთის პრობლემა და ამიტომაც შინაგანი ჯარების პანკისის ხეობაში დარჩენა დამოკიდებული იქნება ჩეჩნეთში შექმნილ ვითარებაზე,"** – ამბობს კობა ნარჩემაშვილი.

პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის ხელმძღვანელმა პანკისის სოფლებში - დუისში, ჯოყოლოსა და ბირკიანში გახსნილი შინაგანი ჯარისა და პოლიციის ქვედანაყოფების ბლოკ-საგუშაგოები მოინახულა და შემოვლა ხეობის ბოლოს გამაგრებული ხადორის საგუშაგოს ინსპექტირებით დაასრულა. კობა ნარჩემაშვილმა დაათვალიერა ხეობაში მშენებარე სტრატეგიული ობიექტი "ხადორჰესი", რომელსაც ჩინური კორპორაცია "სიჩუანი" აშენებს და რომლის უსაფრთხოებასაც შინაგანი ჯარის ქისტურ-ქართული ჯგუფი იცავს. ხადორის საგუშაგო პანკისის ხეობის ბოლო პუნქტია, აქ მთავრდება ხეობა და სულ რაღაც 50 მეტრში უკვე ჩეჩნეთის საზღვარია. **"ადრე სავსე იყო აქაურობა, რამდენიმე თვეა, შეიარაღებული კაცი არ გვინახავს. როგორც თქვენ გიყურებთ და გელაპარაკებით, ასეთი ახლო ურთიერთობა გვქონდა მათთან. ახლა რომ ეძებოთ, ვერავის ნახავთ,"** – განაცხადა "ხადორჰესის" მშენებლობის უფროსმა სოსო მჭედლიშვილმა.



ბოლო ბლოკ-პოსტი პანკისის ხეობაში.

გუშინდელი პროფილაქტიკური ხასიათის შემოწმებით კმაყოფილმა შს მინისტრმა რეზიუმეს გაკეთებისას განაცხადა, რომ **"პანკისის ხეობაში ამჟამად არსებული სტაბილური მდგომარეობა დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. შესაძლოა, გაზაფხულზე გარე ძალების მიერ ხელოვნურად ინსცენირებული დანაშაულებებით სიტუაცია დაიძაბოს, მაგრამ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ."**

ხეობიდან დაბრუნების შემდეგ, კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ზურაბ ტუშურმა მინისტრს 2002 წლის მუშაობის ანგარიში ჩააბარა და უფროსის - პირველი პოლიციელის დადებითი შეფასებაც დაიმსახურა.

ხეობაში ჩატარებული ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის კობა ნარჩემაშვილმა შინაგანი ჯარებისა და პოლიციის 60-მდე თანამშრომელი გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის - ორდენებითა და მედლებით, ხოლო კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზურაბ ტუშური და მისი მოადგილე მენზერ ბერუკაშვილი ვახტანგ გორგასლის სახელობის მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით დააჯილდოვა.

# ადვოკატი „კანონიერი" ქურდების უკანონოდ დაკავების წინააღმდეგია

თამარ კაციტაძე

გუშინ ადვოკატმა ეკა ბესელიამ პრესკონფერენცია გამართა. ადვოკატი მანქანების გატაცებისა, ყაჩაღობასა და ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულ იმ ხუთკაციანი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს იცავს, რომელთა დაპატიმრების შესახებაც ინფორმაცია, ადვოკატისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ საზოგადოებას ზარ-ზეიმით აცნობა.

ქალაქის პოლიციის უფროსის მოადგილის დავით კეკუას მიერ გაკეთებულ განცხადებას – თბილისში მანქანების გამტაცებელთა ერთ-ერთი სერიოზული ჯგუფი დავაკავეთო - ადვოკატმა, სამართალდამცველთა მხრიდან დაშვებული ის კანონდარღვევები დაუპირისპირა, რომელთა დამტკიცების შემთხვევაშიც, შესაძლოა, მისი დაცვის ქვეშ მყოფის - ზურაბ სადალაშვილის - აღიარებითი ჩვენება ბათილად გამოცხადდეს და იგი დანარჩენ ოთხ ბრალდებულთან ერთად გაათავისუფლონ, რადგან, როგორც ადვოკატის სიტყვებიდან ჩანს, ჯგუფის დანარჩენი წევრები, მათ შორის "კანონიერი" ქურდი მერაბ რაზმაძეც, სწორედ სადალაშვილის ჩვენების საფუძველზე დააკავეს.

**"ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ პოლიცია დამნაშავეებს არ ებრძვის, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მტკიცებულებების შეგროვების და არა ფიზიკური წამების, ან სხვა მაქინაციების ხარჯზე,"** – ამბობს ადვოკატი.

ბესელიას განცხადებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციამ სადალაშვილი ქუჩაში, შუაღამისას დააპატიმრა. ადვოკატის ვარაუდით, სამართალდამცველებს მანქანის გატაცების დამამტკიცებელი არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდათ და ამიტომ მას ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუდეს, რათა უკანონო დაპატიმრების ბრალდებისგან თავი დაეზღვიათ.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, კანონდამცველებს ადვოკატისთვის წინასწარი დაკავების საკანში მისი დაცვის ქვეშ მყოფის ნახვის საშუალებაც არ მიუციათ. ბესელიას მტკიცებით, ამის მიზეზი იყო ის, რომ სადალაშვილი სამართალდამცველებმა სასტიკად აწამეს, რის შემდეგაც სასურველ ჩვენებაზე ხელი მოაწერინეს. **"ისე მაწამებდნენ, რომ ნებისმიერი ჩვენება რომ დამიდონ, დღესაც მოვაწერ ხელს,"** – უთქვამს ადვოკატისთვის ყაჩაღობის ბრალდებისთვის უკვე სამი თვით წინასწარ პატიმრობაში მყოფ სადალაშვილს. ბესელიას მტკიცებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს დალურჯებული აქვს თვალები და თითები. როგორც ბრალდებულს მოუყოლია, პოლიციელებს იგი დენზე შეუერთებიათ, შემდეგ კი, თურმე, თავზე პარკს აცვამდნენ და გაგუდვამდე მიჰყავდათ. ბესელიას მტკიცებით, ასევე უწამებიათ სადალაშვილთან ერთად დაპატიმრებული ჯგუფის სამი წევრი, რაც შეეხება "კანონიერ" ქურდს, მისთვის ხელის ხლება სამართალდამცველებს ვერ გაუბედავთ.



ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ პოლიციამ მეტი მტკიცებულება უნდა შეაგროვოს.

ადვოკატს სადალაშვილის წამების ფაქტის დასამტკიცებლად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დაუნიშნავს, რომლის პასუხზეც დამოკიდებული იქნება ხუთი პატიმრის და იმ მაღალჩინიანი პოლიციელების ბედი, რომლებმაც დაკავებულთა წამების ბრძანება გასცეს.

თუმცა, ბესელიას პრეტენზიები დედაქალაქის პოლიციის მიმართ ამით არ მთავრდება. როგორც ადვოკატი ირწმუნება, ქალაქის პოლიცია წარსულს უბრუნდება, როდესაც წინასწარი დაკავების საკნები პატიმართა ცემა-წამების და სხვა კანონდარღვევების ადგილად იყო ქცეული. მან განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოთქვა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის მიმართ, სადაც მარტო იანვრის თვეში რამდენიმე უკანონო დაკავება მომხდარა. ბესელიას მტკიცებით, რამდენიმე ხნის წინ უკანონოდ დაუკავებიათ სამი "კანონიერი" ქურდი, რომლებიც "შავი სამყაროს ერთ-ერთი ავტორიტეტის" მამის დასაფლავებაზე ყოფილან ჩამოსულნი და მათ გასათავისუფლებლად ოთხი ათას დოლარს ითხოვდნენ. ბესელიასა და ერთ-ერთი დეპუტატის ჩარევის შემდეგ პოლიციელებს ქურდები გაუთავისუფლებიათ.

როგორც ჩანს, ბესელიას გაწეული სამსახურისთვის არც დამნაშავეთა სამყარო რჩება ვალში. როგორც ადვოკატმა თავად განაცხადა, მას სამსახურის მიმდებარე ტერიტორიიდან (ყაზბეგის ქუჩა) დღისით-მზისით ავტომობილი "მერსედესი" მოჰპარეს, მაგრამ ბესელიას პოლიციისთვის არ მიუმართავს და მანქანა, "კანონიერი" ქურდების დახმარებით, იმავე საღამოს დაუბრუნეს.

# მოსკოვი ახალი ტერაქტების მოლოდინშია

ახალი ტერაქტების თავიდან ასაცილებლად მოსკოვის ცხრა სარკინიგზო სადგურზე გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები. ასე გამოეხმაურა რუსეთის დედაქალაქის ხელისუფლება ინტერპოლის ხაზით მიღებულ ინფორმაციას, რომელიც მოსკოვში ახალი ტერაქტების მზადების შესახებ ერთ-ერთი ჩეჩენი საველე მეთაურის მუქარას ეხება. სხვათა შორის, იანვარში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ინტერპოლი მოსკოვს ტერაქტების საშიშროების შესახებ აფრთხილებს. ამჟამად ინფორმაციის წყარო ჩეჩენი საველე მეთაურია, რომლის ვინაობაც არ სახელდება. იგი ტერაქტების რკინიგზაზე განხორციელებით იმუქრება. შესაბამისად, რკინიგზის სადგურებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე დამატებით იქნა დამონტაჟებული ათობით ვიდეოკამერა. ახლა გადაღება მიმდინარეობს არა მარტო შემნახველ საკნებში, არამედ პლატფორმებზეც და მოსაცდელ დარბაზებშიც. გარდა ამისა, დღეში რამდენჯერმე ხდება მიწისქვეშა გადასასვლელების, ტექნიკური შენობებისა და დამხმარე ნაგებობების შემოვლა. ამასთან, საქმეში ჩართულია კინოლოგიური სამსახურიც. სამართალდამცველები, გაწვრთნილ ძაღლებთან ერთად, სადგურის მახლობლად მდებარე სავაჭრო ობიექტებსაც კი დიდი გულისყურით ამოწმებენ. მილიცია დედაქალაქში ჩასული ყველა მგზავრის საბუთებსა და ბარგს სინჯავს და მკაცრად აკონტროლებს, რომ სადგურის მახლობლად საეჭვო მანქანა არ აღმოჩნდეს.

მოსკოვის რკინიგზის ყველა თანამშრომელი გაფრთხილებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მილიციას სადგურზე დატოვებული ყველა საეჭვო ნივთისა და იმ ადამიანთა შესახებ, რომელთა ქცევაც საეჭვოდ მოეჩვენებათ.

დიდი ძალისხმევა იხარჯება "სატელეფონო ტერორისტებთან" ბრძოლაზეც. ყოველდღიურად დედაქალაქის მილიციის სამორიგეოში საშუალოდ ათჯერ მაინც ირეკება. ანონიმი აბონენტები სამართალდამცველებს სადგურზე ჩადებული ნაღმების შესახებ აწოდებენ მცდარ ინფორმაციას.

როგორც წესი, "დამნაღმველები" ან ნასვამი არასრულწლოვნები აღმოჩნდებიან ხოლმე, ან ფსიქიურად დაავადებულები. მიუხედავად ამისა, ყველა ინფორმაცია მაინც გულმოდგინედ მოწმდება. "სატელეფონო ტერორისტს", ჩვეულებრივ, ორ-სამ საათში ააშკარავებენ. მოსკოვის მილიციის ცნობით, მარტო იანვარში უკვე 200 ასეთი ზარის გადამოწმება მოუხდათ. თითოეული ასეთი ოპერაცია კი ათობით ათასი რუბლი ჯდება.

თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ვერავითარი მატერიალური დანახარჯები სრული სიმშვიდის გარანტიას ვერ იძლევა. სხვათა შორის, ამას არც მოსკოვის მილიცია მალავს.

მოსკოვის ხელისუფლების უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს უფროსის ნიკოლაი კულიკოვის თქმით, არ შეიძლება დანამდვილებით მტკიცება იმისა, რომ მილიცია მოსალოდნელ ტერაქტებს აიცილებს. "ყველაზე ცივილიზებული ქვეყნების სამართალდამცველებიც კი ვერ იძლევიან ასეთ გარანტიას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამართალდამცველები ნამდვილად ცდილობენ უკვე მომხდარი ტერაქტების საქმეთა გამოძიებას და ახალი ტერაქტების თავიდან აცილებას, ჩვეულებრივ მოქალაქეებს უსაფრთხოების გარანტიას მსოფლიოს ვერც ერთი სპეცსამსახური ვერ მისცემს", - ამბობს კულიკოვი.

# ქუთაისის საოლქო სასამართლოში რადიაქტიურ ნივთიერებებს ეძებენ

ბექა სისაური,
ქუთაისიდან

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რამდენიმე დღის წინ გარემოს დაცვით სამსახურს "საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს" ერთ-ერთმა მუშამ მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე რადიაციული გამოსხივების 2 წყაროა ჩაფლული.

საქმე ის გახლავთ, რომ შენობა, რომელშიც ახლა ქუთაისის საოლქო სასამართლოა განთავსებული, წლების მანძილზე "საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს" ეკუთვნოდა. იმავე მუშის თქმით, 1965 წელს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს ეზოში ორი ცალი კონტეინერი ჩაუფლავთ, რომელიც, სავარაუდოდ, გამოსხივების წყაროს შეიცავდა. ამჟამად სასამართლოს შენობაში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე გაირკვა, რომ პიროვნება, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ჩაფლო კონტეინერები, ორი წელია, რაც გარდაიცვალა. ტერიტორიის შესამოწმებლად ქუთაისში ჩავიდა გარემოს დაცვის სამინისტროს რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ჯგუფი. მათ სასამართლოს ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე რადიაციული ფონის ცვლილება ვერ აღმოაჩინეს. ამჟამად დადგენილია სამარხის სავარაუდო ადგილმდებარეობა და უახლოეს დღეებში რადიაციული სამსახური კონტეინერების ამოღებას აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, რაში იყენებდა "საკონსტრუქტორო ბიურო" გამოსხივების შემცველ ნივთიერებებს და რატომ დამარხეს ის საკუთარ ეზოში. გარემოს დაცვის სამსახურის ადგილობრივი ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ მშენებლებს, რომლებიც სასამართლოში სარემონტო სამუშაოებს აწარმოებენ და ახლო-მახლო მცხოვრებ მოსახლეობას დასხივების საფრთხე არ ემუქრებათ.

# ამერიკა სუუამის სამართალდამცველთა ცენტრს დააფინანსებს

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აპირებს, დამატებითი ხარჯები გასწიოს სუუამის ქვეყნების სამართალდამცველი ორგანოების ერთობლივი ცენტრის შესაქმნელად. ამის შესახებ ამერიკის ოფიციალურმა პირებმა განუცხადეს გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსს". საქმე ეხება სუუამის წევრ ხუთ ქვეყანას – საქართველოს, უკრაინას, უზბეკეთს, აზერბაიჯანს, მოლდოვას და ამ ქვეყნების პოლიციური, საბაჟო და საზღვრის დაცვის სტრუქტურების მაკოორდინირებელი ცენტრის ჩამოყალიბებას. მსგავსი ცენტრი უკვე არსებობს რუმინეთის დედაქალაქში და ის ბალკანეთის ქვეყნების სამართალდამცველი ორგანოების კოორდინირებას ახდენს საერთაშორისო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუქარესტის მოდელს თითქმის უცვლელად გადმოიღებენ სუუამის ქვეყნები.

"ნიუ-იორკ თაიმსი" აქვეყნებს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონული სამართლებრივი პროგრამების დირექტორის ჯონ მარკეის კომენტარსაც, რომლის თქმით, "აღმოსავლეთ ევროპის, შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების დასახმარებლად ამერიკის ხელისუფლების მიერ გამოყოფილი 1,8 მილიარდი დოლარიდან უდიდესი ნაწილი ამ ქვეყნებში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფასა და მართვის სწორი ფორმების დანერგვას უნდა მოხმარდეს". მარკეის თქმით, დიდი იყო მცდელობა იმისა, რომ აღნიშნული პროექტით სომხეთის მხარეც დაეინტერესებინათ და სუუამის ქვეყნების შეხვედრებში რუსეთის (თუნდაც, დამკვირვებლის სტატუსით) მონაწილეობისთვის მიეღწიათ. მაგრამ ეს საკითხი, ჯერჯერობით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

სუუამის წევრი ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები კი თებერვალში, ბაქოში შეხვდებიან ერთმანეთს და ერთობლივად შეუდგებიან მონაცემთა ბანკის შექმნას, რომელშიც შეინახება ინფორმაცია ამ ქვეყნების სამართალდამცველი სტრუქტურების, სისხლის სამართლის დანაშაულებისა და ტერორიზმის შესახებ.

## მოკლედ

**თბილისი.** დიდი ოდენობით ფულადი სახსრების მითვისებისთვის დააკავეს ს.ს. "გაერთიანებული ქართული ბანკის" კრწანისის ფილიალის გაცვლითი ოპერაციების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ალექსანდრე ბიკაშვილი.

ბიკაშვილს ბრალად ედება 2002 წლის 4 დეკემბერს ბანკის კრწანისის ფილიალიდან საბრუნავი სახსრების სახით 21 335 ლარისა და 2 570 აშშ დოლარის გატანა და მითვისება. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის სამსახური. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯონდი ბაღათურია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის წინააღმდეგ უზენაეს სასამართლოში უახლოეს დღეებში სარჩელს შეიტანს და წარადგენს დოკუმენტებს ნადარეიშვილის მიერ კონტრაბანდის ხელშეწყობის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, ანტისახელმწიფოებრივი განცხადებების გაკეთებისა და უკანონო ფინანსური ოპერაციების განხორციელების შესახებ. ბაღათურია არ ეთანხმება საოლქო სასამართლოს მიერ გასული წლის დეკემბერში მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც ნადარეიშვილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი. ბაღათურია სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის, მოსამართლე გულედანის მიმართ კანონების არცოდნის და მიკერძოებულობის ბრალდებით დააყენებს დისციპლინარული დევნის საქმის აღძვრის შუამდგომლობას იუსტიციის საბჭოში.

■ ■ ■

**გორი.** ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გასული წლის 15 აგვისტოს გატაცებული ქართველი ვიცე-პოლკოვნიკის ზურაბ დურგლიშვილის ადგილსამყოფელი, ჯერჯერობით, კვლავ დაუდგენელია. სულ ცოტა ხნის წინ ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტრომ დურგლიშვილის სახელზე ინვალიდობის პენსიის გაცემა შეწყვიტა. "საპენსიო ფონდის უფროსი კოპლატაძე ჩემი შვილის კუთვნილი პენსიის გაცემაზე უარს აცხადებს იმ მოტივით, რომ მან ნოემბერში სამედიცინო კომისია არ გაიარა, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა გაევლო ნოემბერში კომისია, როცა აგვისტოდან დღემდე მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია", - აცხადებს გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკის დედა როზა დურგლიშვილი.

დურგლიშვილის ოჯახის წევრები ჯანდაცვის სამინისტროსგან პენსიის აღდგენას, ძალოვანი მინისტრებისგან კი გატაცებულის ადგილსამყოფელის დაუყოვნებლივ დადგენას მოითხოვენ. ზურაბ დურგლიშვილის დედა გამაფრთხილებელი აქციის გამართვას ამჯერად ცხინვალში აპირებს.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე ჰარი ჯონსონი და აშშ-ს მშვიდობის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი დევიდ სმიტი. ისინი შეხვდნენ საქართველოს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელს, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძეს. ჰარი ჯონსონმა ვალერი ჩხეიძეს გააცნო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ფუნქციონალური განვითარების საკითხებში მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და დადებითად შეაფასა პანკისის ხეობაში გასულ წელს ჩატარებული ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციები. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი**. 31 წლის თბილისელმა ზურაბ მენაბდემ 27 იანვარს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ოთხი შვილის მამამ საკუთარ სახლში, ფალიაშვილის №27-ში, „ზიგზაუერის" ტიპის საფანტის პისტოლეტით მოიკლა თავი. ამ დროს მისი ოჯახის წევრები სახლში იმყოფებოდნენ. თვითმკვლელობის მოტივი უცნობია. პროკურატურაში მოკვლევა გრძელდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიციამ დააკავა ამავე ქალაქში მცხოვრები, 19 წლის ლაშა წიკლაური. "ამოღებულია ცეცხლსასროლ იარაღად გადაკეთებული პნევმატური პისტოლეტი და 5.6 კალიბრის შაშხანის 6 ცალი ვაზნა,"— გვაცნობა შსს-ს პრესსამსახურმა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ბაღდათი.** ბაღდათის რაიონის პოლიციამ დააკავა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ბაღდათში მცხოვრები, 19 წლის ლევან გოქსაძე, რომელსაც ჩამოართვეს უნომრო გადაჭრილი სანადირო თოფი ოთხი ვაზნით, ერთი ხელყუმბარა „რგდ" და ნიღაბი. **მედია-ნიუსი..**

# 2003 წლის დეტროიტული ავტო-საუზმე

## დეტროიტელი ლაურეატები

დეტროიტის ჩრდილოამერიკული საერთაშორისო ავტოშოუ 5 იანვარს მხოლოდ მასმედიისთვის გაიხსნა. ამ დღეს გაიმართა პრესკონფერენციებისა და დებიუტების უმეტესობა და ჩატარდა ტრადიციული კონკურსი, რომელსაც უნდა დაესახელებინა ჩრდილოეთ ამერიკის 2003 წლის საუკეთესო მსუბუქი ავტომობილი და ეგრეთ წოდებული ტრეკი (Truck), რომელშიც ამერიკელები უგზოობის ავტომობილებსა და პიკაპებს აერთიანებენ.

ჟიური ჩრდილოეთ ამერიკის 49 უმსხვილესი და ყველაზე პოპულარული საავტომობილო გამოცემის ჟურნალისტებისგან შედგებოდა, რომლებსაც საუკეთესონი უნდა დაესახელებინათ 12 მსუბუქ და 13 უგზოობის ავტომობილს შორის. მათ თავიანთი არჩევანი ჯერ კიდევ დეკემბერში გააკეთეს და პასუხები კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს დალუქული პაკეტების სახით გაუგზავნეს.

მსუბუქი ავტომობილების კლასში გაიმარჯვა და "2003 წლის საუკეთესო ავტომობილის" წოდებას დაეუფლა "ბემვეს" წარმოების "მინი კუპერი", რომელმაც კენჭისყრის შედეგად 253 ქულა მოიპოვა და 43 ქულით მოიტოვა უკან "ინფინიტი G35". 190 ქულით მესამე ადგილი ერგო სპორტკუპე "ნისან 350Z"-ს.

აღსანიშნავია, რომ "მინის" გამარჯვება კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ პატარა ავტომობილის დიდ პოპულარობაზე როგორც აშშ-ში, ასევე მთელს მსოფლიოში. სწორედ ამ მოდელის ხარჯზე, თავისი არსებობის ისტორიაში პირველად, "ბეემვეს" გაყიდვებმა მილიონიან ზღვარს გადასცდა.

როგორც "მინის" ამერიკული განყოფილების შეფმა, ჯეკ პიტნიმ განაცხადა, თავის დროზე ანალიტიკოსები ბავარიულ კომპანიას არ ურჩევდნენ ამ პატარა მოდელის შექმნაზე ფულისა და დროის დახარჯვას და მთელი ყურადღების უგზოობის პროექტებისკენ გადატანას ურჩევდნენ. "მაშინ ჩვენ რომ მათთვის დაგვეჯერებინა, ავტოსამყარო, ალბათ, ვეღარასოდეს იხილავდა ახალ "მინის," - განაცხადა პიტნიმ.

მსუბუქი ავტომობილების კლასის კონკურსზე წარმოადგინეს სხვა მოდელები: "ჰონდა აკორდი", "ჰონდა სივიკ ჰიბრიდი", "მაზდა 6", "პონტიაკ ვაიბი", "სააბ 9-3", "სატურნ იონი", "ტოიოტა მატრიქსი" და "მერსედეს-ბენც E-კლასი".

უგზოობის ავტომობილებს შორის 180 ქულით პირველობა მოიპოვა "ვოლვოს" ამ კლასის პირველმა ავტომობილმა "ვოლვო XC90", რომელმაც ცოტა ხნით ადრე იგივე წოდება მოიპოვა ავტორიტეტულ ამერიკულ ჟურნალ "მოტორ ტრენდის" კონკურსში, სახელად - "წლის საუკეთესო უგზოობის ავტომობილი". შვედური ავტომობილის დებიუტი შარშან პარიზის ავტოსალონზე შედგა და მან იქაც დაჩრდილა კლასში ყველა კონკურენტი.

დეტროიტულ კონკურსში "ვოლვო XC90"-მა უკან მოიტოვა ისეთი სერიოზული კონკურენტი, როგორიცაა "ჰამერ H2", რომელსაც გამოკითხვამ 167 ქულა არგუნა. 156 ქულა მოუგროვდათ და მესამე ადგილი გაიყვეს ამერიკული ავტობაზრის ორმა დებიუტანტმა - "ჰონდა ელემენტმა" და "ნისან მურანომ".

"ვოლვოს" წარმომადგენელმა, ვიკ დოლანმა განაცხადა, რომ აპრილის შემდეგ, რაც "ვოლვო XC90"-ს დებიუტი შედგა, ავტომობილზე დიდი მოთხოვნილებაა მთელ მსოფლიოში. დღეისათვის გამოშვებული ყველა ავტომობილი გაყიდულია და მისი შეძენის მსურველს 120 დღის განმავლობაში მოუწევს მოცდა.

უგზოობის კლასის დანარჩენი კონკურსანტები იყვნენ: "ფორდ იქსპედიშნ", "ჰონდა პაილოტი", "კია სორენტო", "ლენდ როვერ რეინჯ როვერი", "ლექსუს GX470", "ლინკოლნ ავიატორი", მიცუბიში აუტლანდერი", "სუბარუ ბახა" და "ტოიოტა 4რანერი".

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კონკურსის ისტორიაში პირველად დომინირებდნენ არაამერიკული ავტომობილები. ისიც სათქმელია, რომ კონკურსის ექვს ფინალისტს შორის სამი "ნისანის" წარმოებისა იყო ("ინფინიტი" "ნისანის" ამერიკულ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს და, ძირითადად, მაღალი კლასის ავტომობილების წარმოებაზეა სპეციალიზებული).

დეტროიტშივე გაიცა ჯილდოები დიზაინისთვის, რომელთაგან 7 "ჯენერალ მოტორსის" ავტომობილებს ერგო. მათგან ყველაზე დიდი აღიარება მოიპოვა პიკაპ "შევროლე შეიენმა", რომელმაც ოთხ ნომინაციაში გაიმარჯვა. ორი პრიზი ერგო "კადილაკ სიქსტინს", ერთი კი რევოლუციურ Hi-Wire-ს. ავტოშოუს საუკეთესო ავტომობილად კი დასახელებულ იქნა 2003 სამოდელო წლის "შევროლე შეიენი" (შეიენი ინდიელთა ტომის სახელია).

დიზაინისთვის უმაღლესი ჯილდო ხვდა წილად "ჯენერალ მოტორსის" Hi-Wire-ს, მინივენთა შორის საუკეთესო დიზაინის ავტომობილად მიჩნეულ იქნა "ჰონდა ელემენტი".

კუპე "ბენტლი კონტინენტალ GT"-ს ორი ჯილდო ერგო - თავის კლასში სერიული ვერსიის საუკეთესო დიზაინისთვის და საუკეთესო გარეგნული იერისთვის. ავტოსალონის საუკეთესო კონცეპტუალურ მოდელად მიჩნეულ იქნა "ფორდის" "მერკური მესენჯერი". ინტერიერის საუკეთესო გაფორმებისთვის პრიზი "აუდი A8"-მ დაიმსახურა.

დეტროიტშივე გამომცემლობა "ოტომოტივ ნიუსმა" მეხუთედ ჩაატარა კონკურსი, რომელიც წლის საუკეთესო კონცეპტუალურ მოდელებს ავლენს. გამოკითხვის შეჯამების შემდეგ პირველობა მიეკუთვნა სადიზაინერო სტუდია "იტალდიზაინის" ნამუშევარ "ალფა რომეო ბრერას", რომელმაც უკან მოიტოვა ისეთი კონურენტები, როგორებიცაა "ჯენერალ მოტორსის" Hi-Wire და "რენო ელიპსი".

ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა, როგორც საუკეთესო ინტერიერის მქონე ავტომობილმა, გარეგნული იერით კი საუკეთესოდ კვლავ "ბრერა" იქნა მიჩნეული.

## სამქიმიანი შოკი - სპორტული უნივერსალი "მაზერატი კუბანგი"

რაც "მაზერატი" არსებობს, ამ პატარა იტალიურ კომპანიას ჩვეულებრივი სედანიც კი არ გამოუშვია (სუპერსედანებს არ ვგულისხმობთ) და ახლა მისი კონსტრუქტორები ერთბაშად სპორტული უნივერსალების კლასს "წაეპოტინენ"

კარგა ხანია, ამ კლასის ავტომობილებზე მსოფლიოში ნამდვილი ბუმია, რის გამოც მათი წარმოება დაიწყეს ბაზრის მოცემული სეგმენტის ისეთმა "უცხო პირებმა", როგორებიც არიან "მერსედეს-ბენცი", "ბეემვე", "ფოლკსვაგენი" და "პორშეც" კი. ეგ კი არა, ამბობენ, - მალე "ბენტლისა" და "მაიბახსაც" ვიხილავთ ყველგანმავალი მოდელების ფორმითო.

ჰოდა, "მაზერატიმაც" ხელი გამოიღო და დეტროიტში თავისი სენსაციური სიახლე - დიდი გამავლობის მქონე სპორტული უნივერსალების კლასის (ეგრეთ წოდებული "სპორტ უტილიტი ვიჰაიქლ) კონცეპტუალური მოდელი "კუბანგი" წარადგინა. ეს არის დიდი, ხუთკარიანი, ეგრეთ წოდებული ორმოცულობიანი ძარის მქონე ავტომობილი, რომლის გარეგნობაზეც ჯორჯეტო ჯუჯაროს სტუდიამ იზრუნა. ავტომობილი აღჭურვილია "სამქიმიანი გვირგვინის" (ეს "მაზერატის" საფირმო ნიშანია) წარმოების 4.254-ლიტრიანი რვაცილინდრიანი აგრეგატით, რომელიც 390 ცხენის ძალას ავითარებს და უკვე კარგა ხანია, სპორტულ მოდელებზე - "სპაიდერსა" და "კუპეზე" გამოიყენება. ამ ძრავის საშუალებით "კუბანგის" მაქსიმალური სიჩქარე 255 კმ/სთ-ია, ადგილიდან 100 კმ/სთ-ს კი 5.5 წამში ავითარებს.

ძრავის მაბრუნი მომენტი თვლებამდე მიაქვს ელექტრონიკით მართვად 6-საფეხურიან გადაცემათა კოლოფს, სახელად "კამბიოკორსას", რომელიც ან მძღოლის სურვილისამებრ მუშაობს, ან - ეგრეთ წოდებულ სეკვენტალურ (ფორმულა ერთში გამოიყენება) და ავტომატურ რეჟიმებში.

დაკიდების სისტემაში გამოყენებულია მართვადი ამორტიზატორები, რომლებსაც სიხისტე მოძრაობის დროს, გზის საფარის მახასიათებ-






*"მაზერატიმ" ფეხი გამოყო და "კუბანგი" გამოაცხო*


*ასეთია "პორშეს მკვლელად" წოდებული "ასტონ მარტინ AMV8 ვენტიჯი"*


*ავტოშოუს დასრულებამდე ამ "ლამბორგინის" "ბარკეტა" უწოდეს*

ლების მიხედვით ეცვლება. იტალიური კომპანია "პირელის" წარმოების საბურავები (პირელი სკორპიონ ძერო) კი უნივერსალურობით გამოირჩევა და გზის საფართან საუკეთესო ჩაჭიდებას სრულიად განსხვავებულ პირობებში უზრუნველყოფს.

ავტომობილის სიგრძეს ხუთ მეტრამდე ორი მილიმეტრი უკლია, სიგანე 1.94 მეტრია, სიმაღლე კი - 1.64 მეტრი. "კუბანგში" თავისუფლად თავსდება ხუთი მოზრდილი ადამიანი, მისი საბარგულის მოცულობა კი 600 ლიტრია, მაგრამ თუ უკანა სავარძლებს დავკეცავთ, მაშინ საბარგულის მოცულობა, თითქმის, სამჯერ იზრდება.

ვერაფერს იტყვით, ნამდვილი საოჯახო სპორტული მანქანაა და თანაც, ნატურალური "მაზერატი". მის შემხედვარეს, კაცს აღარ გაუკვირდება, თუ წელს ჟენევაში ან ფრანკფურტში "ფერარი" ნამდვილ უგზოობის ბოლიდს შემოგვთავაზებს!

## უსახელო "ლამბორგინი" და "გაიარდო"

სპორტული ავტომობილების იტალიურმა კომპანია "ლამბორგინიმ", რომელიც 1998 წლიდან გერმანული "აუდის" შემადგენლობაშია, დეტროიტში ერთადერთი სიახლე ჩაიტანა, მაგრამ კიდევ ერთი ახალი მოდელის შესახებ ამცნო საავტომობილო სამყაროს.

პირველია კონცეპტუალური როდსტერი, რომელიც ერთგვარად "ლამბორგინი მურსელაგოს" კი წააგავს, მაგრამ მასზე გრძელი და უფრო დაბალია და თავისი აგრესიული გარეგნობით უფრო სარბოლ ბოლიდს მოგვაგონებს. იგი კონცეპტუალურია, ჯერ სახელი არ გააჩნია და კომპანია მის წარმოებას მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვეტს, თუ დეტროიტსა და მომდევნო დიდ გამოფენებზე კარგ გამოხმაურებას მიიღებს. და თუ ყველაფერი რიგზე იქნა, მისი წარმოება 2004 წლიდან დაიწყება (ასეთი ზომის ფირმებს ახალი მოდელის წარმოებისთვის დიდი მომზადება არ სჭირდებათ).

უსახელო "ლამბორგინი" "მურსელაგოს" პლატფორმაზეა დამზადებული და მისსავე აგრეგატებს იყენებს, მაგრამ გარეგნობით საკმაოდ განსხვავდება მისგან. ამ ავტომობილის დიზაინი შექმნა "იტალდიზაინ-ჯუჯაროს" სტუდიამ და პროექტში მონაწილეობდა "აუდის" ბელგიელი სტილისტი, ლუკ დონკერვოლკე.

მეორე ავტომობილია აქამდე L140 ინდექსით აღნიშნული ეგრეთ წოდებული "პატარა ლამბორგინი", რომელიც კომპანიამ სულ ახლახან "მონათლა" და როგორც მოსალოდნელი იყო (კორიდული ტრადიციების შესაბამისად), მას "გაიარდო" (იწერება Gallardo) უწოდა. ფრანცისკო გაიარდო, თურმე, მე-18 საუკუნის ცნობილი ხარების ფერმის პატრონი ყოფილა, რომლის მებრძოლი ოთხფეხები მთელ მსოფლიოში განთქმულნი ყოფილან და მათზე კორიდის მოყვარულები ლეგენდებს თხზავდნენ.

"გაიარდოს" დებიუტი გაზაფხულის დასაწყისში, ჟენევის ავტოსალონზეა დაგეგმილი. დღეისათვის კი სრული მასშტაბითაა გაშლილი მისი ტესტირება. წინასწარი მონაცემებით, ეს ავტომობილი აღიჭურვება 5-ლიტრიანი V10 აგრეგატით, რომელსაც 500 ცხენის ძალა გააჩნია და მისი საშუალებით ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს 4.5 წამში აკრეფს. ზუსტად იგივე მონაცემები აქვს "აუდის" ახალ სპორტულ მოდელ RSR-ს, რომლის წარმოების დაწყებაც წლის მეორე ნახევარშია მოსალოდნელი.

წინასწარი ვარაუდით, "გაიარდო" 150 ათასი დოლარი ეღირება. "ლამბორგინი" მის დასამზადებლად გამოიყენებს ბოლონიაში მდებარე სანტა აგატას ქარხანას. წლეულს 500 ცალი "გაიარდოს" დამზადება მოესწრება, მომავალი წლიდან კი წარმოების მოცულობა 1300 გახდება. ეს ავტომობილები კონკურენციას გაუწევენ "ფერარი 360 მოდენას" და "პორშე 911 GT2"-ს. თუმცა, როგორც იტალიური პრესა იუწყება, "ფერარიც" ჟენევისთვის ამზადებს თავის ახალ მოდელ "სტრადალეს", რომელიც სწორედ "მოდენას" შეცვლის.

## "პორშეს მკვლელი" "ასტონ მარტინისგან"

დეტროიტში "ასტონ მარტინისგან" სიახლეს, ალბათ, არავინ ელოდა. მითუმეტეს, ინგლისურმა კომპანიამ, რომელიც რამდენიმე წელია, "ფორდის" ნაწილია, სულ ახლახან პარიზის ავტოსალონზე წარადგინა თავისი ახალი ქმნილება. ამჯერად "ასტონ მარტინმა" დეტროიტში წარადგინა მომცრო სპორტკუპეს პროტოტიპი, რომლის წარმოების დაწყებაც 2005 წლისთვისაა დაგეგმილი და რომელსაც "AMV8 ვენტიჯი" ეწოდება.

ეს მანქანა ალუმინისგან შექმნილ შასიზეა ბაზირებული და მისი წონა თანაბრადაა განაწილებული წინა და უკანა თვლებს შორის, რაც იდეალური ვარიანტია ნებისმიერი, მითუმეტეს, სპორტული ავტომობილისთვის. შასიზე დამონტაჟებულია 4.3-ლიტრიანი V8, რომელიც 360 ცხენის ძალას ავითარებს. მისი საშუალებით AMV8-ს მაქსიმალური სიჩქარეა 280 კმ/სთ.

"ასტონ მარტინის" ამ სიახლის გარეგნობაზე მუშაობდა დიზაინერთა ჯგუფი ჰენრიკ ფისკერის ხელმძღვანელობით. ეს ის კაცია, რომელმაც "ბეემვე Z8" შექმნა, მერე კი ინგლისურმა კომპანიამ გადაიბირა.

"ამ ავტომობილში შეხამებულია ის თვისებები, რომლებიც "ასტონ მარტინის" ყველა მოდელს ახასიათებს. ჩვენი მუშაობის დროს ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რათა საბოლოო პროდუქტი მოხდენილი და თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ყოფილიყო. ამასთან, თუ მის წინა ნაწილს ხელს შეავლებთ, მაშინვე დარწმუნდებით, რომ ეს მანქანა "ასტონ მარტინია", - ამბობს ფისკერი.

ახალი "ასტონ მარტინი" 100 ათასი დოლარის ფარგლებში ეღირება და როგორიც მისი გარეგნობიდან და ტექნიკური პარამეტრებიდან ჩანს, იგი იმ სეგმენტის ლიდერობისთვისაა მოწოდებული, სადაც წლების განმავლობაში ბატონობს გერმანული "პორშე". უფრო მეტიც, სპეციალისტებმა "ასტონ მარტინ AMV8 ვენტიჯს" "პორშე კილერი" შეარქვეს - ანუ ცუფენჰაუზენელთა ჰეგემონია დასასრულს უახლოვდება?!

ცოტაც მოვიცადოთ და ყველაფერი ახლო მომავალში გაირკვევა.


*ბესტსელერი "მინი"*


*ლაურეატთა ლაურეატი "ვოლვო XC90"*


*"ალფა რომეო ბრერა"*

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ჩვენ არ ვაპირებთ, შევაჩეროთ რომელიმე პროექტი ან შევამციროთ დაფინანსება

*მაშინ ახალგაზრდა ეკონომისტი დონა დოუსეთ-კორიოლო 1970 წელს შეუერთდა მსოფლიო ბანკს. ამის შემდეგ მისი სამსახური და, შესაბამისად, ბიოგრაფიაც, მხოლოდ განვითარებად და გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებს უკავშირდება. გეოგრაფია ასეთია: ცენტრალური ამერიკა - ვენესუელა, ჰაიტი; აფრიკა - ტანზანია, უგანდა, წყნარი ოკეანის აუზი; ლათინური ამერიკა - ბრაზილია, კარიბის აუზი; აღმოსავლეთ აზია; კავკასიის სამხრეთი ქვეყნები... საქართველოში მან შეცვალა ქალბატონი ჯუდი ო კონორი, რომელიც ამ თანამდებობაზე დაწესებულ ვადაზე - სამ წელიწადზე მეტხანს მუშაობდა. დონა დოუსეთ-კორიოლოს საქართველო კონკურსის წესით ერგო. ამ ქვეყანაში, რეგიონული დირექტორის რანგში, მისი პირველი ვიზიტი საკმაო ხმაურით დაიწყო. ამის მიზეზი გახლდათ მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული საქართველოს დახმარების სტრატეგიის ძირითადი საკითხების მიმოხილვითი წერილი, რომელიც ამ ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობას გამოუგზავნა და რომელმაც, ისე როგორც სხვა ყველაფერმა საქართველოში, პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. მსოფლიო ბანკს არ სურს, რომელიმე ქვეყანაში პოლიტიკური აჟიოტაჟის მიზეზი გახდეს, ამიტომაც, ქალბატონი დონა ჩვენთან ინტერვიუში შეეცადა, დიპლომატიურად ჩაეცხრო მისი ოფისისთვის ასე მიუღებელი პოლიტიკური ხმაური.*

მაია ჭალაგანიძე


დონა დოუსეთ-კორიოლო

ვახო ხაინდრავა ფოტოები

**- ქალბატონო დონა, სამუშაო წერილმა პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. სავალუტო ფონდი კი პოლიტიკისგან შორს უნდა იდგეს.**

- მსოფლიო ბანკი ამგვარ მიმოხილვით წერილებს წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ გზავნის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ხორციელდება ის პროექტები, რომლებსაც მსოფლიო ბანკი და საქართველოს მთავრობა ერთობლივად ახორციელებს... ასე რომ, საქართველო განსაკუთრებული შემთხვევა არ არის. წერილი საკითხთა დეტალურ განხილვას და დასკვნებს არ შეიცავს. მოკლე დოკუმენტის ტექსტი, ხშირ შემთხვევაში, არასწორად იყო ინტერპრეტირებული.

მაგალითად, ერთ-ერთი დასკვნა, რომელსაც არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა, იყო ის, რომ მსოფლიო ბანკი აპირებს, გააუქმოს ან შეაჩეროს ესა თუ ის პროექტი, ან პროექტის ნაწილი. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენი საკრედიტო პორტფელის მიმოხილვის გახსნით სესიაზე აღინიშნა კიდეც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებთან შედარებით ეს არის მასშტაბური მოცულობის პორტფელი. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ პროექტთა რაოდენობაა დიდი, არამედ იმიტომ, რომ სხვადასხვა მნიშვნელობის სექტორებია მოცული - განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მცირე ბიზნესი, ენერგეტიკა, სასამართლო რეფორმა და ა.შ. ჩვენი პროექტების ეს ფართო სპექტრი მრავლისმთქმელია...

**- რის მიხედვით და რა კრიტერიუმებით დაადგინა მსოფლიო ბანკმა დასახმარებელი სექტორები? ეს შექმნილმა რეალობამ გიკარნახათ თუ ქვეყანაში არსებული სიტუაციის თქვენეულმა ანალიზმა?**

- მსოფლიო ბანკში შექმნილია შიდა სარეიტინგო შეფასების სისტემა იმის დასადგენად, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად ან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და სრულდება ესა თუ ის პროექტი. ამ სარეიტინგო სისტემის მიხედვით, საქართველოში დიდი მოცულობის, პროპორციულად მაღალი რაოდენობის პროექტებია შეფასებული დადებითად. გარდა ამისა, კონტრაქტით მოვიწვიეთ დამოუკიდებელი კომპანია, რომელსაც დამატებით შევაფასებინეთ ეს პროექტები. ჩვენთვის საინტერესო იქნებოდა, თუ ისინი რაიმე განსხვავებულ შეფასებას შემოგვთავაზებდნენ. ამ დამოუკიდებელ ექსპერტებს სხვა ქვეყნებშიც აქვთ ჩატარებული მსგავსი სამუშაო და ამ მხრივ გამოცდილება ჰქონდათ. მათი დასკვნები, ძირითადად, მსოფლიო ბანკის დასკვნებს დაემთხვა. მათ დადებითი შეფასება მისცეს საქართველოში განხორციელებულ პროგრამას და თქვეს: იმის მიუხედავად, რომ პრობლემები არის, ეს ძლიერი პროექტებია და კარგად ხორციელდება.

ასე რომ, ჩვენ არ შეგვიჩერებია და არც ვაპირებთ, შევაჩეროთ ან შევამციროთ რომელიმე მიმდინარე პროექტის დაფინანსება. ერთი სიტყვით, ინტერპრეტაცია, რაც საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილ ამ წინასასაუბრო წერილს მიეცა, არასწორია.

**- თუ ასეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსოფლიო ბანკი არ შეცვლის თავის პოლიტიკას საქართველოში...**

- საქართველოში ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი სწორედ მომავლისკენ გახედვა, მომავალი თანამშრომლობის კონტურების მოხაზვაა. უკვე არსებულ პროექტებზე დაყრდნობით, ჩვენ ვმუშაობთ უახლოეს ორ-სამ წელიწადში განსახორციელებელ პროექტებზე.

ვიცი, რომ საზოგადოებას ძალიან აინტერესებს, თუ რა ოდენობის ფინანსურ დახმარებას უწევდა და გაუწევს მსოფლიო ბანკი საქარველოს. ამასთან დაკავშირებით, ერთ საკითხზე საგანგებოდ შევჩერდები. ისინი, ვისთვისაც გამიზნული იყო ეს დოკუმენტი, კარგად იყვნენ ინფორმირებულნი მიმდინარე წლის დაფინანსების შესახებ. რაკი ეს დოკუმენტი არ იყო გამიზნული ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, ამიტომ წლევანდელი კომპონენტი ამ დოკუმენტში არ შეგვიტანია. კერძოდ, წლევანდელი ახლად დამტკიცებული სამი პროექტი, რომლის საერთო დაფინანსების მოცულობა 55 მილიონია, გარდა ამისა, 15-მილიონიანი სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტი. აგრეთვე, თბილისის მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პროექტიც. საერთო ჯამში, წლეულს მსოფლიო ბანკის დახმარება 77 მილიონს მიაღწევს და აქ არ შედის ის 91 მილიონი, რომელზეც აქამდე იყო საუბარი.

**- როგორც ცნობილია, ამ 91-მილიონიანი პროექტის განხორციელება 2004-2006 წლებშია დაგეგმილი.**

- თქვენ კალენდარულ წლებს გულისხმობთ, ჩვენ კი ვითვლით საფინანსო წლებს, რომლებიც შუა ზაფხულში მთავრდება. ასე რომ, როცა ვამბობთ - 2006 წლამდე, საქართველოსთვის ეს იქნება 2005 წლის ბოლო და 2006 წლის დასაწყისი. სწორედ ეს გახლავთ იმ შეხვედრების მიზანი, რომლებიც მთავრობის წარმომადგენლებთან გვექნება. შეხვედრებზე ერთობლივად უნდა გამოვკვეთოთ ის უმთავრესი პრიორიტეტები, რომლებიც ამ წლების განმავლობაში გვექნება. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სიღატაკის შემცირების სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელზეც დღეს დასრულდება მუშაობა... ჩვენ გვსურს, დახმარებამ ხელი შეუწყოს იმ მიზნების შესრულებას, რომელსაც საქართველოს მთავრობა ამ სტრატეგიულ დოკუმენტში შეიტანს.

აქვე მინდა დავძინო, რომ წლევანდელი 77 მილიონისა და შემდეგი სამი საფინანსო წლის 91 მილიონის მიუხედავად, საერთო მოცულობით, თანხა უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა წლებში გაწეული დახმარება. თუმცა, არც ისე საგრძნობლად ნაკლები, როგორც ზოგიერთი წარმოაჩენს ხოლმე.

**- იქნებ განმარტოთ მსოფლიო ბანკის პოზიცია, თუ რატომ იქნება საერთო მოცულობის დაფინანსება უფრო ნაკლები, ვიდრე წინა წლებში? აქვე იქნებ იმის შესახებაც გვითხრათ, რა კრიტერიუმებით აფასებს მსოფლიო ბანკი ამა თუ იმ ქვეყანაში გაწეული მუშაობის შედეგებს?**

- სწორედ ამ საკითხებზე ვმსჯელობთ ამ ორი დღის განმავლობაში. თავდაპირველად თანხების შემცირებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ.

დაფინანსებას, რომელსაც მსოფლიო ბანკი იმ ქვეყნებისთვის გამოყოფს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე გარკვეულ ზღვარზე დაბალი შემოსავალია, ჩვენ საერთაშორისო განვითარების ასოციაციის თანხებს ვუწოდებთ. ეს გახლავთ გრძელვადიანი, შეღავათიანი სესხით გაცემული თანხები. საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კალათა იქმნება იმ დონორი ქვეყნების შენატანებისგან, რომლებიც მსოფლიო ბანკის წევრები არიან. როგორც წესი, ისინი ამ თანხებს სამწლიანი პერიოდით გამოყოფენ. სამწლიანი კალათის მოცულობა განისაზღვრება იმით, თუ რა რაოდენობის თანხას შეიტანენ დონორი ქვეყნები. IDA-ს თანხები ამ დახმარების მიმღებ სხვადასხვა ქვეყანაზე ასე ნაწილდება: მსოფლიო ბანკი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორი შემოსავალი აქვს ქვეყანას, როგორია მოსახლეობა და ქვეყნის საქმიანობა. ამ უკანასკნელს შეფასების სხვადასხვა ინდიკატორით განსაზღვრავენ. ერთ-ერთი მათგანია, თუ რამდენად წარმატებულად ხორციელდება ქვეყანაში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები. თუმცა, ეს ერთადერთი ინდიკატორი არ არის. აქ მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც ფასდება და, საერთოდ, არსებობს უკვე დადგენილი ფორმულები, რის მიხედვითაც აფასებენ ქვეყანას.

დონორები საგანგებოდ მიუდგნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საკითხს იმ სირთულეების გათვალისწინებით, რაც მათ გადაიტანეს. თქვენთვის უცხო არ არის, რომ გარდამავალ პერიოდში ამ ქვეყნებს რთული ეკონომიკური და სოციალური პერიოდი ჰქონდათ. ყველა ეს სირთულე, სამწუხაროდ, ვერ აისახებოდა იმ სტანდარტულ ფორმულებში, რომლებსაც, როგორც წესი, მსოფლიო ბანკი იყენებს ხოლმე დახმარების მოცულობის განსაზღვრისას. ამის გამო დონორებმა გადაწყვიტეს, ამ ქვეყნებისთვის, იმ თანხის გარდა, რასაც, ჩვეულებრივ, ისინი იღებდნენ, დამატებით მიეცათ სხვა თანხა.

მსგავსი მიდგომა აქვს მსოფლიო ბანკს იმ ქვეყნების მიმართ, სადაც სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, ან რაიმე საგანგებო შემთხვევა) აღინიშნა. სანამ საქართველოში დავინიშნებოდი, ვიყავი ჰონდურასში, სადაც ბუნებრივი კატასტროფები მოხდა. ამის შემდეგ მსოფლიო ბანკმა ამ ქვეყანას დამატებითი თანხები გამოუყო.

საქართველოს შემთხვევაში, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ სოციალური სფეროებში შოკის შესამსუბუქებლად დამატებითი თანხა უკვე აღარ მოქმედებს. ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დსთ-ს ყველა იმ ქვეყანას, რომელიც დამატებითი ელემენტით სარგებლობდა. ეს იმიტომ არ მოხდა, რომ საქართველო გარდამავალ ეტაპზე აღარ იმყოფება, არამედ იმიტომ, რომ თქვენს ქვეყანას ყველაზე მძიმე პერიოდი უკვე გავლილი აქვს.

**- რაც შეეხება შეკითხვას, თუ რა კრიტერიუმებით აფასებს მსოფლიო ბანკი გაწეული მუშაობის შედეგებს...**

- სწორედ ამ დილას ვსაუბრობდით იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და რთულია ამა თუ იმ პროექტის განხორციელების კონკრეტული შეფასება. შედეგების შეფასებაზე უფრო ძნელია შეაფასო ის ზეგავლენა, რაც პროექტთა მიზნის განხორციელებაზე მოქმედებს. მაგალითისთვის გეტყვით: ჯანდაცვის ამა თუ იმ სფეროსთვის დახმარება ემსახურება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მედპერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას და ა.შ. მაგრამ, საბოლოო ამოცანა ქვეყანაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რაც შეიძლება განისაზღვროს სიკვდილიანობის შემცირებით და ა.შ. საავადმყოფოების რაოდენობა, გაუმჯობესებული გზები - ანუ, მიღებული შედეგების გაზომვა უფრო იოლია, ვიდრე იმის დადგენა, თუ რამდენად გაუმჯობესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამავე დროს აუცილებელი და მნიშვნელოვანია, შეფასდეს ის, თუ რა გავლენა მოახდინა ქვეყნის ზრდა-განვითარებაზე, ცხოვრების დონის ამაღლებაზე ამა თუ იმ პროექტის განხორციელებამ. ეს მარტო ჩვენთვის კი არა, ქვეყნის მთავრობისთვისაც მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში, შეფასების ინდიკატორები სხვადასხვა სექტორისთვის სხვადასხვაა. საბოლოო შეფასება კი ყველა ამ ღონისძიების ერთობლიობაა.

**- თქვენ მრავალ ქვეყანაში გიმუშავიათ. როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სხვა ქვეყნების მთავრობები მსოფლიო ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას? საქართველოში ერთ-ერთი დიდი პრობლემა ხომ თანადაფინანსებაა. სხვაგან?**

- კარგი შეკითხვაა. ამ თემაზე თავადაც მინდოდა საუბარი. ჩემთვის ძალიან ადრეა დასკვნების გაკეთება. მე მხოლოდ სამი- ოთხი თვეა ვმუშაობ საქართველოზე. მაგრამ როდესაც აღებული ვალდებულებების შესრულების ერთგულებაზე საუბრობ, ობიექტური უნდა იყო. კონკრეტული ფაქტების გაანალიზების გარეშე ობიექტური ვერ იქნები. თანადაფინანსების ხარისხი ვალდებულებათა ერთგულების შეფასების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. მეორე ფაქტორი იმ ხალხის პროფესიონალიზმისა და პატიოსნების შეფასებაა, ვისაც მთავრობა პროექტის ხელმძღვანელებად ნიშნავს.

კიდევ ერთი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის პროექტების განხორციელების ხარისხი. რა თქმა უნდა, შეიძლება მოხდეს ისე, რომ პროექტი თავიდანვე არ იყოს სწორად შედგენილი, მაგრამ, როგორც წესი, ასე არ ხდება. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ან არ იყო სათანადო ყურადღება, ან საჭირო დროს საჭირო გადაწყვეტილება არ იყო მიღებული, ან არაკვალიფიციური ხალხი მოხვდა პროექტში, ან დაფინანსება არ არის საკმარისი და ა.შ. პროექტების წარუმატებლობა სხვადასხვა მიზეზმა შეიძლება განაპირობოს.

არასისტემური და არასაკმარისი თანადაფინანსების პრობლემა, უდავოდ, დგას. რაც, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს პროექტების განხორციელებაზე. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დღევანდელი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

როცა თანადაფინანსების რაოდენობა არასაკმარისი და მცირეა, ამას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორის ისიც, რომ მთავრობა და ხელისუფლება სათანადო ყურადღებას არ აქცევს პროექტებს...

მრჩება შთაბეჭდილება, რომ თანადაფინანსება სწორედ ბიუჯეტში არსებული პრობლემების გამო შეფერხდა. ბიუჯეტი მწირი იყო, თუმცა, ამის თაობაზე მუდმივად მიმდინარეობდა დისკუსიები. მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზრდება თანადაფინანსების თანხები.

**- თქვენი წინამორბედი ჯუდი ო კონორი დიდხანს მუშაობდა საქართველოში. რა რეკომენდაციები გაუწია მან საქართველოს და რა გითხრათ, სად ჩამოდიოდით?**

- ჯუდის საშინლად სწყდებოდა გული, საქართველოზე მუშაობას რომ ამთავრებდა. როცა შევხვდით, გულაჩუყებული მესაუბრებოდა. აქ ის საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. მან მიამბო საქართველოში არსებული სირთულეების შესახებ. ჯუდიმ მითხრა, რომ საქართველოს ძალზე მტკივნეული გარდამავალი პერიოდი და რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვს და სწორედ ამაზე მუშაობას მიაქვს უამრავი დრო და ენერგია.

ისიც მითხრა, რომ ამ ქვეყანაში ძალზე აქტიური და მზარდი სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო სექტორია. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ საზოგადოება უფრო და უფრო გახსნილად მსჯელობს ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე. ეს, რა თქმა უნდა, რთული პროცესია, მაგრამ მისასალმებელია.

მან მირჩია, ბევრი მემუშავა მთავრობასთან და, ამასთან, ბევრი მემუშავა პარლამენტთან, არასამთავრობო სექტორთან, მედიასთან და სხვა.

საქართველოზე სრული შთაბეჭდილება რომ შემქმნოდა, ჯუდიმ მირჩია, ბევრი მემოგზაურა რეგიონებში. სწორედ დღეს მექნება ლანჩი არასამთავრობოებთან და კვირას, მოკლე ხნით, ბორჯომშიც წავალ.

...და როცა ამერიკაში ჩავალ, მე და ჯუდის აუცილებლად გვექნება ლანჩი. მას მუდამ აინტერესებს ამბები საქართველოზე. ყოველთვის, როცა ვინმე აქედან ბრუნდება, ის პირადად ეკითხება ამ ამბებს.







## ზაალ სამადაშვილის სვეტი

# ვარიაციები „ვარიაციების" თემაზე



დავალებული ვარ მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე პატარა საპარიკმახეროსგან, სადაც ყველა პატარა საპარიკმახეროს მსგავსად, რადიო იყო ჩართული დილიდან საღამომდე და საიდანაც დასაცინად განწირული Полубокс-ით გამოვდიოდი ჯონ ლენონისა და მიკ ჯაგერის ეპოქაში...

დავალებული ვარ წითლად შეღებილი ძველი ტრამვაისგან, ვორონცოვის აღმართიდან კალინინის ქუჩაზე გასვლისას სიჩქარეს რომ ანელებდა და საშუალებას მაძლევდა მოხდენილად ჩამოვმხტარიყავი საშაქარლამოსთან შეკრებილი გოგოების თვალწინ...

დავალებული ვარ თეთრად გადაპენტილი აკაციებისგან, რომელთა სურნელი ქვაფენილიან ქუჩებთან ერთად გაჰყვა ჩემს ბავშვობას...

დავალებული ვარ კინოთეატრების ბოლო რიგებისგან, სადაც ხარბად ვეწეოდი მუჭში დამალულ სიგარეტს და ტუჩებს ვუკოცნიდი გოგოებს, რომლებიც მცირეოდენი გაპრანჭვის შემდეგ ამის ნებას მაძლევდნენ...

დავალებული ვარ წვრილპირიანი ჩინური დანისგან, რომლითაც ერთიერთზე ჩხუბისას დამჭრეს. ყმაწვილკაცური მაქსიმალიზმით განპირობებული ამ შემთხვევის წყალობით შედგა ჩემი პირველი შეხვედრა სიკვდილთან, რომელსაც სადეზინფექციო ხსნარებისა და ქათმის ნახარშის სუნი ასდიოდა...

დავალებული ვარ მტრედებისგან, ფრთების ფათქუნით რომ ფრინდებოდნენ რუსული ეკლესიის ოქროსფერი გუმბათებიდან. არა მგონია, რომ მათი ფრთების ხმა იმქვეყნადაც ჩამესმება...

დავალებული ვარ Блатной სიმღერებისგან. მათი მოუბეზრებელი ყურისგდება რომ არა, ვერასოდეს ვერ გავუგებდი გემოს ჯონ ლი ჰუკერისა და ტომ უეიტსის ხრინწიან ამონათქვამებს...

დავალებული ვარ ჟარგონისგან, საგნებისა და მოვლენების აღქმისა და ასახვის არაჩვეულებრივი სიზუსტის გამო...

დავალებული ვარ მღვიმეებივით გრილი და ბნელი სარდაფებისგან, სადაც ოც თეთრად წყალში გაზავებულ სპირტს ჩამოგისხამენ, სადაც დიდი ხნის უნახავი ამხანაგის სახე შეიძლება ამოიცნო იარებივით ღრმა ნაოჭებსა და შეშუპებულ ნაკვთებს მიღმა და სადაც ვერასოდეს ვერ ჩააღწევს ფსევდომორალურობის ბაცილა...

დავალებული ვარ ძაღლებისა და კატებისგან, რომლებიც ოდესმე მყოლია და კვლავაც მეყოლება...

დავალებული ვარ მეგობრის ფრაზისგან - "დამასაფლავეთ მეოცე საუკუნეში"...

დავალებული ვარ ულამაზესი ქალისგან, რომელიც პლედმოხურული მოუჯდებოდა ხოლმე ჩემს საწერ მაგიდას და დიდხანს, დიდხანს უყურებდა, როგორ გამომყავდა ასოები მორუხო, ხორკლიან ქაღალდზე...

დავალებული ვარ კაფე La Bodegito Del Medios ბარმენ პედროსგან, ვისთან ერთადაც პირველად დავლიე ტეკილა და მოვუსმინე კესარია ევორას. 1995 წლის ნოემბრის მიწურული იყო. ძლიერი ქარი ფოლადისფერ ღრუბლებს დააფრიალებდა ბერლინის ცაზე...

დავალებული ვარ სიზმრებისგან. არ ვიცი და ვცდილობ გავარკვიო – ისინი ცხოვრობენ ჩემში თუ მე ვცხოვრობ მათში...

დავალებული ვარ ბორხესისგან, ვისი აშკარა ზეგავლენითაც იწერება ეს სტრიქონები და არა მხოლოდ ამის გამო...

## „ტრისტანი და იზოლდა„ - პირველად საქართველოში

ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი საქართველოში პირველად, 6 ივნისს რიჰარდ ვაგნერის ოპერას "ტრისტანი და იზოლდას" საკონცერტო შესრულებას წარმოადგენს. როგორც ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა და ხელმძღვანელმა ვახტანგ მაჭავარიანმა განაცხადა, ვოკალური პარტიების შესასრულებლად ლონდონის ცნობილ მომღერლებს მოიწვევენ. მისი თქმით, ორკესტრმა შემოქმედებითი მოღვაწეობის მთავარ მიმართულებად დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებები აირჩია, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სცენებზე არ წარმოუდგენიათ. ამასთან, ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოები, ჯუზეპე ვერდის "ფალსტაფი", აშშ-სა და ევროპის ცნობილ შემსრულებელთა მონაწილეობით, თბილისში, გასული წლის 4 ნოემბერს აჟღერეს. **(პრაიმ-ნიუსი)**

## კალენდარი

## 29 იანვარი



რომენ როლანი, ფრანგი მწერალი, მკითხველთა უმრავლესობისათვის, უპირველეს ყოვლისა, რომან-ეპოპეის, "ჟან კრისტოფის" ავტორია (1904-1912 წ.წ.), რომელშიც პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში კულტურის დაცემის ფონზე, გენიალური მუსიკოსის სულიერი ძიებებია ნაჩვენები. არანაკლებ პოპულარულია მისი რომანი "კოლა ბრიუნიონი", და ავტორის მიერ შექმნილი ფრანგული რენესანსის ხანის თავისუფლებისმოყვარე, დაუცხრომელი ადამიანის სახე.

ომის სასტიკი მოწინააღმდეგე მწერალი სოციალისტურ იდეებს თანაუგრძნობდა, და ქვეყნის თანადგომის გამო საბჭოთა კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციური ძალადობის ყოველ ფორმას უარყოფდა, რომენ როლანი მრავალი წლის განმავლობაში თვლიდა საბჭოთა კავშირს "სოციალური სამართლიანობის ბურჯად".

1922-1923 წლებში დაწერილ რომანში "მოხიბლული სული" მწერალი თავის გმირის რთულ შინაგან სამყაროს აღწერს. ეს წიგნი ინტელიგენციის ზნეობრივ ძიებას, მასების საზოგადოებრივ მოძრაობაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების მცდელობას ეძღვნება.

რომენ როლანი მხატვრულ-მემუარული ლიტერატურის ავტორიცაა. მის კალამს ეკუთვნის წიგნები მიქელანჯელოს, ტოლსტოის და განდის შესახებ, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენისადმი მიძღვნილი შრომების ციკლი, და მრავალი სხვა.

1915 წელს მას ნობელის პრემია მიენიჭა.

ფრანგი მწერალი, **რომენ როლანი**, დაიბადა 1866 წლის 29 იანვარს.

# ომსკური იასამანი

## როგორ მოხვდა ქართული პიესა ციმბირის თეატრში

ანა კორძაია-სამადაშვილი

გიორგი ნადირაძე, მხატვარი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თბილისელი მოდელიორი, ამ შემთხვევაში თეატრის მხატვრის როლში გვევლინება. როგორც თვითონ გვიამბო, თავდაპირველად, ეს მისთვისაც მოულოდნელი ამბავი ყოფილა.

გიორგის თეატრთან ურთიერთობა 1997 წელს დაიწყო. შესაძლოა, მკითხველის ნაწილს დღესაც ახსოვს იმხანად განხორციელებული პროექტი, "აზრეშუმის ბიენალე", რომლის ფარგლებშიც თბილისში, სახელმწიფო მუზეუმში, გიორგი ნადირაძის მოდების ჩვენება შედგა. სწორედ ამ ჩვენების შემდეგ მოდელიორს თეატრალურ სარდაფში შეხვდა რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი, რომელთანაც მანამდე ურთიერთობა არც ჰქონია, და თავისი ახალი სპექტაკლის, "ჰამლეტის" დადგმაში მონაწილეობის მისაღებად დაჰპატიჟა. "დამაინტრიგებლად ჟღერდა," იხსენებს გიორგი. და ამით დაიწყო მისი და ვარსიმაშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა: "ჰამლეტი", "ტერეზა რაკენი", "რუსული ბლუზი", "პროვოკაცია" – ყველა ამ სპექტაკლის (უნდა აღინიშნოს, რომ ფრიად სკანდალური სპექტაკლების) დამდგმელი მხატვარი გიორგი ნადირაძე გახლავთ.

რასაკვირველია, გიორგი ნადირაძის თეატრში მოღვაწეობა ავთანდილ ვარსიმაშვლთან თანამშრომლობით არ შემოფარგლულა. არანაკლებ წარმატებული იყო "ტარტიუფიც", რომლის რეჟისორი ალექსი ჯაყელი, ამჟამად საფრანგეთში მოღვაწეობს, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.



"კავკასიური ცარცის წრე" ომსკში

თავად გიორგი ამჟამად გრიბოედოვის სახელობის თეატრის მთავარი მხატვარია. მიუხედავად მრავალი წარმატებისა, დაიჩივლა, "მე მგონი, ცოტა მომბეზრდაო": გაბრუებულივით ყოფილა და გამოფხიზლება უნდა, რომ თავის საქმეს – მოდელიორობას – უფრო სერიოზულად მოჰკიდოს ხელი.

მიუხედავად გიორგის მიმართ ჩემი ღრმა სიმპატიისა, მასთან შეხვედრის მიზანი ჩემთვის ახალგაზრდა ქართველი შემოქმედის პორტრეტის შექმნა არ ყოფილა. ჩვენი საუბარი იმან განაპირობა, რომ გიორგიმ სამარშრუტო ტაქსში გამიზიარა, ბერლინის კინოფესტივალიდან ჩამოსვლის შემდეგ ორი კვირით ომსკში მივემგზავრებიო. ძალიან გამიკვირდა. ომსკში ხომ სასტიკად ცივა! აღმოჩნდა, რომ გიორგი იქ სპექტაკლის დამდგმელ მხატვრადაა მიწვეული, თან უკვე მეორედ.

ეს ამბავი სამი წლის წინათ დაწყებულა, როცა თბილისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე "საჩუქარი" ავთანდილ ვარსიმაშვილის "ჰამლეტიც" იყო ნაჩვენები და ნოვოსიბირსკის თეატრის დირექტორი, ქ-ნი პუგაჩოვა, აღტაცებული დარჩა. სპექტაკლი ნოვოსიბირსკში მიიწვიეს.

სწორედ იმხანად ომსკის დრამატულმა მეხუთე თეატრმა ქართველი რეჟისორის მოწვევის სურვილი გამოთქვა, - ეს ინფორმაცია ქართველ თეატრებს ქ-ნმა პუგაჩოვამ მიაწოდა. ომსკში გაგზავნილი სავარაუდო პიესებიდან "კავკასიური ცარცის წრე" იყო არჩეული, და მის დასადგმელად რეჟისორი გაგა გოშაძე და მხატვარი გიორგი ნადირაძე გაემგზავრნენ. "სამი თვე 40-გრადუსიან ყინვაში ვიცხოვრეთ," იხსენებს გიორგი. როგორც ჩანს, ყინვის ატანაც ღირდა, რადგან სპექტაკლმა არნახული წარმატებით ისარგებლა, მრავალი თეატრალური ჯილდო, მათ შორის Маска-ც მიიღო.

აი, ასეთი ამბავი ყოფილა. როგორც წესი და რიგია, ომსკელებს ქართველები შეუყვარდათ და ახლა ახალი გეგმები აქვთ: თებერვალში ამ ცივ მხარეში გიორგი ნადირაძე და ავთანდილ ვარსიმაშვილი გაემგზავრებიან, ამჟამად ქართული პიესის დასადგმელად.

ძალიან საინტერესოა, როგორ მიიღებს მაყურებელი ლაშა თაბუკაშვილის პიესას "მერე რა, რომ სველია სველი იასამანი..." ვნახოთ. მარტის დასაწყისში რეჟისორიც და მხატვარიც თბილისში იქნებიან და იმედია, ჩვენც გვიამბობენ, როგორაა საქმე.

# პოპ-ვარსკვლავები - ხელოვნების მეცენატები

ნინო ჟანიშვილი

*პოპ-მუსიკის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც მადონა, დევიდ ბოვი, ელტონ ჯონი, ბრაიან ინო, ჯარვის კოკერი და ბრაიან ფერი არიან, თანამედროვე ხელოვნების მფარველებად გვევლინებიან. როგორც კრისტის აუქციონის თანამედროვე განყოფილების ხელმძღვანელი ფერნანდო მინიონი ამბობს, მომღერლების ამ ჯგუფმა ნამდვილად დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ხელოვნების ბაზრის განვითარებაში. ისინი ბიძგსაც კი აძლევენ გარკვეული მიმდინარეობების განვითარებას.*

ერთის მხრივ მუსიკოსების ინტერესი ხელოვნებისადმი ბუნებრივიცაა. 60-იან წლებში როკ-მუსიკა ხომ პოპ-არტთან იყო გადაჯაჭვული. მაგალითად ლუ რიდი, რომელიც ჯულიან შნაბელის მეგობარია, თავისი დისკების გასაფორმებლად უორჰოლის დიზაინს იყენებდა; ენდის უკვეთავდა პორტრეტებს მიკ ჯაგერიც. დღესაც მუსიკოსების იგივე თაობაა სცენაზე, თუმცა ისინი გარკვეულწილად გაიზარდნენ და ისეთი გალერეების კლიენტები გახდნენ, როგორიცაა "ვაით კიუბი" და "ვაითჩეპელი".



მონოლოგი III, სემ ტეილორ-ვუდი

თუმცა, ზოგიერთი მომღერალი, ძველი ხელოვნებითაც არის გატაცებული. ასეთი კი პირველ რიგში სერ ელტონ ჯონია. მისი კოლექცია მე-18 საუკუნის ავეჯით იწყება და ჰელმუტ ნიუტონის უახლესი ფოტოებით მთავრდება. "ხელოვნების ნიმუშები ჩემი შთაგონების წყაროა, მე და ჩემს პარტნიორს დევიდს ხუთი სახლი გვაქვს და ხუთივე ხელოვნებითაა სავსე" – ამბობს მომღერალი. ელტონ ჯონმა კოლექციის შეგროვება არტ ნუვოს ნიმუშების შეძენით დაიწყო, შემდეგ კი მე-20 საუკუნის კლასიკოსებზე (მაგრიტი, პიკასო, უორჰოლი) გადავიდა. მისი ბოლო ალბომი Songs from the west coast სემ ტეილორ-ვუდის გაფორმებულია. "სემი ჩემი კარგი მეგობარია, იგი უდიდესი ლონდონელი გალერისტისგან ჯო ჯოპლინისგან გავიცანი, რომლისგანაც დამიენ ჰირსტი და ტრეისი ემინი შევიძინე".

ისევე როგორც ბევრ სხვა ვარსკვლავს, ელტონ ჯონსაც თვალები ერთმა პიროვნებამ აუხილა. "ეს ადამიანი ჯანი ვერსაჩე იყო" – ამბობს ელტონ ჯონი – "დავყავდი მუზეუმებში, გალერეებში, ეკლესიებში; ხელოვნება ჩემთვის აუცილებლობად იქცა. როცა ნიცაში ჩემს ოთახში დილაობით თვალს ვახელ, შნაბელს, სესილ ბრაუნს, უორჰოლს ვუყურებ. საძინებელშივე მიკიდია ნორმან პარკინსონიც, მოდის ფოტოგრაფი, რომელსაც ვაღმერთებ. ქვემოთ როცა ჩავდივარ იქ ჩემს წინაშე უდიდესი დემიენ ჰირსტი ჩნდება. დროის დიდ ნაწილს მათ თვალიერებაში ვატარებ. გასულ გაზაფხულს სამი ახალი ნივთი ვიყიდე: ლუკას სამარასი, ბასკუაიტი და უორჰოლი და სამზარეულოში ჩამოვკიდე. მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მაინც ჩემი ფოტოკოლექციაა". ცნობილი ფოტოგრაფების - ჰორსტის, ირვინგ პენის, ჰერბ რიტის და ნადარის 400-ზე მეტი ფოტოსურათი ელტონ ჯონმა შარშან ატლანტაში, საკუთარ რეზიდენციაში გამოფინა. თუმცა მისი მთავარი რეზიდენცია უინძორშია, სადაც იგი გალერეის აშენებას აპირებს თავისი უმდიდრესი ფოტოკოლექციისთვის.

ელტონ ჯონი, ისევე როგორც მიკ ჯაგერი და ჯორჯ მაიკლი ლონდონის "ჰამილტონ გალერეის" ხშირი სტუმრები არიან. ამ გალერეაში ნახავთ ყველაფერს - ძველ და ახალ ფოტოგრაფიას, მენ რეისა და ჰელმუტ ნიუტონს. თავად "ჰამილტონ გალერეის" მფლობელი ტიმ ჯეფრი კოლექციონერობის ახალ ტალღაზე საუბრობს: "პოპ ვარსკვლავები ხელოვნების ნიმუშებს თავიანთი ცხოვრების შესავსებად ყიდულობენ. ეს კი არღვევს ტრადიციულ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ისინი მხოლოდ ვულგარული მანქანებით ინტერესდებიან. ისინი ბედნიერები არიან როცა ახალი შენაძენით ავსებენ თავიანთ კოლექციას. ვფიქრობ, ეს ყველაფერი მათ ცხოვრებას აზრს აძლევს".

ლეგენდარული და მცოდნე კოლექციონერი სერ პოლ მაკარტნი და დევიდ ბოვი ხშირად თავიანთ ავტოპორტრეტებსაც ხატავენ და შემდეგ ფენენ კიდეც.

ჯარვის კოკერი, რომელსაც თანამედროვე ხელოვნების უმდიდრესი კოლექცია აქვს "ვაითჩეპელის" გვერდით ცხოვრობს და მისი მუდმივი კლიენტია.

სტელა მაკარტნი მოდის დიზაინერი და პოლ მაკარტნის შვილი "ვაით კიუბს" ამჯობინებს. იგი გერი ჰიუმის და სემ ტეილორ-ვუდის ფანია და საკუთარ მაისურებზე მათი ნამუშევრებიც კი გადააქვს.

ისლანდიელი მომღერალი ბიორკი, რომელიც მხატვარ მეთიუ ბერნთან ერთად ცხოვრობს სტელას გემოვნებას იზიარებს.

აი დევიდ ბოვი კი თანამედროვე ხელოვნების დიდი კოლექციონერი აცხადებს: "ჩემთვის თანამედროვე ხელოვანი დემიენ ჰირსტია". სხვათაშორის მის კოლექციაში რუბენსი და ტინტორეტოც მოიპოვება. ბოვი აღფრთოვანებით ლაპარაკობს მე-20 საუკუნის მხატვრულ პროდუქციაზე და ყველაზე ცნობილ კოლექციონერთან, ჩარლზ საათჩისთან მეგობრობს. იგი მე-20 საუკუნის მხატვრობის უკანასკნელ ლეგენდასთან, ბალტუსთან მეგობრობდა. როცა ბალტუსი გარდაიცვალა, მისი დაკრძალვის დღეს U2-ს ლიდერმა ბონომ მას სიმღერა მიუძღვნა.

საკმაოდ პრესტიჟული კოლექცია აქვს მადონას. მისი გატაცება თამარა ლემპიკით, პიკასოთი, ლეჟეთი, დიეგო რივერათი და ფრიდა კალოთი კარგადაა ცნობილი, მაგრამ განსაკუთრებით, მაშინ გახმაურდა, როცა "ტეიტ მოდერნს" გამოფენისთვის "სიურეალიზმი: დაუოკებელი სურვილი", ფრიდა კალოს "ავტოპორტრეტი მაიმუნით" მიაქირავა.

საინტერესოა, ვისგან იღებენ რჩევებს ვარსკვლავები? თითქმის ყოველ მათგანს ამ საკითხში პირადი მრჩეველი ჰყავს. მადონას კონსულტანტების მთელი გუნდი ჰყავს. ასე რომ, ვარსკვლავები გალერეების ხშირი სტუმრები არიან, მაგრამ მათ სულ უფრო და უფრო დიდი ხელოვნების აუქციონები იზიდავთ. ამას წინათ, მაგალითად, ლორდ ენდრიუ ლოიდ ვებერი პრერაფაელიტების ვაჭრობაზე უნახავთ.

# ალილო და თქვენ მშვიდობა

## "ახალი მთიების" პრეზენტაცია მარჯანიშვილის თეატრში

ვერა ნეფარიძე

გუშინ ქართული ფოლკლორის მოყვარულებმა დიდად გაიხარეს. მარჯანიშვილის თეატრში გამართული საღამო იმ იშვიათ კონცერტთაგანი იყო, რომელიც თბილისში ფოლკლორის პოპულარიზაციას ემსახურება. გუშინ თბილისელებმა ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ფოლკლორული ანსამბლი "მთიები" გაიხსენეს და მათ ნაკვალევზე გაზრდილ "ახალ მთიებსაც" დაულოცეს მომავალი.

"ახალი მთიები" მათი უფროსი მასწავლებლების მსგავსად, ურყევად მიჰყვება ედიშერ გარაყანიძის იდეას. ამ იდეით 1980 წელს "მთიები" "არაპროფესიონალი" მუსიკოსებით შეიქმნა. როგორც მითხრეს, ანსამბლში ერთადერთი ადამიანი, ვისაც მუსიკალური განათლება ჰქონდა, ერთადერთი პროფესიონალი მუსიკოსი ანსამბლის ხელმძღვანლი, სწორედ ედიშერ გარაყანიძე იყო. ანსამბლის ასეთი გეზი თავისებურ მიზანს ემსახურებოდა. მის შესახებ მიამბობს ბ-ნ ედიშერის ვაჟი, ანსამბლის ახლანდელი ხელმძღვანელი, გიგი გარაყანიძე: "ვინაიდან ფოლკლორის შემოქმედი გლეხია, "მთიების" სწორებაც გლეხზე უნდა ყოფილიყო. ხალხური სიმღერა ჩვეულ გარემოში უნდა შესრულებულიყო. როგორც გლეხი ერთდროულად უკრავდა და მღეროდა, ასევე უნდა ყოფილიყო ანსამბლშიც. დაეკრათ არატემპერირებულ, ე.წ. პრიმიტიულ საკრავებზე და ეცეკვათ იმ დონეზე, რა დონეზეც გლეხი ცეკვავს და არა პროფესიონალურად. უნდა ემღერათ არა მარტო პოპულარული ნიმუშები, არამედ საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილებიც, რაც ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია".



ახალი "მთიები"

ასე დაიწყო მოღვაწეობა "მთიებმა", რომელიც თავისი განსაკუთრებულობით ყოველთვის იქცევდა მაყურებლის ყურადღებას. განსაკუთრებული ჰქონდათ სცენა, სადაც მნიშვნელოვანი იყო დეკორაციები (გუშინ არც ამ მხრივ დაურღვევიათ ახალგაზრდა ფოლკლორისტებს "მთიების" ტრადიციები); ანსამბლის წევრები ხშირად დადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სადაც უშუალოდ გლეხებისგან სწავლობდნენ და სწორედ "მთიების" სახელს უკავშირდება ცნობილი სანახაობების: "ალილოსა" და "ჭონას" ტრადიციების აღდგენა. ახლა ამ ტრადიციებს ედიშერ გარაყანიძის დაარსებული ფოლკლორული სტუდია "ამერ-იმერის" აღზრდილები (სწორედ მათგან ჩამოყალიბდა "ახალი მთიები") მიჰყვებიან. "ახალმა მთიებმა" კონცერტის მიწურულს, გუშინაც ჩამოიარეს ალილოზე და მაყურებელთა სამახსოვრო ნივთები მოაგროვეს; ორ ნაწილად, გოგონებად და ბიჭებად გაყოფილმა ანსამბლის წევრებმა კი სახელდახელოდ შექმნილი შაირების სცენა დადგეს. ამ შაირებს მათი ადრესატები მაყურებლებთან ერთად პირველად ისმენდნენ, რაც განსაკუთრებულ მხიარულებას იწვევდა დარბაზში.

ორსაათიან კონცერტზე საზოგადოებისთვის ცნობილი თითქმის არცერთი ფოლკლორული ნიმუში არ გამოუტოვებიათ. იყო ფერხული, ვედრება, "ცანგალა და გოგონა", "მაღლა მთას მოდგა", აჭარული, სატირალი... უკრავდნენ დაირაზე, გუდასტვირზე, წიკო-წიკოზე, ჩონგურზე... საერთო ჯამში კი მაყურებლებით სავსე დარბაზში დიდი სიხარული და მხიარულება იყო. "ამდენი მართალი სიტყვა სცენიდან, დიდი ხანია არ გამიგონია. მთავარია, რომ გრძელდება უსაშველოდ დიდი კაცის, ედიშერ გარაყანიძის ტრადიციები. ამ კაცს მერე უფრო დავაფასებთ, დრო რომ გავა. დღევანდელი კონცერტი იყო სიმართლის ზეიმი", - გამიზიარა შთაბეჭდილებები "ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წაიყვანდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# მორჩა: ვან გაალი გადააყენეს!

## "ბარსელონას" ახლა კარლოს რეშაკი ავარჯიშებს

*"სელტასთან" მატჩი იყო უკანასკნელი შანსი, რომელიც "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ლუი ვან გაალს მისცა. თუ გუნდი ვიგოში ვერ გაიმარჯვებდა, ჰოლანდიელ მწვრთნელს 24 საათში გაათავისუფლებდნენ. ვან გაალმა ვერც ეს შანსი გამოიყენა ("ბარსელონამ" 0:2 წააგო), პრეზიდენტმა გასპარმა კი პირობა შეასრულა. გუშინ "კამპ ნოუს" სტადიონზე გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა: ლუი ვან გაალი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.*

აკა ტონია

კვირას, "სელტასთან" მატჩის შემდეგ, არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ - "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ არჩია, ცივი გონებით აეწონ-დაეწონათ ყველაფერი და საგანგებო სხდომა მეორე დღეს, ორშაბათს დანიშნა.

"კამპ ნოუს" სტადიონზე მდებარე კლუბის ოფისში კატალონიური კლუბის დირექტორთა საბჭო ვან გაალისთვის განაჩენის გამოსატანად შეიკრიბა. თავად მწვრთნელი სხდომას არ ესწრებოდა - საწვრთნელ ბაზაზე იყო და გუნდს ავარჯიშებდა. თუმცა, ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი, მორიგი ვარჯიში. ჰოლანდიელმა კარგად იცოდა, რომ ეს მისი ბოლო ვარჯიში იყო "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე.

საგანგებო სხდომა გვიან ღამემდე გაგრძელდა და მოსალოდნელი შედეგით დასრულდა – კლუბის ხელმძღვანელობამ ვან გაალის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. გასარკვევი რჩებოდა, თუ რამდენად უმტკივნეულოდ მოახერხებდნენ ამას. საქმე ის არის, რომ ვან გაალს კლუბთან კონტრაქტი 2004 წლამდე აკავშირებს. ხელშეკრულების თანახმად, თუ კლუბი კონტრაქტის დარღვევას გადაწყვეტს, მწვრთნელმა 6 მილიონი ევროს ოდენობის ფულადი კომპენსაცია უნდა მიიღოს. "ბარსელონას" ფინანსურად უჭირს, ასე რომ ვან გაალის გათავისუფლება მას ძვირად დაუჯდება. სწორედ ამიტომ, ორშაბათს, ღამით, ვან გაალის კუთვნილ აგარაკზე, მწვრთნელს შეხვდნენ "ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან გასპარი და გენერალური დირექტორი პერეს ფარკილი. კლუბის ხელმძღვანელებს სურდათ, ვან გაალისთვის, 6 მილიონის ნაცვლად, 4 მილიონი ევრო გადაეხადათ. ჰოლანდიელი კი კომპენსაციას სრულად მოითხოვდა. ეს ინფორმაცია გუშინ დაადასტურა "ბარსელონას" ტელეარხმა "Canal Barca"-მაც. აქამდე ვან გაალი ყოველთვის თავისი ნებით მიდიოდა გუნდებიდან. ასე იყო 2000 წელსაც. მისი მაშინდელი კონტრაქტის ამოწურვამდე კიდევ 2 წელიწადი რჩებოდა, თუმცა, მაშინ ვან გაალი პრეზიდენტ ნუნიესს დათანხმდა და "უსასყიდლოდ" გადადგა. ამჯერად საქმე სხვაგვარადაა. მწვრთნელის სახლში შემდგარი მოლაპარაკების შედეგები დღემდე უცნობია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმება მიღწეულია, რადგან...

...გუშინ დილით ვან გაალი ფეხბურთელებს გამოემშვიდობა. შემდეგ კი "კამპ ნოუს" საკონფერენციო დარბაზში "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა. ამჯერად შეკრებას თავად ვან გაალიც ესწრებოდა. მწვრთნელმა კატალონიელ გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა იმის გამო, რომ დასახული სპორტული მიზნები ვერ განახორციელა. "ჩემი და "ბარსელონას" გზები გაიყარა. გადავწყვიტეთ, რომ ასე აჯობებს", - განაცხადა 51 წლის მწვრთნელმა. მან ისიც თქვა, რომ ესპანური კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, თუმცა, ბოლო დროს ნორმალურად მუშაობის საშუალება არ მიეცა. სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი გასპარიც. "ესპანეთის ჩემპიონატში ჩვენი პირველი გუნდის წარუმატებელმა გამოსვლამ გვაიძულა, ეს სამწუხარო გადაწყვეტილება მიგვეღო. ძალიან მიმძიმს, რომ ლუი ვან გაალს უნდა დავემშვიდობო. ჩვენი კლუბისთვის მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა. არ ვნანობ, რომ რვა თვის წინ ვან გაალი კვლავ დავპატიჟე "ბარსელონაში". ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებდი ყოველთვის, თუ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, როგორშიც მაშინ ვიყავით", - განაცხადა გასპარმა. პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ პრესკონფერენციის დასრულებიდან რამდენიმე საათში ის კარლოს რეშაკს შეხვდებოდა და კლუბის მომავლის შესახებ გაესაუბრებოდა. გასპარი: "რეშაკი ჩვენი კლუბის წევრია. ის არის კაცი, რომელსაც ყოველთვის ვენდობით. ეს სეზონი ჯერ კიდევ არ არის დაკარგული. ჩემპიონთა ლიგაში შესანიშნავი მდგომარეობა გვაქვს. სიტუაციის გამოსწორება ესპანეთის ჩემპიონატშიც შეგვიძლია. ყველას ვთხოვ, კლუბის ირგვლივ შექმნილი ატმოსფეროს შეცვლაში დაგვეხმარონ, რომ მომავალ მწვრთნელს შანსი მივცეთ". პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ვან გაალთან ერთად დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლეს მისი ჰოლანდიელი ასისტენტი ანდრეს იონკერი.

გუშინ ხუან გასპარი, მართლაც, შეხვდა რეშაკს, "ბარსელონას" "განუყრელ ნაწილს". სწორედ რეშაკი შეცვალა ლუის ვან გაალმა 8 თვის წინათ, როდესაც ხელმეორედ დაბრუნდა "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე. კარლოს რეშაკმა, როგორც ფეხბურთელმა, 537 მატჩი ჩაატარა კატალონიური კლუბის შემადგენლობაში. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ის "ბარსელონაში" დარჩა და სხვადასხვა პოსტზე მუშაობდა. როდესაც მის მშობლიურ კლუბში ეს აურზაური ატყდა, რეშაკი ურუგვაიში იყო. გასპარის სატელეფონო ზარმა აიძულა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო მოგზაურობიდან. გუშინვე გადაწყდა ისიც, რომ, ახალი მწვრთნელის ვინაობის გარკვევამდე, დროებითი მწვრთნელის მოვალეობას ისევ (უკვე მეხუთედ!) კარლოს რეშაკი შეასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე გამოხატეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება, "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე კვლავინდებურად განიხილება გერმანელი ბერნდ შუსტერის, არგენტინელი სეზარ ლუის მენოტისა და იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩის კანდიდატურები. ანტიჩის აზრი უცნობია, მაგრამ შუსტერმა და მენოტიმ საჯაროდ განაცხადეს, რომ ამ პოსტის დაკავება არ სურთ. რამდენიმე დღის წინათ ახსენეს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების მწვრთნელის, ალფიო ბაზილეს გვარიც. გუშინ კი ითქვა, რომ "ბარსელონა" არგენტინის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელის, მარსელო პეკერმანის კანდიდატურასაც განიხილავს.

გათავისუფლებულ ვან გაალს გამოექომაგა არგენტინის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი მარსელო ბიელსა. "ხალხს მოკლე მახსოვრობა აქვს. ყველა მწვრთნელის ცხოვრებაში დგება მომენტი, როგორიც ახლა ვან გაალს აქვს. თითქოს, მწვრთნელი მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც ის იგებს. ხოლო თუ ვერ იგებს, ესე იგი, ის ცუდია. გამოდის, რომ, ადრე თუ გვიან, ყველანი ცუდი მწვრთნელები გავხდებით. არადა, ვან გაალი შესანიშნავი მწვრთნელია, "აიაქსის" სახით მან ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჩამოაყალიბა. მაშინდელ "აიაქსში" არაჩვეულებრივად იყო შერწყმული პრაგმატიზმი და ელეგანტურობა", - განაცხადა ბიელსამ.

ცხადია, ბიელსა მართალია, მაგრამ კატალონიელ გულშემატკივარს, გუნდის წარუმატებლობასთან ერთად, ვან გაალი მისმა საკადრო პოლიტიკამ და ჯიუტმა ხასიათმაც შეაძულა. "ბარსელონაში" დაბრუნებისთანავე მან აიძულა რივალდო, გუნდი მიეტოვებინა. სანაცვლოდ შეიძინა რიკელმე, მენდიეტა და გერმანელი მეკარე რობერტ ენკე. ვერც ერთმა მათგანმა ვერაფრით გამოიჩინა თავი, მენდიეტა და ენკე კი ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდებიან. "ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონატში მე-12 ადგილზეა, ლიდერს, "სოსიედადს", 20 ქულით ჩამორჩება, გასავარდნ ზონას კი მხოლოდ 3 ქულა აშორებს. მსგავსი კრიზისი კლუბს 1942 წლის შემდეგ არ ჰქონია. ვან გაალმა კლუბში მოიყვანა უამრავი ჰოლანდიელი ფეხბურთელი და სპეციალისტი. კატალონიელები, რომლებიც ესპანელებსაც კი ვერ ეგუებიან, საყვარელი "ბარსელონას" გაჰოლანდიურებამ საერთოდ გადარია. ვან გაალი არც ერთ შენიშვნას არ იღებდა, ყველაფერს ფეხბურთელებს აბრალებდა. ცხადია, კატალონიელ გულშემატკივარს სრულებით არ აინტერესებს, თუ როგორ უძღვებოდა ვან გაალი ამსტერდამის "აიაქსს" 8 წლის წინათ...




REUTERS

სამშაბათი: გასპარი ვან გაალს ანუგეშებს




REUTERS

ორშაბათი: უკანასკნელი ვარჯიში "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე

# ესპანეთის პროკურატურა "ულტრა სურის" საქმეს გამოიძიებს

საზოგადოებრივმა მოძრაობამ "მოუთმენლობის წინააღმდეგ" ესპანეთის პროკურორს მიმართა თხოვნით, აღძრას სისხლის სამართლის საქმე "ულტრა სურის" ფაშისტური ჯგუფის წინააღმდეგ. ამ დაჯგუფებამ აგრესიული გამოხდომებით გაითქვა სახელი - აწყობდა თავდასხმებს, სისხლიან დაპირისპირებებს, დარბევებს, იყენებდა ნაცისტურ სიმბოლოებს, რაც, ესპანეთის კანონმდებლობით, აკრძალულია. ჯგუფი შექმნეს მადრიდის "რეალის" რადიკალურად განწყობილმა ახალგაზრდა ფანებმა.

გენერალურ პროკურატურაში სარჩელის შეტანისას, საზოგადოებრივმა მოძრაობამ, არგუმენტის სახით, მოიშველია ესპანელი ჟურნალისტის ესტებან იბარას წიგნი "ერთი სკინხედის დღიური". ჟურნალისტმა წიგნი დაწერა მას შემდეგ, რაც საიდუმლოდ შეაღწია "ულტრა სურის" ორგანიზაციაში და შიგნიდან გამოიკვლია მისი მოქმედების მეთოდები.

მოსარჩელე მხარე, ესპანური კანონმდებლობის საფუძველზე, ხულიგნების დაპატიმრებას ითხოვს. არგუმენტის სახით კი საზოგადოებრივი მოძრაობა იშველიებს ჟურნალისტის წიგნში მოყვანილ ფაქტებს, რომლებიც ესპანელი "თავხოტორების" მოღვაწეობას ეხება. კერძოდ, წიგნში ნახსენებია არაერთი აქტივისტის გვარი, დასახელებულია მათი ადგილსამყოფელი და დადასტურებულია "თავხოტორათა" კავშირი საერთაშორისო ნეონაცისტურ ორგანიზაცია "ჰამერსკინსთან".

თვითონ იბარა წამოწყებით კმაყოფილია და აცხადებს, რომ ესპანეთმა უნდა მიბაძოს ინგლისსა და გერმანიას, სადაც "თავხოტორების" წინააღმდეგ მოქმედებს პოლიციის სპეციალური დანაყოფი, რადგან ნაცისტები დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დიდ საშიშროებას ქმნიან.

# უმწვრთნელობის ხანის დასასრული

## ირლანდიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი გამოუჩნდა

*ირლანდიის ნაკრებს (საქართველოს მეტოქეს ევროპის 2004 წლის შესარჩევ ტურნირში), როგორც იქნა, მწვრთნელი გამოუჩნდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ თავკაცზე, ბრაიან კერიზე შეაჩერა არჩევანი.*

პაატა თოთაძე

ირლანდიური ფეხბურთის მმართველებმა ორშაბათს მიიღეს გადაწყვეტილება, გუშინ კი დუბლინის "შელბურნ ჰოტელში" კერი ახალ ამპლუაში წარუდგინეს საზოგადოებას. მისი დანიშვნით ირლანდიის ნაკრებში დასრულდა ორთვენახევრიანი უმწვრთნელო პერიოდი, რომელიც 6 ნოემბერს დაიწყო. სწორედ ამ დღეს განაცხადა მიკ მაკარტიმ თანამდებობის დატოვების თაობაზე. წესით და რიგით, მაკარტის ნაკრებისთვის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ ეროვნულ გუნდში მიმდინარე პროცესებმა მაკარტი აიძულა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

ყველაფერი მსოფლიო ჩემპიონატზე მაკარტისა და ნაკრების ლიდერს, როი კინს შორის მომხდარი კონფლიქტით დაიწყო. მაშინ ირლანდიის საფეხბურთო საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო. ერთნი მაკარტის უჭერდნენ მხარს, მეორენი - მის ოპონენტს. თუმცა, ეს ყველაფერი დიდხანს არ გაგრძელებულა. მსოფლიო ჩემპიონატზე თავდადებული თამაშით მაკარტის მხარდამჭერთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა, მაგრამ...

შარშან, 7 სექტემბერს, ირლანდიის ნაკრებმა პირველი მარცხი იგემა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე. კელტები მოსკოვში, რუსებთან დამარცხდნენ. მაშინ მაკარტიმ ამ წაგებას მოულოდნელი და შემთხვევითი უწოდა. შვეიცარიელებთან განცდილი მეორე მარცხის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ნაკრების მწვრთნელის სავარძელი შერყეული იყო. იქვე მაკარტის კინთან კონფლიქტი გაუხსენეს და... მწვრთნელმა გადაწყვიტა, თანამდებობა დროზე ადრე დაეტოვებინა.

ბუნებრივია, ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ მაშინვე დაიწყო ახალი მწვრთნელის შერჩევა. თავდაპირველად მაკარტის მემკვიდრეობას ჯონ ოლდრიჯს და დევიდ ოლირის უწინასწარმეტყველებდნენ, შემდეგ ბრაიან რობსონის კანდიდატურა ამოტივტივდა, ბოლოს კი - ბრაიან კერის.

ევროპაში კერი ბევრისთვის უცნობია, თავის ქვეყანაში კი ის ერთობ დაფასებული მწვრთნელია. სახელი გაითქვა დუბლინის "სენტ-პატრიკთან" მუშაობისას, როცა გუნდი ზედიზედ ორჯერ გახადა ქვეყნის ჩემპიონი. ირლანდიის ჩემპიონატში მიღწეული წარმატება ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მას შრომა დაუფასა და კერი 16 წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა. 1998 წელს მის მიერ დამოძღვრილმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მომდევნო წელს კი, უკვე 18 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ირლანდიელებს ბრინჯაო მოაგებინა. ამის შემდეგ კერის ჩააბარეს 20 წლამდელთა ნაკრები, რომელმაც გასულ კვირას აბუ-დაბის პრესტიჟულ ტურნირზე დღეისთვის ევროპაში უძლიერესი - საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა. როგორც ჩანს, სწორედ ეს გამარჯვება გახდა გადამწყვეტი ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთათვის, როცა ისინი არჩევანს აკეთებდნენ.

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 21 წლის წინათ...



1982 წლის 2 ივლისი, მადრიდი.
მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე: ესპანეთი-გერმანია
ესპანეთის ნაკრების მეკარე ლუის მიგელ არკონადა

# ათიანი რებროვი

*უკრაინელ სერგეი რებროვს თავის ახალ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ თურქულ პრესაში უკვე გაჟონა ინფორმაციამ, თუ რა ნომრით ითამაშებს უკრაინელი ფორვარდი "ფენერბახჩეში".*

რებროვის ცხოვრებაში ახალი პერიოდი იწყება. "ტოტენჰემისგან" თავდაღწეული ფორვარდი შაბათს ჩავიდა სტამბულში. მისი ჩასვლა თურქეთის დედაქალაქში დიდ მოვლენად იქცა (რა თქმა უნდა, ფეხბურთის მოყვარულთათვის, თორემ ასეთები სტამბულში მრავლად არიან). აეროპორტში უკრაინელს ათასობით გულშემატკივარი დახვდა. მანქანამდე მისასვლელად რებროვს პოლიციელთა დახმარება დასჭირდა. ჩასვლიდან მეორე დღეს რებროვმა პირველად ივარჯიშა "ფენერბახჩეს" შემადგენლობაში, რათა შემდეგ სამედიცინო შემოწმება გაევლო. არცთუ სასიამოვნო პროცედურამ, რომელმაც, დაახლოებით, სამ საათს გასტანა, წარმატებით ჩაიარა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ რებროვს "ფენერბახჩეში" გადასვლაში ხელს აღარაფერი შეუშლიდა.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, "ტოტენჰემმა" მის გაყიდვაზე უარი განაცხადა (მიუხედავად იმისა, რომ თურქები უკრაინელ ფორვარდში სოლიდურ თანხას იხდიდნენ) და მხოლოდ გაანათხოვრა. იჯარა 18-თვიანია, თუმცა, ვადის გასვლის შემდეგ თურქებს ინგლისელთაგან ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება ექნებათ. იმის გამო, რომ "ფენერბახჩეს" ხელმძღვანელობას ახლავე სურდა მისი ყიდვა, საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ კლუბი, სავარაუდოდ, საბოლოოდ გადაიბირებს რებროვს.

"გლენ ჰოდლმა ჩემი ინგლისური კარიერა დაამსხვრია", - ლონდონიდან გამგზავრების წინ განაცხადა რებროვმა, - ის რომ არ მოსულიყო კლუბში, გაცილებით უკეთ ვიქნებოდი და პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორიც გავხდებოდი. ბუნებრივია, შეიძლება, მწვრთნელს რომელიმე მოთამაშე არ მოსწონდეს, მაგრამ, გაუგებარია, ამას თავის დროზე რატომ არ ამბობენ".

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც "ფენერბახჩე" რებროვის გამოსყიდვას შეეცდება, დედაქალაქური კლუბიდან რევივოს წასვლაა. ნახევარმცველის წასვლა კლუბის გულშემატკივრებმა ღალატად აღიქვეს და "ფენერბახჩეს" ხელმძღვანელობისგან საპასუხო ზომების მიღება მოითხოვეს. ვფიქრობთ, რებროვის ყიდვა იქნება სწორედ ის საპასუხო სვლა, რომელიც კლუბის გულშემატკივრებს დააკმაყოფილებს. ასე რომ, ერთადერთი, რაც რებროვს "ფენერბახჩეში" გადასვლაში ხელს შეუშლის, მისი ცუდი თამაში იქნება.




სერგეი რებროვი

რაგბი

# "IRB-ს მთვარეულები დაეპატრონენ"

პაატა თოთაძე

*დისკუსიები IRB-ს მიერ რუსეთის ნაკრების დისკვალიფიკაციის თაობაზე არ წყდება. თუმცა, რომელ შეწყვეტაზეა საუბარი, როცა ლამის ყველა სარაგბო საიტის უმთავრესი თემა ეს არის.*

ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, მართლა აპირებდნენ რუსები ყველას და, მათ შორის, IRB-ს მოტყუებას, თუ მათ მიმართ მართლა შეთქმულება მოაწყვეს. მთელი მსოფლიოს რაგბის მოყვარულთა აზრით, IRB-ს გადაწყვეტილება უსამართლოა - რუსეთის ნაკრებისთვის შესარჩევ ტურნირზე თამაში არ უნდა აეკრძალათ. "რას არგებს მსოფლიო თასს ის გუნდი, რომელიც საკუთარ მოედანზე რუსეთის ნაკრებთან 36 ქულით მარცხდება?", - კითხულობს "დეილი ტელეგრაფი" და ცდილობს, თავადვე უპასუხოს, - "როგორც ჩანს, IRB-ს მთვარეულები დაეპატრონენ". ინგლისელები არც ამას სჯერდებიან და თამამად აცხადებენ: "ჩვენ გვინდა, აქამდე გამართულ მსოფლიო თასთა შორის საუკეთესო ვიხილოთ და თუ მათ (იგულისხმება IRB-ს ხელმძღვანელობა) ასე არ სურთ, სასწრაფოდ დატოვონ თანამდებობა".

პოპულარულ planet-rugby.com-ზე, საგანგებოდ ამ ფაქტის თაობაზე, საზოგადოების აზრის გასაგებად მოეწყო გამოკითხვა. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 70 პროცენტზე მეტი რუსებს უჭერს მხარს.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*იგორ ნიკოლაევს საქართველოში პრობლემები არ ჰქონია*

რა მოხდება მომავალში, უცნობია, მაგრამ შეუძლებელია, რაგბის საერთაშორისო საბჭომ არ გაითვალისწინოს საზოგადოებრივი აზრი. რუსების აპელაციის განხილვამდე კი სულ უფრო ცოტა დრო რჩება. რუსეთის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტს, ალექსეი ნილოვსკის, მაინცდამაინც არ სჯერა, რომ IRB გადაწყვეტილებას შეცვლის, თუმცა, აღნიშნავს, რომ რუსეთის რაგბის კავშირი საამისოდ არაფერს დაიშურებს და IRB-ს ხელმძღვანელებს თაღლითობაშიც ამხელს.

აღსანიშნავია, რომ IRB-ს ადრეული გადაწყვეტილებები რუსების წისქვილზე ასხამს წყალს. თუ შეიძლებოდა, რომ აფრიკელებს საქართველოსთან, რუმინეთთან და პორტუგალიასთან ეთამაშათ, ესპანელებთან რატომ არ შეიძლებოდა? ნილოვსკის აზრით, შესაძლოა, ამ საქმეში აფრიკელთა აგენტიც იყოს გარეული. თავის დროზე მას რუსეთის რაგბის კავშირისთვის მოთამაშეთა რუსული წარმომავლობის იურიდიულად დამოწმებული დოკუმენტები წარუდგენია, ახლა კი, რატომღაც, იმ დოკუმენტებს იურიდიული ძალა დაეკარგა.

დოკუმენტები დოკუმენტებად და, რუსების სასარგებლოდ საქმის დასრულებას რაგბის საერთაშორისო საბჭოს ბოსების უთავბოლობაც უწყობს ხელს. საქმე ის არის, რომ წინა წლებში მსგავსი რამ უელსისა და შოტლანდიის ნაკრებებსაც გადახდათ თავს. ორივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშეს ისეთმა მორაგბეებმა, რომელთაც იმ ქვეყნების სახელით გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. მაშინ IRB-მ უელსელები დატუქსა, მეორედ ასეთი რამ არ ჩაიდინოთო და 10 000 გირვანქით დააჯარიმა, ხოლო შოტლანდიელებს, მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა. რუსთა ანალოგიურმა საქციელმა კი მსოფლიო რაგბის მმართველთა უმკაცრესი რეაქცია გამოიწვია.

კრივი

# საკრივო აბრაკადაბრა

ბიბა ბურასაშვილი

*საქმეს ისეთი პირი უჩანს, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო და ბრიტანელი ლენოქს ლუისი, საკრივო რინგზე კი არა, სასამართლო დარბაზში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, ორივე ბანაკის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ამის ელფერი დაჰკრავს.*

მძიმე წონაში WBC-ის (საბჭოს) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა, რომელიც WBA-ს (ასოციაციის) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს ვიტალი კლიჩკოსა და WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს ლენოქს ლუისს შორის იგეგმებოდა, გაურკვევლობამ მოიცვა. გაურკვევლობის თავიდათავი, როგორც ირკვევა, ამერიკული ტელეარხი HBO უნდა იყოს. უკრაინელი 12 აპრილს ლას ვეგასის, ან 19-ში ნიუ იორკის რინგზე ელოდა ბრიტანელს. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს ზემოხსენებულ ტელეარხთან გაუფორმებია კონტრაქტი, რომელიც ლუისს ავალდებულებს, 21 ივნისს გავიდეს რინგზე. სავარაუდოდ, ბრიტანელის შესაძლო მეტოქეთაგან ამერიკელ მაიკ ტაისონს მოიაზრებენ. თუმცა, ტაისონთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი გარემოება: იმ შემთხვევაში, თუ 22 თებერვალს ტაისონი გაიმარჯვებს კლიფორდ ეტიენთან ორთაბრძოლაში და ივნისისთვის კარგ ფორმაშიც იქნება, მაშინ, ალბათ, ლუის-ტაისონის მატჩიც გაიმართება.



*ლენოქს ლუისი*

"HBO მოხარულია, რომ ლენოქსი მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად ივნისში იბრძოლებს. რაც შეეხება მას და ტაისონს შორის შესაძლო დაპირისპირებას, ყველაფერი მაიკ ტაისონის თებერვლის ბრძოლაზეა დამოკიდებული", - წერილობით აცხადებს HBO Sports-ის პრეზიდენტი როს გრინბურგი.

ფაქტობრივად, გრინბურგის განცხადებას იმეორებს ლუისის პრომოუტერი ჯერომ ანდერსონიც: "შარშან, მხარეებს შორის მოლაპარაკებების შედეგად, ლენოქსს საკონტრაქტო ვალდებულებები დაეკისრა. იმისთვის, რომ მაიკ ტაისონი ლუისის მეტოქედ შევიგულოთ, 22 თებერვლამდე უნდა მოვიცადოთ. ტაისონ-ეტიენის პაექრობაზეა დამოკიდებული, დაუპირისპირდებიან თუ არა ეს უკანასკნელნი ერთმანეთს".

ერთი სიტყვით, ამ ერთობ გაურკვეველ სიტუაციას კიდევ უფრო აბუნდოვნებს კლიჩკოს ბანაკის წარმომადგენლის რაინერ კოპკეს განცხადებები. "როიტერთან" საუბრისას კოპკე დარწმუნებით აცხადებს: მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ლუისი თამაშს გამოეთიშა, სინამდვილეს არ შეეფერება.

"მოვლენათა ასეთი განვითარების შესახებ ჩვენთვის არავის უცნობებია. მით უმეტეს, არ ვეთანხმებით იმ პირობებს, რომლებზეც მხარეებმა მოილაპარაკეს. ჩვენ მტკიცე კონტრაქტი გვაკავშირებს ბატონ ადრიან ოგუნთან (ლუისის ფინანსური მრჩეველი). მხოლოდ ჩვენთან დადებული კონტრაქტია კანონიერი", - მტკიცედ აცხადებს კოპკე.

კლიჩკო-ლუისის ორთაბრძოლაზე საუბრისას საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ფინანსური დაინტერესებაც. თუ კვირის ბრიტანულ გაზეთ *Observer*-ს ვენდობით, უკრაინელთან დაპირისპირებისთვის ლუისს გასამრჯელოდ 10 მილიონ დოლარზე ნაკლებს ჰპირდებიან, ხოლო ტაისონთან ორთაბრძოლის შემთხვევაში - დაახლოებით 25 მილიონ დოლარს.

ასეა თუ ისე, BBC-ის სპორტულ რედაქციასთან საუბარში ჩანს, რომ რაინერ კოპკე დარწმუნებულია: WBC-ს საჩემპიონო ქამრის მფლობელის ვინაობა სწორედ კლიჩკო-ლუისის ორთაბრძოლაში გაირკვევა.

"მტკიცედ მწამს, ბრძოლა შედგება. არა მგონია, ლუისს კლიჩკოსი ეშინოდეს. თუმცა, ვერც იმას დავიჯერებ, რომ ზედმეტი ფულის გამომუშავება არ უნდა. თავადაც მიხვდებით, საქმე მხოლოდ ფულშია...

ლუის-ტაისონის ბოლო შერკინებისას ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ლუისის დამარცხების არავითარი შანსი არა აქვს. ასე რომ, კრივის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება, თუ ლუისი კლიჩკოს შეებრძოლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ან ვიჩივლებთ, ან არადა, WBC-მ გადაწყვიტოს ლუისის გადადგომა, თუ, რა თქმა უნდა, მეტოქესთან დაპირისპირება არ სურს", - კატეგორიულია კოპკე.

ფორმულა 1

# ხუან პაბლო მონტოია: "აირტონ სენა შუმახერზე ათჯერ უკეთესი იყო"

*როგორ შეიძლება მივხვდეთ, რომ ფორმულა 1-ის ახალი სეზონი ახლოვდება? – მარტივად: კონკურენტები ნელ-ნელა ივიწყებენ გერმანელი მიხაელ შუმახერის უკანასკნელი სამი წლის ჰეგემონიას და საკუთარ ამბიციებზე სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ.*

რაც უფრო ახლოვდება ფორმულა 1-ის ახალი სეზონის სტარტი, სულ უფრო ხშირად გაისმის ფრაზები: "მიხაელ შუმახერის დამარცხება სულაც არ არის შეუძლებელი".

"პირველი მერცხალი" შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი იყო. გაზეთ "Mirror"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კულჰარდმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში, გასულ წლებთან შედარებით, უფრო მწვავე კონკურენციას უნდა ველოდეთ. "თუ ეს მართლაც ასე იქნება, მე, ისე როგორც ჩემს სხვა კოლეგებს, შუმახერის დამარცხების კარგი შანსი გვექნება", - ამბობს 31 წლის პილოტი და ამტკიცებს, რომ, ადრე თუ გვიან, თვით "ფერარისაც" დაეწყება სპორტული კრიზისი.

შუმახერის ჰეგემონიის დამხობა მის თანაგუნდელს, ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოსაც სურს. ბარიკელო "ფერარიში" მეორე პილოტად ჰყავთ გამწესებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი მოვალეობა შუმახერის გამარჯვებაზე ზრუნვაა. გასულ სეზონში ბარიკელოს არაერთხელ მოუწია, უარი ეთქვა პირველ ადგილზე და შუმახერი გაეშვა წინ. მომავალ სეზონს კი ბრაზილიელი დიდი იმედით შეჰყურებს და სჯერა, რომ "ფერარის" სტრატეგია შეიცვლება და მასაც მისცემენ გამარჯვების უფლებას. "მე დავანახე ჩვენს ხელმძღვანელობას, რომ მეც შემიძლია გამარჯვება. მიღებულია: მეორე პილოტმა მხოლოდ და მხოლოდ პირველი პილოტის წარმატებაზე უნდა იზრუნოს, მაგრამ მე დავამტკიცე, რომ "ფერარიმ" თავისი ფილოსოფია უნდა შეცვალოს", - ამბობს ბარიკელო.

ახლა კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია გამოჩნდა - ისიც შუმახერს დაესხა თავს.

"შუმახერი არ არის დაუმარცხებელი. და საერთოდ, დაუმარცხებელი არავინაა. ჩემი კერპი იყო აირტონ სენა, მაგრამ არც ის გახლდათ დაუმარცხებელი. ვიმეორებ, არ არსებობს პილოტი, რომლის დამარცხება შეუძლებელია", - განაცხადა "ბმვ-ვილიამსის" კოლუმბიელმა პილოტმა ესპანურ გაზეთ "El Pais"-ში. მონტოია ამ სიტყვებით არ შემოიფარგლა და თავისი მოსაზრება გამოთქვა იმ საკითხზე, რომელიც გამუდმებით ისმის ფორმულა 1-ის სამყაროში: "ვინ არის უკეთესი – შუმახერი თუ აირტონ სენა?" თავისი პასუხით მონტოიამ კიდევ უფრო გააუბრალოვა შუმახერის ბოლოდროინდელი მიღწევები: "აქ შედარებაც კი ზედმეტია, სენა ათჯერ უკეთესი იყო, ვიდრე შუმახერი!"

მონტოია ასახელებს იმ რეცეპტსაც, რომელიც, მისი თქმით, შუმახერის ჰეგემონიას დაამხობს: "როდესაც მთელი გუნდი, მათ შორის პილოტები, ყველაფერს სწორად გააკეთებენ, მაშინ გამარჯვებებიც მოვა!" ეს მონტოიას გარეშეც ცხადია, მაგრამ საქმე ის არის, შეძლებს კი მონტოია თავისი საქმის უკეთ შესრულებას, ვიდრე ამას შუმახერი აკეთებს? თავად კოლუმბიელი ამ საკითხში უჩვეულოდ თავმდაბალია: "ჯერ ძალიან ადრეა იმაზე საუბარი, შევძლებ თუ არა მე ფორმულა 1-ში გადატრიალების მოხდენას".

ძნელი სათქმელია, მოახდენს თუ არა მონტოია რევოლუციას, მაგრამ მომავალ სეზონში ფორმულა 1-ს ისედაც ელის დიდი ცვლილებები, პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ავტოსპორტის ფედერაციის მიერ გატარებული ცვლილებების გამო. FIA-მ ფორმულა 1-ის კანონებში შეიტანა უამრავი კორექტივი, რომელთა მიხედვითაც სპორტის ეს სახეობა უფრო საინტერესო უნდა გახდეს. საინტერესოა მონტოიას აზრი ამ თემაზე: "არ მიმაჩნია, რომ გასული სეზონი მოსაწყენი იყო. უბრალოდ, მეტისმეტად ბევრი სტრატეგია და ტაქტიკა იყო. ვნახოთ, გაამართლებს თუ არა წესების შეცვლა. ვფიქრობ, უნდა გაამართლოს. პირველ რიგში, სწორად მიმაჩნია, რომ პილოტებისთვის კოლეგის გამარჯვებაზე ზრუნვა აიკრძალება. მართლაც, არასწორია, როდესაც ერთი პილოტი მეორეს უთმობს პირველ ადგილს. ამ აკრძალვით ბევრს მიეცემა გამარჯვების საშუალება". ამის იმედი აქვთ ბარიკელოს, კულჰარდს და სხვებსაც – ყველას, ვისაც ასე ძალიან ეჩქარება შუმახერის ჩამოგდება...


REUTERS

*მიხაილ შუმახერი და ხუან პაბლო მონტოია*

მოკლედ

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ უახლოეს პერიოდში ლონდონის "არსენალში" გადასვლას აპირებს. ფეხბურთელი აცხადებს, რომ არ იცის, თუ საიდან დაირხა ასეთი ხმები. მისი თქმით, "არსენალი" დიდი კლუბია, რომელიც, "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად, პრეტენზიას აცხადებს ევროპაში პირველობაზე, მაგრამ "მადრიდში ჩემი მდგომარეობით უაღრესად კმაყოფილი ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ", - განაცხადა სტივ მაკმანამანმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ჩარლტონმა" გუშინ კონტრაქტი გააფორმა "საუთჰემპტონის" ყოფილ მცველ ელ ჰალეჯთან. შეთანხმება ძალაშია სეზონის ბოლომდე. ლონდონელთა მაროკოელ ახალწვეულს დღესვე შეუძლია, თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში "ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ ითამაშოს. შეგახსენებთ: ადრე მაროკოელი ფეხბურთელი "მარაკეშის", "უნიაო ლეირიას", "ბენფიკასა" და "საუთჰემპტონის" ღირსებას იცავდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერის" ფეხბურთელი იენს ნოვოტნი ბუნდესლიგის ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილს ტრავმის გამო გამოტოვებს. გუნდის კაპიტანმა სერიოზული ტრავმა მიიღო "კოტბუსის" წინააღმდეგ მატჩში. ამის მიუხედავად, ფეხბურთელმა მაინც ბოლომდე ითამაშა, რადგან ლევერკუზენელთა მწვრთნელს, კლაუს ტოპმიოლერს, იმ დროისთვის შეცვლის ლიმიტი ამოწურული ჰქონდა. "ბაიერმა" წააგო (0:3), ნოვოტნიმ კი ტრავმა გაირთულა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ნიუკასლისა" და პარაგვაის ნაკრების ფეხბურთელი დიეგო ჰალივანი, "კაჭკაჭებმა", იჯარის წესით, სეზონის ბოლომდე ბრაზილიურ პორტუალეგრის "ნასიონალს" დაუთმეს. ფეხბურთელი, პრაქტიკულად, ვერ ხვდებოდა ინგლისური კლუბის ძირითად შემადგენლობაში და მხოლოდ 8-ჯერ შეცვალა თანაგუნდელი. არადა, პარაგვაელი "ნიუკასლის" შემადგენლობაში 2000 წლიდან ირიცხება. მის ანგარიშზე, იმავე 2000 წლის აპრილში, "ქოვენთრის" კარში გატანილი ერთადერთი გოლია. პარაგვაელის ტრანსფერი სამი წლის წინათ ინგლისელებს 3,27 მილიონი დაუჯდათ. შარშან ჰალივანი, იჯარის წესით, უკვე თამაშობდა მექსიკურ "გვადალახარაში".

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ჟაკ როგემ, იმედი გამოთქვა, რომ მოსალოდნელი ომი ხელს ვერ შეუშლის სპორტს, მსოფლიო ხალხების შემაკავშირებელ რგოლად დარჩეს. სლოვენიური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში სოკ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, ერაყში კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდება. იქვე დასძინა, რომ ამ საკითხის ირგვლივ სოკ-ი რაიმე კომუნიკეს არ შაიმუშავებს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საბერძნეთის მთავრობა ყველა ღონეს მიმართავს იმისთვის, რომ 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშები მაქსიმალურად დაცული იყოს. მთავრობამ განაახლა მოლაპარაკება ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე თავდაცვის სრულყოფილი სისტემის შექმნას აპირებს. ბერძნული პოლიციის ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს, დაესახელებინათ ეს კომპანია. შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით სამი თვის წინათ დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ლეგენდარულმა მარიო ლემიემ, შესაძლოა, მონაწილეობა არ მიიღოს "ყველა ვარსკვლავის" შეხვედრაში. "პიტსბურგის" კაპიტანი ამ მატჩის წინასწარ განაცხადში კი შეიყვანეს, მაგრამ შეიძლება ტრავმამ ჰოკეისტს გეგმები აურიოს. "თუ ამ კვირაში მოედანზე გასვლას ვერ მოვახერხებ, ალბათ, ვერც "ყველა ვარსკვლავის" მატჩში თამაშს შევძლებ", – განაცხადა დაღონებულმა ლემიემ. საინტერესოა, რომ ლემიემ უკანასკნელი 9 მატჩიდან 8 გამოტოვა. უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ლემიე ვერ ითამაშებს "აილენდერსის" წინააღმდეგ მატჩში, რომელიც ოთხშაბათს გაიმართება.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში ერთი ცვლილება განახორციელა. რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ არ ითამაშებს პოლ-ანრი მატიე, რომელიც შარშან, დევისის თასის ფინალის გადამწყვეტ მატჩში დამარცხდა. 7-9 თებერვალს, ტურნირის პირველ შეხვედრაში, რომელსაც ფრანგები ბუქარესტში გამართავენ, მატიეს მიშელ ლოდრა შეცვლის. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ფინალში მატიე ჯერ მარატ საფინთან, შემდეგ კი მიხაილ იუჟნისთან დამარცხდა. რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ: ნიკოლა ესკუდე, სებასტიან გროსჟანი, მიშელ ლოდრა და ფაბრის სანტორო.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ფინელი მიკა ჰაკინენი, როგორც ჩანს, რალიმ სერიოზულად გაიტაცა. გასულ უქმეებზე ჰაკინენმა ლაფლანდიის რალიში მიიღო მონაწილეობა და ფინიშის ხაზი 29-ემ გადაკვეთა. ეს იყო ფინელის პირველი რბოლა მას შემდეგ, რაც ფორმულა 1 დატოვა. ჰაკინენი 10 წუთით ჩამორჩა ლიდერს, იან ტუოხინოს, მაგრამ ის ძალიან მონდომებულია, მოღვაწეობა რალიში გააგრძელოს. "რალი უაღრესად რთული და მომქანცველი იყო. ბოლო, სპეციალური მონაკვეთი კი, ძალიან პრეტენზიული გამოდგა. ის გრძელი და ნისლიანი იყო და მე არ მინდოდა, ფინიშამდე მცირე ხნით ადრე, მანქანა შემერემონტებინა. ჩემთვის და "Mitsubishi"-ის გუნდისთვის რბოლის დასასრული პირად გამარჯვებად იქცა. თვალებში ხან მზე მანათებდა, ხან სიბნელე ჩამოწვებოდა. ტრასაზე ჩრდილოეთის ირმები გამორბოდნენ. ასეთ ამბებს კი რბოლების დროს შეჩვეული არ ვარ! ეს რალი უკანასკნელი არ იქნება. ეტყობა, მე ასეთი რბოლები სულ უფრო მიზიდავს", – განაცხადა ჰაკინენმა.

კალენდარი

## 29 იანვარი



რომარიო

1949 - დაიბადა ევგენი ლოვჩევი. მოსკოვის "სპარტაკისა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელი, კაპიტანი. საბჭოთა კავშირის 1972 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

1960 - დაიბადა გრეგ ლუგანისი. ამერიკელი წყალში მხტომელი. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

1965 - დაიბადა დომინიკ ჰაშეკი. ჩეხი ჰოკეისტი, მეკარე. 1998 წლის ოლიმპიური ჩემპიონი. ბოლო წლებში ჰოკეის ნაციონალური ლიგის (NHL) საუკეთესო მოთამაშე.

1966 - დაიბადა რომარიო (რომარიო და სოუზა ფარია). ბრაზილიელი ფეხბურთელი. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი და პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი.

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადების კუპონი
28.01.03 N-26




## აფიშა

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**

"ღამე და თუთიყუში", რეჟ. დიმიტრი ღვთისიაშვილი

დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**

ირაკლი გაბაშვილის ნამუშევრების მემორიალური გამოფენა

**ძველი გალერეა**

"დაჭექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**

"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი

დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი„**

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 16:30; 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

**„ელისო„**

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.

მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 20 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-ოთახიანი დუპლექსის ტიპის 8 (8) ბინა მოჭიმული იატაკით, რკინის კარებით, ბ/აირით. ელექტროობა გაკეთებულია. სარემონტო. მეტრო „დელისთან". ს/ფ 100 კვ.მ. 18000$. 39 28 43

იყიდება 1,5-ოთახიანი ბინა ხილიანზე, ბალანჩივაძის ქუჩაზე, 16/15 სართულზე. ფასი 8500 $. 23 18 79

იყიდება 2-ოთახიანი, ლოჯიანი, არასტანდარტული ბინა მიშენებით წერეთელზე. ს/ფ 110 კვ.მ. ჭერი 3.40. II სართულზე. სარემონტო. 16 000$. 23 18 79

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

სასწრაფოდ, იაფად და განვადებით იყიდება 2700 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 2-სართულიანი სახლის კარკასით. ს.ფ. 3200 $. 39 68 63 რამაზი, 8(93) 35 88 31, 79 43 17 ავთო (საღამოს), 8(93) 36 37 23 თამაზი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაგდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

ქირავდება გრიბოედოვზე ქუჩისპირა სარდაფი საკომერციოდ ან დაწყობად. 98-86-01.

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით. ბარათაშვილის ქ. № 10. 93 43 06

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

მასაჟის შესწავლა ქალბატონებისათვის კლასიკურ ჩინურ, იაპონურ მანუალურ თერაპიასთან ერთად. 32 11 17

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ვისესხებ თანხას ბინის და ავტომანქანის მყარი გარანტიით. 37 96 46

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან.

**ფინური სახლები**
**95 94 17**
**94 25 80**

ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

იყიდება ბილიარდები: რუსული, კარამბოლი და პული. 34 84 85, 8(77) 42 50 82

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

**გასართობი ცენტრი "არაგვი" სამუშაოდ იწვევს, 25 წლამდე ასაკის, გოგონებსა და ვაჟებს, შემდეგ ვაკანსიებზე:**
1. კრუპიე;
2. მიმტანი (მხოლოდ გოგონები);
3. მზარეული
4. დამლაგებელი

კრუპიებისა და მიმტანებისათვის ფუნქციონირებს მოსამზადებელი კურსები.
მოგვმართეთ მისამართზე: სანაპიროს 1. რესტორანი "არაგვი". $17^{00}$-$21^{00}$ -მდე.
**ტელ: 92-04-06, 92-04-08**

## TV პროგრამა 29 იანვარი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.50 ჰერაკლე
19.30 სერიალი „მედისონის სკოლა"
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „საეჭვო სიყვარული" მთ. როლებში ანი ჟერარდო, ბიბი ანდერსონი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თოვლის პაპა"
10.10 მხ. ფილმი „შეხვედრების ადგილი უცვლელია"
11.30 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.05 დოკ. ფილმი „კომფლიქტები ბუნებაში"
14.10 ქართული ენის გაკვეთილი
14.35 „ზღვარი"
15.15 მხ. ფილმი „ბიჭები არ ტირიან"
16.50 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი"
17.20 50-50 18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები"
23.00 „დღის ბოლოს"
00.00 მხ. ფილმი „განყენების მომენტი"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 გან. რუსული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ფული წყვიტავს ყველაფერს"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 პა-სეანსი
23.00 ჩაძიროგანა
00.00 ფილმი ბრავო „სამი იქსი"
01.45 ფილმი ღამურა „ჰელოუინი: ოცი წლის შემდეგ"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დიდი დასვენება
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „მკვდარ ზონაში"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 მხ. ფილმი „ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ"
10.20 მხ.ფ. „ყვირილი"
12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (განმეორებით)
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.00 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „უცნობი ქალის საიდუმლო" 1-ლი სერია
22.15 მხ.ფ. „უცნობი ქალის საიდუმლო" მე-2 სერია
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „სახის გარეშე"
15.00 მხ. ფილმი „მორჩენება"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „დიდი ბიზნესი"
22.30 მხ. ფილმი „აფეთქება"

### მეცხრე არხი

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი"
11.10 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა"
12.50 მხ. ფილმი „მკვლელის წერილები"
14.45 მხ. ფილმი „ურტყი ქვალში"
16.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება"
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი"
18.50, 19.50, 21.50, 23.45, 01.55 მუსიკა
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 103-ე სერია
20.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია" „რევოლუცია"
21.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა"
22.05 მხ. ფილმი „მადა"
00.20 მხ. ფილმი „წითელი აგენტი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.40 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
09.15 „გალერეა"
09.35 მუსიკა
10.00 ისტორიული ფილმი „ლეგენდა ენეოსზე"
12.15 მელოდრამა „ცეკვები ლუნაზის დროს"
13.45 კომედია „მწვანე პასპორტი"
16.15 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
17.20 თრილერი „მემკვიდრეობა"
19.15, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30 „პრესდაიჯესტი"
19.40, 23.00, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.50 კომედია „სრული გამართლება"
22.50 „ პრესდაიჯესტი"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.20 „ალტერნატივა"
01.10 დრამა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"
03.30 მელოდრამა „მელვინეთა წესები"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.30 „აჩიკუდა"
09.55 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.35 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.10 კომპიუტერული ტექნიკა
11.45 „ბიორითმი" - ალსუ.
12.05 მობილურები
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.05 „ლა-ლა-ლა"
22.00 კომპიუტერული ტექნიკა
22.35 „კინოკლუბი „ - „დიდი მერილინი" მე-2 სერია.
00.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
00.35 „ბიორითმი" - ალსუ.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Боевик „Русский транзит", 6 с.
12.05 „Сати". Е.Миронов
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе"
13.15 Детектив „Убийство в Малибу"
15.00 „Новый день". „Первобытные охотники третьего тысячелетия"
15.30 „Новый день". „Теория невероятности"
16.15 Сериал „Атомный поезд"
17.00 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов"
18.00 „Большая стирка"
19.30 „Смехопанорама"
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Русская рулетка"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов"
23.45 Док.фильм „Паулюс. Военнопленный"
00.50 „Новый день". „Новые чудеса света"
01.20 „Новый день". „Русский экстрим"
01.50 „Апология"
02.55 Боевик „Неудержимый: Бонни и Клэр"

### РТР

06.45 Доброе утро Россия!
09.45 Сериал „Леди босс"
10.40 Сериал „Дневник убийцы"
11.35 Экспертиза
11.45, 18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Исчезновение господина Давенхайма"
13.10 Худ.фильм „Адвокат"
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех"
17.15 Сериал „Простые истины"
17.45 Экспертиза
18.20 Дорожный патруль
18.35, 00.20 Вести-спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди босс"
22.50 Сериал „Дневник убийцы"
23.50 „Вести +"
00.30 Худ.фильм „Стамбульский транзит"
02.15 Худ.фильм „Как снимался „Дневник убийцы"
03.10 Дорожный патруль

### НТВ

09.35 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6"
11.00 Сегодня утром
11.25 „Очная ставка". „Страшная находка"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Шоу Е. Степаненко"
13.05 Мелодрама „Танцплощадка"
14.40 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.30 „Хочу уехать из страны". Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Боевик „Кодекс чести"
19.20 Чистосердечное признание
20.40 Сериал „Право на защиту"
21.45 Боевик „Кодекс чести", 3 с.
23.00 „Сегодня вечером"
23.35 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Детектив „Право на защиту"
01.20 Иосиф Бродский. Монолог
01.45 Гордон
02.40 Сериал „Солдаты удачи"














CENTRE

პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი"



# ქუდი სუპის ქილით

## ვისაც თავი აბია

ახლახან დუბლინის თეატრ "პოინტში" ბრაუნ ტომასის სახელობის მოდების საერთაშორისო ჩვენება გაიმართა. ნაომი კემპბელი დიზაინერ ფილიპ ტრისის უკანასკნელ ნამუშევრებს წარმოადგენდა. მოდის ამ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდნენ სხვა ცნობილი მოდელებიც: ჰეიდი კლუმი, ჟასმინ გინესი, ჰელენა კრისტენსენი და ჯერი ჰოლი. აქციიდან შესული თანხა ჩერნობილის ბავშვთა ფონდში გადაირიცხა.

სუპერ-მოდელებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ ყველანაირად შეეცდებოდნენ საქველმოქმედო აქციაზე ხალხის მიზიდვას. მათი ენთუზიაზმი ირლანდიელმა მასპინძლებმაც გაიზიარეს და შედეგად მართლაც შთამბეჭდავი შოუ მოაწყვეს. ცნობილმა მოდელებმა ისეთი პრესტიჟული დიზაინერების მოდელები წარმოადგინეს, როგორებიცაა: გუჩი, "ივ სენ ლორანი", ალექსანდერ მაქუინი, "პრადა", "ვერსაჩე`, "დოლჩე & გაბანა", "კრისტიან დიორი", ჯონ გალიანო, რობერტო კავალი.

შოუს ექვსი ათასზე მეტი სტუმარი დაესწრო. მათ შორის იყვნენ სიმონ ლე ბონი, სამანტა მამბა, ანდრეა ქორი და ჯგუფ "ვესტლაიფის" წევრი ნიკი ბირნი. საზოგადოების გართობაზე გლაზგოელი მომღერალი ლულუ ზრუნავდა. შოუზე ასევე ჩანდნენ სპორტის ვარსკვლავები – "ფორმულა 1"-ის სახელგანთქმული ავტომრბოლელი ედი ირვინი და "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი რიო ფერდინანდი.

წარმოდგენილ მოდელებს შორის ორიგინალობით გამოირჩეოდა ფილიპ ტრისის ნამუშევრები. როგორც მოსალოდნელი იყო, ქუდების დიდოსტატმა ირლანდიელმა ფანტაზია არც ამ შოუსთვის დაზოგა და სრულიად უპრეცედენტო თავსაბურავები შექმნა. ამჯერად მან მთლიან ქუდებს უბრალო სარჭები ამჯობინა, ოღონდ განსაკუთრებული დეკორაციებით. მაგალითად, ჰელენა კრისტენსენს ფილიპმა თავი დევიდ ბექჰემის ფოტო-სურათით დაუმშვენა, ნაომი კემპბელსა და ჯერი ჰოლს კი თმაზე ენდი უორჰოლით შთაგონებული სამშვენისები დაუმაგრა – ჰოლს "ქემბელსის" სუპის ქილა, ნაომის კი ის ბანანი, რომელიც უორჰოლის პროდიუსერობით გამოსულ "ველვეთ ანდერგრაუნდის" 1996 წლის დისკსაც ამშვენებს. როგორც თავადაც მიხვდებოდით, სხვა, სრულიად ჩვეულებრივი მოდელების ფონზე ამ ხერხმა იოლად გაჭრა და შეკრებილი საზოგადოება ძალიან გაართო.

როცა საქმე ქუდებზე მიდგება, ფილიპ ტრისი ხომ მსოფლიოში ყველაზე კომპეტენტური ადამიანია (სხვათა შორის, ის წლის ბრიტანელი დიზაინერის ტიტულის ოთხგზის მფლობელია). მან კერვა ხუთი წლისამ დაიწყო. დედას დიდხანს უმალავდა, რომ დის თოჯინებისთვის კაბებსა და ქუდებს კერავდა. თუმცა, ოჯახის შეშფოთებამ – სად გაგონილა, ბიჭი კერავდესო – არ გაჭრა და ფილიპ ტრისიმაც სწავლა დუბლინის მოდის სკოლაში განაგრძო. შემდეგ კაბებიდან პროფილი უფრო დაივიწროვა და მთელი თავისი ფანტაზია მხოლოდ ორიგინალური ქუდების შექმნას მოანდომა.

"თავი ყველას გვაქვს და ქუდიც ყველასთვისაა. თავს უკეთ გრძნობ, როდესაც ქუდი გახურავს", - ქუდის თემატიკაზე ფილოსოფოსობდა ტრისი, ათი წლის განმავლობაში მუშაობდა "შანელის" სახლში და ორიგინალურ თავსაბურავებს კარლ ლაგერფილდის კოლექციებისთვის ქმნიდა.

პირველი ქუდი, რომელიც ტრისიმ შეკერა ჩიტის ბუდის ფორმისა გახლდათ. შეიძლება, გახსოვდეთ კიდეც – ეს ულამაზესი ქმნილება ბრიტანული "ვოგის" გარეკანზე ლინდა ევანჯელისტას ეხურა... შემდეგ ორიგინალობა უკვე მის სავიზიტო ბარათად იქცა. ქუდებს ხან მოოქროვილ რქებს არგებდა, ხან – ყვავილებს, ხან – ბარტყებით სავსე ჩიტის ბუდეებს...

წარმატება მალე მოვიდა. 1993 წელს ტრისიმ თავისი პირველ შოუ მოაწყო. მისი შავი ქუდების კოლექცია ნაომი კემპბელმა, კეიტ მოსმა, სტელა ტენანტმა და კრისტი ტარლინგტონმა წარადგინეს. "თავიდან კრისტი ტარლინგტონს დავურეკე", - იხსენებს ტრისი, - "მეორე დღესვე დამიკავშირდა ნაომი კემპბელის აგენტი. კეიტ მოსმა მისაყვედურა, რომ შოუში მონაწილეობა მას არ ვთხოვე. ლონდონი გაგიჟებულს ჰგავდა. ჩემმა კოლექციამ მათ სრულიად ახლებურად დაანახა ქუდის მნიშვნელობა. პრესამაც ბევრი იხმაურა – ეს შავი თავსაბურავები ხომ საზოგადოებას ყველაზე ცნობილმა სუპერ-მოდელებმა წარუდგინეს".

უკვე სამი წლის შემდეგ, ტრისის კოლექცია ფლორენციის "ბიენალეზეც" გამოფინეს. "მე ხომ ქუდებს ვქმნი და არა ხელოვნების ნიმუშებს, მაგრამ იტალიური "ვოგის" რედაქტორმა მაინც დამითანხმა. ასე მოხვდა ჩემი ქუდები ფლორენციაში", - აცხადებს დიზაინერი. პრეცედენტი კიდევ განმეორდა. ტრისის ნამუშევრები 2001 წელს უკვე ვენეციის "ბიენალეზე" ჩაიტანეს. თუმცა, ამჯერად ირლანდიელი მხოლოდ ქუდებით არ შემოფარგლულა. მან მხატვარ ვანესა ბიკროფტთან ერთად ერთ ორიგინალურ იდეას შეასხა ხორცი – ტრისიმ ინსტალაციისთვის, რომელშიც მხოლოდ შიშველი მოდელები მონაწილეობდნენ, შავი ტყავის ნიღბები შეკერა.

1999 წელს ალექსანდრ მაქუინთან ითანამშრომლა და "ჟივანშის" სახლისთვის, მაქუინის ე.წ. თეთრი კოლექციის ფარგლებში, ულამაზესი, თუმცა, ყოველგვარ პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებული თავსაბურავები შექმნა. მომდევნო წელს კი პარიზში უპრეცედენტო მოვლენა მოხდა – ფილიპ ტრისის დამსახურებით მოეწყო ისტორიაში პირველი მაღალი მოდის შოუ, რომელიც მხოლოდ ქუდებს მიეძღვნა...

თუმცა, ტრისი მხოლოდ რქებითა და სუპის ქილებით დამშვენებულ ქუდებს არ კერავს. მის ლონდონურ მაღაზიაში ყველა ვაჭრობს – უბრალო ინგლისელი გოგონაც, რომელიც 150 გირვანქა სტერლინგს მოაგროვებს და ფეტრის ქუდის ყიდვას გადაწყვეტს და მდიდარი, 70 წლის ჯენტლმენიც, რომელიც გაცილებით უფრო ძვირადღირებულ, ორიგინალურ თავსაბურავებს მეგობარი ქალებისთვის არჩევს.

**P.S.** დუბლინის ერთჯერადი ჩვენების პარალელურად, რომელიც ყოველწლიურად იმართება, რამდენიმე მოდის კვირეული მიმდინარეობს. მაღალი მოდის კოლექციებს წარმოადგენენ მილანსა და სან პაულოში, პარიზში კი გუშინ დამთავრდა მამაკაცების მოდების ჩვენება, რომელზეც ორიგინალობით თითქმის ყველა მონაწილე დიზაინერი გამოირჩეოდა, მათ შორის ჟან პოლ გოტიეც. ამ უკანასკნელმა მოდელ მამაკაცებს თმა ქალის სარჭებით დაუმაგრა, ტანი კი ბადე-სვიტერებით დაუმშვენა. სხვა კოლექციები კი იაპონური და აფრიკული ტრადიციებით გახლდათ შთაგონებული...


ჰელენა კრისტენსენი REUTERS



ნაომი კემპბელი REUTERS


ჟიზელი REUTERS


ჯერი ჰოლი REUTERS


ჟან პოლ გოტიეს მოდელი REUTERS

# ლუდხანა ღია ცის ქვეშ

*"სავსე მთვარეა,*
*სავსე მთვარეა... დღეს ოსტატი*
*სარდაფში ჩავა და მხოლოდ*
*რიჟრაჟზე ამობრუნდება.*
*ჩვენ კი ახალ ლუდს დავლევთ..."*
***ბავარიული ხალხური სიმღერა***

1539 წლის ბავარიული განაწესის თანახმად, ლუდის ხარშვა მხოლოდ 29 სექტემბრიდან – წმინდა მიქაელის დღიდან – 23 აპრილამდე, წმინდა გიორგის დღესასწაულამდე შეიძლებოდა. ზაფხულში ეს საქმე, სულ მარტივი მიზეზის გამო სასტიკად იყო აკრძალული: ზაფხულში ცეცხლი განსაკუთრებით საშიშია, ერთ ხანძარს შეიძლება მთელი დასახლებები გადაეწვა. ამიტომ ცხელი დღეებისთვის წინასწარ ხარშავდნენ ლუდის მარაგს. იმისთვის, რომ ზაფხულში არ გაფუჭებულიყო, მარტის ლუდი სხვანაირად მზადდებოდა, უფრო მაგარი იყო.

ერთი პრობლემა გლეხებს თავიდანვე ჰქონდათ: როგორ მოეხერხებინათ ლუდის გრილად შენახვა? კათხა თუ არ დაიცვარა, ის ლუდი რა დასალევია...

გამოსავალი ლუდის სარდაფების შენება იყო. ეს სარდაფები ცალკე იდგა და მათში მხოლოდ ლუდი ინახებოდა, სხვა სანოვაგეს არ აკარებდნენ. ამ საგანგებო სარდაფებს, რასაკვირველია, იქვე აშენებდნენ, სადაც ლუდი იხარშებოდა. რადგან ბავარიაში, კერძოდ კი მიუნხენში, წყლის დონე საკმაოდ მაღალია, სარდაფის ღრმად ამოთხრა არ შეიძლებოდა. ამიტომ ლუდის მეწარმეები სიგრილის შესანარჩუნებლად ათასგვარ ხერხს მიმართავდნენ. ყველაზე გავრცელებული ხერხი ლუდის სარდაფების ირგვლივ ჩრდილიანი ხეების დარგვა იყო.

მრავალწლიანმა გამოცდილებამ ნათელყო, რომ ამ საქმისთვის დარგული ხეებიდან ყველაზე "მადლიანი" წაბლია – დიდი ფოთლები აქვს და "ძლიერი ჩრდილი". ამიტომ წაბლის ხე ტრადიციული "ლუდის ბაღების" აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცა, თუმცა დღეს მაცივრის ფუნქცია ნამდვილად აღარ აკისრია.

გამომხდელები ხალხს იქვე სთავაზობდნენ ლუდს: წაბლების ჩრდილში მაგიდებს და გრძელ სკამებს ჩამოდგამდნენ ხოლმე და დიდ კათხებში ასხამდნენ თავიანთ გრილ და გემრიელ სასმელს.

ბავარიელი მედუქნეები ამ ამბით უკმაყოფილო იყვნენ – მათ მიაჩნდათ, რომ ლუდი ჯერ მათ უნდა ეყიდათ, დანარჩენებს კი მათგან უნდა შეეძინათ. გამოდიოდა, რომ ლუდის ბაღების არსებობა მათ მსუყე ლუკმას აცლიდა. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ბავარიის მეფემ, ლუდვიგ I-მა ბრძანა: სარდაფებიდან ლუდის გაყიდვა ნებადართულია, ლუდის ბაღებში საჭმლის გაყიდვა კი – აკრძალულიო. ასე რომ, თუ მაინცდამაინც წაბლის ჩრდილში აპირებდა კაცი ლუდის დალევას, დაპურების იმედი არ უნდა ჰქონოდა და თავის ულუფა თან უნდა მიეტანა. ასე რომ, ჭამა-სმის მოყვარულებმა დუქნებს მიაშურეს, მხოლოდ ლუდის მსმელები კი წაბლის ჩრდილში ჩამოსხდნენ.



ბავარიული ლუდხანა

ისევე, როგორც ყველაფერი სხვა, საუკუნეების განმავლობაში ლუდის ბაღებიც შეიცვალა. მაგრამ მათ სამშობლოში, ბავარიაში, დღესაც შეიძლება "ნამდვილს" ეწვიოთ, სადაც ლუდი ძველებურად ხის კასრებიდან ისხმება, სადაც საკუთარ თავს თავად უნდა მოემსახუროთ – კათხას არავინ გაგირეცხავთ, სადაც ლუდის მსმელებს დღესაც მოაქვთ კალათით ის, რაც ლუდის ბაღში მოსულს შეიძლება დასჭირდეს, კერძოდ:

სუფრა – ლუდის ბაღებში უბრალო, ხის მაგიდები დგას. სუფრა კუბოკრული, თეთრი და წითელი უნდა იყოს (და არა თეთრი და ლურჯი, ლუდის ბაღს რესტორნის ფერები არ შეეფერება);

ფიცარი და მჭრელი დანა;

დანა-ჩანგალი – ხელით ჭამა, მოგეხსენებათ, უზრდელობაა;

ხელსახოცები – რომ მთვრალ გონებაზე ხელი სუფრას არ შეახოცოთ.

ეს ავლა-დიდება იმისთვისაა საჭირო, რომ საგზალი გემრიელად მიირთვათ – ყველი, კარაქი, ჭვავის პური, ხახვი, კარტოფილი და ძეხვი. ეს აუცილებელი სანოვაგეა, სხვა – რაც გაგიხარდებათ... მთავარი მაინც ცივი, ბავარიული ლუდია და უზარმაზარი წაბლების შრიალი.

---

*კალეიდოსკოპი*

## მომავალი ჯეიმს ბონდი

ბრიტანულმა კინო-ჟურნალმა Total Film მეტად აქტუალური კითხვით მიმართა საზოგადოებას – რომელ მსახიობს ისურვებდნენ ჯეიმს ბონდის როლში მას შემდეგ, რაც პირს ბროსნანის კონტრაქტი დასრულდება. გამოკითხვაში ხმათა უმრავლესობა ჯუდ ლოუმ მოიპოვა. მეორე ადგილზე "ვარსკვლავეთის ომების" შოტლანდიელი ვარსკვლავი ევან მაკგრეგორი გავიდა. რედაქტორის, მეტ მიულერის განმარტებით: "ხალხისთვის ლოუ ასოცირდება მაღალი კლასის საზოგადოებასთან. ის ძალიან დახვეწილი, მოდური, გემოვნებიანია, რის გამოც მაყურებელი ფიქრობს, რომ ლოუ ჯეიმს ბონდის როლს იოლად მოერგება". თუმცა, მისივე აზრით, არის რაღაც სიმბოლური იმაშიც, რომ მეორე ადგილზე მაკგრეგორი გავიდა – ის, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბონდის, შონ კონერის მსგავსად, ხომ შოტლანდიელია.

ახლანდელი ბონდი ჯერაც შესანიშნავად გამოიყურება. მან უკვე განაცხადა თანხმობა, როლი მეხუთედაც შეასრულოს. თუმცა, მიიჩნევს, რომ მეექვსედ ბონდობა უკვე აღარ გამოუვა. "ამ როლს რაღაც შინაგანი ძალა და ენთუზიაზმი სჭირდება. მე კი მსურს, სცენიდან ლამაზად ჩამოვიდე", - განმარტა მან.

იმ მსახიობთა სია, რომელთაც ჯეიმს ბონდის როლზე მოიაზრებენ, საკმაოდ გრძელია. ხან "ოსკაროსან" რასელ ქროუზე საუბრობენ, ხანაც – ბრიტანელ რობი უილიამსზე. ერთხელ კომიკოსმა რიჩარდ ბლექვუდმა ხუმრობით ისურვა კიდეც, გამხდარიყო ისტორიაში პირველი შავკანიანი ჯეიმს ბონდი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალის გამოკითხვაში ბრიტანელების საყვარელმა ჰიუ გრანტმა ხმათა მხოლოდ ორი პროცენტი მოაგროვა.

## პრეზიდენტის გვერდით

"შიმშილობა – ნული" – ასე ჰქვია ახალ ბრაზილიურ პროგრამას, რომელიც პრეზიდენტმა ლუის ინასიო ლულამ წამოიწყო და რომლის მიზანიც ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობის გამოსწორებაა. გუშინ პროექტში ცნობილი ბრაზილიელი სუპერ-მოდელი ჟიზელიც ჩაერთო. მან საკვები პროდუქტების უსაფრთხოების მინისტრს ღარიბებისთვის 150 ათასი დოლარის ჩეკი გადასცა. "იმედი მაქვს, რომ ქვეყანაში შიმშილობის დასაძლევად, ყველა გაიღებს იმდენს, რამდენის საშუალებაც აქვს", - განაცხადა ჟიზელმა ჟურნალისტებთან საუბრისას. სხვათა შორის, ახლახან 22 სუპერ-მოდელი ბრაზილიის პრეზიდენტს სხვა გზითაც დაუახლოვდა – მან გადაწყვიტა ლულას პირადი მკერავის, დიზაინერ რიკარდო ალმეიდას ჩვენებაში მიიღოს მონაწილეობა...

ლულას პროგრამას სხვა ცნობილი სახეებიც შეუერთდნენ. მათ შორის ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი რონალდოც. თუმცა, მას ჯერ ღარიბების დასახმარებლად ქისიდან ფული არ ამოუღია.

## დი კაპრიო პროფესიას იცვლის

ლონდონში უკვე მეორე დღეა დიდი წარმატებით იყიდება ბილეთები სტივენ სპილბერგის ახალ ფილმზე "დამიჭირე, თუ შეგიძლია". პრემიერას კი, რომელიც ორშაბათს გაიმართა, თითქმის მთელი გადამღები ჯგუფი დაესწრო, ლეონარდო დი კაპრიოს, ტომ ჰენკსის, სტივენ სიპლბერგისა და თავად ფრენკ აბანიალეს მეთაურობით – კაცი, რომლის დანაშაულებრივ თავგადასავლებზეც ფილმია აგებული. დი კაპრიოს თქმით, ყველაზე საყვარელი ეპიზოდი ფილმში აეროპორტის სცენა გახლავთ – პილოტის ფორმაში გადაცმულ დი კაპრიოს FBI-სგან ლამაზმანი სტიუარდესები იცავენ.

ლონდონურმა პრემიერამ თეატრალიზებულ გარემოში ჩაიარა. დი კაპრიო სეანსის დაწყებამდე ფოტოგრაფებისთვის დიდხანს პოზიორობდა ფილმში მონაწილე სტიუარდესებთან ერთად...

**დღეს**
**ოთხშაბათს, 29 იანვარს**




**1886 წელი:** გერმანელმა ინჟინერმა კარლ ბენცმა დააპატენტა პირველი ბენზინზე მომუშავე ავტომობილი.

**1900 წელი:** ჩიკაგოში აშშ-ს ბეისბოლის ლიგა დაარსდა.

**1957 წელი:** გამოქვეყნდა სიდნეის ოპერის შენობის გამარჯვებული პროექტი.

**1996 წელი:** ვენეციის ოპერას, რომელსაც სახელწოდებად სახელი La Fenice ("ფენიქსი") ერქვა, ხანძარი გაუჩნდა და არსებობის მანძილზე მეორედ დაიწვა.

**2002 წელი:** თავის პირველ სახელმწიფო მიმართვაში აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანს, ერაყსა და ჩრ. კორეას "ბოროტების ღერძი" ქვეყნები უწოდა.

© GRAPHIC NEWS

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24



# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის
ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



# სწავლა ლონდონში
## ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად მენეჯერ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობანი თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / ივლისი). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

**MBA** მარკეტინგი / ფინანსები / IT, ელექტრონული კომერცია / HRM, პროექტის მენეჯმენტი

**MSc** საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემის ინჟინერია, ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი **$5950**

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

**ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად**

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას,
ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიერ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინა მუხიაშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67






არაყიშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

შეიძლება შეიცვალოს ფასები სამსახურის და ფენიდან სტანდარტი სახლის მომსახურება:

ბინა ბარდება გარემონტებული ან შავი მდგომარეობაში

- ექსტერიერზე მაღალი ხარისხის მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა ორმაგი შუშებით და ალუმინის დამცავებით
- ტიხრები ამოყვანილი აგურით თქვენს მიერ შერჩეული გეგმარების მიხედვით
- გათბობის ინდივიდუალური სისტემა
- კედლების მაღალი ხარისხის ლესვა გაჯით
- იატაკი მოჭიმული
- ჩართული კომუნიკაციები
- ავტოსადგომი, დისტანციური მართვის კარით
- დაცვის აუდიო და ვიდეო სისტემები

- საერთო მოხმარების ფართის მოვლა-დასუფთავება
- ავტოფარეხის რეზერვა
- ტექნიკური მომსახურება
- ნაგვის გატანა

ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის, სანიტარული და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი

ელ.ფოსტა: axis@axisbuilding.com

აქსისი
AXIS



## DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიური გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთამსრო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR
მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge



Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაფიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52


